ყველა ფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან



Beijing 2008
დარჩა 62 დღე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 133 (12 509) 7 ივნისი შაბათი 2008 წელი ფასი 50 თეთრი



## პლზენის უძვირფასესი ფეხბურთელი

ინტერვიუ დიმიტრი ტატანაშვილთან »»» 2

## ცხადაძისა და სეგრტის კომბინაცია

ინტერვიუ კახა ცხადაძესთან »»» 3

UEFA EURO2008 Austria-Switzerland

# ევროპა ალპებისკენ დაიძრა



დღეს, ბაზელში გახსნის მატჩი: 19:30
**შვეიცარია–ჩეხეთი**

ჟენევა 22:45
**პორტუგალია–თურქეთი**

## მზად ვართ, ვიბრძოლებთ ჩემპიონობისთვის

ინტერვიუ შვეიცარიის ნაკრების ფორვარდ ალექსანდერ ფრაისთან



»»» 10



სკოლარის რონალდო მსუბუქად დაუშავდა, დეკუ მწყობრშია



ახსოვს თერიმს ნუნუ გომეში?

დღევანდელი მატჩების წინ »»» 6



## ჩეხეთი: უიფალუში ითამაშებს, ბაროში საეჭვოა

»»» 6



# იტალია: პანუჩიც დაშავებულია

»»» 7

გარი ლინეკერის ფავორიტები:

## კრისტიანო რონალდო და ესპანეთი

»»» 7



ეროვნული ბიბლიოთეკა

დია 2008. პრესკონფერენცია

# 11 საუკეთესო ზეგ გაირკვევა




თემურ ჭიჭინაძე და პაატა ბურჯალიანი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

9 ივნისს, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში "დია-2008" გაიმართება. გუშინ პროფესიული ფეხბურთის ოფისში გამართული პრესკონფერენცია სწორედ ამ თემას მიეძღვნა. მასმედიის წინაშე პროფლიგის გენერალური მდივანი **პაატა ბურჯალიანი**, სამაუწყებლო კომპანია "მზისა" და "კოლხიდას" სახე **თათული ბართაია** და მსახიობი **თემურ ჭიჭინაძე** წარდგნენ.

**პაატა ბურჯალიანი:** *"წლეულს "დიას" დაჯილდოების ცერემონიალი უკვე მეოთხედ ჩატარდება. საუკეთესოებს ისევ 10 ნომინაციაში გამოვარჩევთ მასმედიელთა დახმარებით: საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი; საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი; საუკეთესო მეკარე; საუკეთესო მცველი; საუკეთესო ნახევარმცველი; საუკეთესო თავდამსხმელი; საუკეთესო მწვრთნელი; საუკეთესო მსაჯი; წლის აღმოჩენა; წლის საუკეთესო პროექტი.*

*ნოვაცია ისაა, რომ "კოლხიდას" დახმარებით წლეულს სეზონის საუკეთესო გოლსაც გამოვარჩევთ. საუკეთესოს ვეტერანი ფეხბურთელები და მწვრთნელები შეარჩევენ.*

*"დია 2008-ს" თათული ბართაია და მსახიობი თემიკო ჭიჭინაძე გაუძღვებიან. შოუ მუსიკალური ნომრებითაც იქნება გამდიდრებული, იხილავთ ნიაზ დიასამიძესა და სხვა შემსრულებლებს."*

თათული ბართაია: *"მჯერა, რომ ლამაზი სანახაობა იქნება. პირდაპირი ტელეტრანსლაცია სამაუწყებლო კომპანია "მზის" ეთერით გადაიცემა. იმედია, ყველა კმაყოფილი დარჩება. "დია 2008" ჩვენი ფეხბურთის განვითარებაში საკმაო წვლილს შეიტანს".*

თემიკო ჭიჭინაძე: *"ჩემთვის დიდი პატივია ამ შოუს წაყვანა. რიგითი თბილისელი ქომაგი ვარ და დარწმუნებული ვარ, კარგი სანახაობა იქნება. მსგავსი ღონისძიებები აუცილებელია, ის ფეხბურთის პოპულარიზაციისა და განვითარებისთვის დიდი სტიმულია".*

**დავით ცაბაძე**

# ოდიკაძეს კარპატიდან დაუკავშირდნენ

საქართველოს ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" მარჯვენა ნახევარმცველმა **დავით ოდიკაძემ** უცხოური კლუბების ინტერესი კვლავ გამოიწვია.

საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში 27 წლის ფეხბურთელი გამორჩეულთა შორისაა. მან გუნდშიც მოახერხა პოზიციების დაბრუნება და ეროვნულ ნაკრებშიც მოხვდა. უკრაინული კლუბები კი ოდიკაძით ჯერ კიდევ 2005 წლის შემოდგომაზე დაინტერესდნენ, როდესაც თბილისში, საქართველოს და უკრაინის ნაკრებები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ბოლოსწინა ტურში შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ დათოს გადაბირება ერთბაშად ათმა უკრაინულმა კლუბმა მოინდომა.

მერე რაც მოხდა, ყველამ იცის და აღარ გავიმეორებთ. გუშინ კი შევიტყვეთ, რომ ოდიკაძეს კიდევ ერთხელ დაუკავშირდნენ უკრაინელები - უფრო ზუსტად კი, ლვოვის "კარპატის" ხელმძღვანელობა.

ინფორმაცია "დინამოს" ფეხბურთელმა თავად დაგვიდასტურა: *"მეც გავიგე, რომ "დინამო"-"ლოკომოტივის" შეხვედრას ლვოვის "კარპატის" წარმომადგენელი დაესწრო. რამდენიმე დღეში უკრაინელთა ვიცე-პრეზიდენტი დამიკავშირდა, თუმცა მას შემდეგ აღარავინ შემხმიანებია".*

ოდიკაძემ უარყო ინფორმაცია, თითქოს ავსტრიული "შტურმი" მასთან მოლაპარაკებას აწარმოებდეს - ასეთი რამ პირველად მესმისო.

**მერაბ მამულაშვილი**

# ალავიძე ლოკომოტივიდან წავიდა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეკარე **მიხეილ ალავიძემ** თბილისის "ლოკომოტივი" დატოვა.

21 წლის ფეხბურთელი "ლოკომოტივში" 2008 წლის ზამთარში ჩაირიცხა და ნახევარი წლის შემდეგ, კლუბიდან მისი წასვლა მოულოდნელი გამოდგა.

ჯერ კიდევ გაურკვეველია, დარჩება თუ არა თბილისურ კლუბში **ლევან ცქიტიშვილი. რატი ალექსიძემ** და **ვიტალი დარასელიამ** კი კლუბთან ერთად დაიწყეს ინტერტოტოს გათამაშებისთვის მზადება. თუმცა მათი დარჩენის საკითხიც არაა საბოლოოდ გადაწყვეტილი.

**მერაბ მამულაშვილი**

# მჟავანაძე ისევ ჩერნომორეცში

"ჩერნომორეციდან" წლინახევრის წინათ წასული მცველი **კახა მჟავანაძე**, ოდესაში ბრუნდება. მაშინდელი ისტერია უკრაინის ნაკრების იმდროინდელი თავკაცის, **ოლეგ ბლოხინის** ცნობილ ფრაზას მოჰყვა - საქართველო ჩვენი ჯგუფის მეტოქეა და უკრაინის ჩემპიონატში მოწინააღმდეგეს ფეხბურთელებს ვუზრდით და კლასს ვუმაღლებთო. ეროვნულ ნაკრებში ბლოხინის თანაშემწე "ჩერნომორეცის" მთავარი მწვრთნელ **სემიონ ალტმანი** იყო. ქართველთა სამეულმა, **ილია კანდელაკის, გიორგი შაშიაშვილისა** და კახა მჟავანაძის შემადგენლობით, ოდესის "ჩერნომორეცი" დატოვა. გუშინ კი ცნობილი გახდა, რომ მჟავანაძე ოდესელთა გუნდში ბრუნდება.

**დავით ცაბაძე**

ტრანსფერის შემდეგ. ინტერვიუ დიმიტრი ტატანაშვილთან

# ტატანაშვილის რეკორდი: პლზენისთვის ის უძვირფასესია

24 წლის დიმიტრი ტატანაშვილი თბილისის "ამერიდან" ჩეხეთის რანგით უმაღლეს ლიგაში, პლზენის "ვიქტორიაში" გადავიდა.

თექვსმეტგუნდა გამბრინუსლიგაში "პლზენი" განვლილ სეზონში მეცხრე ადგილზე გავიდა. საქართველოს ჩემპიონატიდან ასეთ გუნდში გადასვლა ურიგო ტრანსფერი ნამდვილად არ არის. ტატანაშვილი ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გახლდათ ეროვნულ ჩემპიონატში და კლაუს ტოპმიოლერმა ორჯერ ათამაშა ნაკრებში. სწორედ ტატანაშვილის გამთანაბრებელი გოლით გადაურჩა ჩვენი ეროვნული გუნდი მარცხს შარშან ბაქოში, აზერბაიჯანის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩში.

ტატანაშვილს გუშინ დავურეკეთ პლზენში.




დიმიტრი ტატანაშვილი (შუაში) კლუბში ოფიციალურად წარადგინეს

- კმაყოფილი ვარ, რა პირობებზეც იყო წინასწარ ლაპარაკი, ისეთი კონტრაქტი გავაფორმე. პლზენში ძალიან თბილად მიმიღეს, აქ ყველანაირი პირობაა ფეხბურთის სათამაშოდ.

**- მანდაურ ატმოსფეროზე რას იტყოდი, ალბათ უკვე დაათვალიერე ბაზა და სტადიონი.**

- პლზენის მოსახლეობა ნახევარ მილიონამდეა, სტადიონი ათი ათასს იტევს, თუმცა ახალ, უფრო დიდ სტადიონს აშენებენ. "პლზენი" კიდევ აპირებს ახალი ფეხბურთელების დამატებას, მიზანი საპრიზო ადგილებზე გასვლაა. დავესწარი "პლზენის" 19-წლამდელთა გუნდის თამაშს - ისინი ამ ასაკში ჩეხეთის ჩემპიონები გახდნენ.

**- დედაქალაქურ "სპარტასა" და "სლავიას" "პლზენი" პირობებით ბევრად ჩამოუვარდება?**

- ამ კლუბებს ვერ გაუტოლდება, თუმცა ჩეხური კლუბების იმ ექვსეულში შედის, სტაბილური და ნორმალური დაფინანსება რომ აქვთ.

**- შარშან "ამერი" ჩეხეთში იყო სეზონისწინა შეკრებაზე და ალბათ, მაშინ დაგადგა თვალი "პლზენმა"..**

- მასეა, იმ შეკრებაზე "პლზენს" 1:0 მოვუგეთ და გოლი მე გავიტანე. მას შემდეგ "პლზენი" სულ მაკვირდებოდა და კონტარქტიც გაფორმდა. აქ სერიოზული სამედიცინო შემოწმება ჩამიტარეს, რამდენიმე ტესტიც გავიარე.

**- შენი ნაკლი ორთაბრძოლებში არც თუ ღონივრად თამაში იყო. "პლზენში" ალბათ ყველანაირი პირობები გექნება, ამ ნაკლის გამოსასწორებლად...**

- ამ თემაზე სერიოზული საუბარი გვქონდა კლუბის წარმომადგენლებთან. როცა სეზონისწინა სამზადისს დავიწყებთ, მე და ბრაზილიელ ახალწვეულს ფიზმომზადების მწვრთნელი ინდივიდუალური პროგრამით მოგვამზადებს. გუნდი 16 ივნისს შეიკრიბება, თვის ბოლოს კი შეკრებაზე ავსტრიაში წავალთ.

ტატანაშვილის პლზენური ტრანსფერი აგენტ **აკა ტონიას** მონაწილეობით განხორციელდა. ტონიამ გვითხრა, პლზენის "ვიქტორიას" ისტორიაში ეს ყველაზე ძვირადღირებული ტრანსფერიაო.

ტატანაშვილი "პლზენში" თავისუფალი აგენტის სტატუსით არ გადასულა - "ამერს" კუთვნილი თანხა შეხვდება.

**დავით თავართქილაძე**

ევრო 2008. პროგნოზები

# არველაძეს და ასათიანს საერთო იტალია და პორტუგალია აქვთ

დღეს, ევროპის ჩემპიონატი იწყება და ფეხბურთის გამორჩეული ფიგურები თავიანთ პროგნოზებს აკეთებენ. **შოთა არველაძე** კვლავაც რჩება რუსი მიმომხილველების ყურადღების ცენტრში და ევრო 2008-ის პროგნოზი მასაც ჰკითხეს.

*"ჩემი აზრით, ევროპის ჩემპიონატის ფავორიტები იტალია, პორტუგალია და ჰოლანდია არიან. ჰოლანდიის ნაკრების მიმართ საკმაო სიმპათიები მაქვს. თუნდაც იმიტომ, რომ მარკო ვან ბასტენის გუნდში ჩემი არაერთი მეგობარი და ყოფილი თანაკლუბელი თამაშობს"*, - განაცხადა არველაძემ.

რუსული პრესა **მალხაზ ასათიანის** პროგნოზითაც დაინტერესდა. როგორც ირკვევა, არველაძისა და ასათიანის ფავორიტთა სამეული ძალზედ ჰგავს ერთმანეთს, სხვაობა მხოლოდ ერთ გუნდშია.

*"ევროპის ჩემპიონატი ყოველთვის საინტერესო სანაობაა და დიდი სიამოვნებით მივადევნებ თვალს. ძალიან მინდოდა, კონტინენტის პირველობაზე საქართველოს ნაკრებთან ერთად მეასპარეზა, მაგრამ...*

*გამორჩეულად არავის ვქომაგობ, კარგ, გამართულ თამაშს ვაფასებ. გადაჭრით ძნელია იმისი თქმა, თუ ვინ გახდება ევროპის ჩემპიონი. ჩემი აზრით, ამ ტიტულისთვის ბრძოლაში იტალია, პორტუგალია და საფრანგეთი არიან ფავორიტები"*, - აღნიშნა მალხაზ ასათიანმა.

**დავით ცაბაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი: თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: **პაატა გელაშვილი**; მიმართულების რედაქტორები: **მამუკა ჩიხლაძე** (ქართული ნაწილი); **გია თვალაბეიშვილი** (უცხოური ნაწილი); განყოფილების რედაქტორები: **პაატა თოთაძე** (ქართული ფეხბურთი), **შალვა ბიბილაშვილი** (უცხოური ფეხბურთი); კონცეფცია და დიზაინი: **ნოდარ დუგლაძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: **მიხეილ ჯაში**; გავრცელების სამსახური: **ბაქარ გაჩეჩილაძე, დავით მაისურაძე, გივი ვეშაპიძე**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე**.

მისამართი: **0159 თბილისი, ახმეტელის 10ა** (დიღომი, ახალი კინოსტუდია, I სართული); ტელეფონები: **46 32 62, 46 32 56, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: **+995. 32 46 32 62**; ელფოსტა: **sporti@sporti.ge**; ინდექსი **66435 INDEX**.

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ჩვენები ევროპის ჩემპიონატზე. ინტერვიუ თენგიზ სულაქველიძესთან

# ვარსკვლავების მოლოდინში



1988 წლის ევროპის ჩემპიონატი. საბჭოთა კავშირის ნაკრები ირლანდიასთან მატჩის წინ. ზედა რიგში მარცხნიდან: რენატ დასაევი, ვაგიზ ხიდიატულინი, ანატოლი დემიანენკო, ოლეგ კუზნეცოვი, სერგეი ალეინიკოვი, ალექსეი მიხაილიჩენკო. ქვედა რიგში: თენგიზ სულაქველიძე, ალექსანდრ ზავაროვი, იგორ ბელანოვი, ვასილი რაცი, ოლეგ პროტასოვი

**დღეს, ავსტრია-შვეიცარიის სტადიონებზე ევროპის ჩემპიონატი დაიწყება. რაღა თქმა უნდა, უკვე მივეჩვიეთ იმ ფაქტს, რომ ასეთი დონის ტურნირმა უქართველებოდ უნდა ჩაიაროს. რას ვიზამთ, მწარე რეალობას ვერსად გავექცევით - საქართველოს ნაკრებმა მეოთხე ცდაზეც ვერ მოახერხა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა. არადა, წარსულში ისეთი ფეხბურთელებიც გვყავდა, ევროპის ჩემპიონატიდან ოქროსა თუ ვერცხლის მედლებით მკერდდამშვენებულნი რომ ჩამოდიოდნენ. ერთ-ერთი ბოლო ტრიუმფატორი თენგიზ სულაქველიძეა - 1988 წლის ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი. სულაქველიძე-ფეხბურთელის ინდივიდუალური ტიტულების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს; ამჯერად მხოლოდ იმას გავიხსენებთ, რომ ქართულ ფეხბურთში ცნება "უნივერსალიზმს" სწორედ ის განასახიერებდა. ჰო, ეგრე იყო - არც მანამდე და არც მის შემდეგ აღარ გამოჩენილა ისეთი ფეხბურთელი, დაცვისა თუ ნახევარდაცვის ნებისმიერ პოზიციაზე წარმატებით რომ ითამაშებდა...**

**...ვეტერან ქართველ ფეხბურთელს ევროპის 1988 წლის ჩემპიონატის გახსენება ვთხოვეთ. თუმცა მანამდე წინა ჩემპიონატზეც ვისაუბრეთ, როცა საბჭოთა კავშირის ნაკრებს სულ მცირედი დააკლდა ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად.**

- ევროპის 1984 წლის ჩემპიონატი ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ გათამაშებად არის მონათლული და დღესაც გული მწყდება, იქ რომ ვერ მოვხვდით. არადა, საბოლოო მიზანთან ძალიან ახლოს ვიყავით: შესარჩევი ტურნირის ბოლო მატჩში სტუმრად პორტუგალიასთან ფრეც გვყოფნიდა, მაგრამ მინიმალური სხვაობით დავმარცხდით.

**- საბჭოთა კავშირის ნაკრები მაშინ ანგარიშგასაწევ ძალად ითვლებოდა.**

- გეთანხმებით, ძალიან ძლიერი გუნდი გვყავდა - იგივე, იმ პორტუგალიას მოსკოვში 5:0 მოვუგეთ. თანაც, საბჭოთა კავშირის ნაკრებში ჩემს გარდა ალექსანდრე ჩივაძე და რამაზ შენგელია თამაშობდნენ. ასე რომ, ძალიან დიდი შანსი იყო, რომ 1984 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირზე ერთდროულად სამ ქართველ ფეხბურთელს გვეთამაშა.

**- თუმცა ოთხი წლის მერე თქვენ ეს მაინც მოახერხეთ. თანაც, ბევრს გაუკვირდა, როცა ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრეთ...**

- ბევრს კი არა, უპირველესად, მე გამიკვირდა - 1986 წელს, მსოფლიო ჩემპიონატის წინ აშკარად უკეთეს ფორმაში ვიყავი და ნაკრებში მაშინ არ გამომიძახეს. თუმცა ის უფრო პირადული მიზეზი იყო - ნაკრების იმდროინდელ მწვრთნელთან ედუარდ მალოფეევთან კონფლიქტი მქონდა. საბოლოოდ ისე მოხდა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყების წინ მალოფეევიც მოხსნეს, მაგრამ დროის სიმცირის გამო, ჩემი განაცხადში შეყვანა ვერ მოხერხდა.

**- მალოფეევის შემცვლელმა ვალერი ლობანოვსკიმ თავიდანვე დიდი ნდობა გამოგიცხადათ.**

- ახალი რა უნდა ვთქვა - უდიდესი მწვრთნელი იყო! ამასთან, შესაძლოა, ბევრმა არ დაიჯეროს, ჩინებული პიროვნებაც გახლდათ; რაც მთავარია, ძალიან სამართლიანი იყო და დამსახურებასაც არავის უკარგავდა.

**- ანუ, გინდათ თქვათ, რომ ნაკრებში ძველი დამსახურების გამო დაგაბრუნათ?**

- მთლად მასეც არ იყო... ფინალურ ტურნირამდე შესარჩევი ეტაპი იყო და ორ გასვლით მატჩში ძირითადში დამაყენა: ჯერ ისლანდიასთან, მერე - ნორვეგიასთან. ისლანდიასთან ერთადერთი გოლი გავიტანე და მერე მეხუმრებოდნენ, ნაკრებში ამ გოლის გამო დაგაბრუნესო...

**- რა თქმა უნდა, საბოლოო გადაწყვეტილებას მწვრთნელი მარტო მაგ გოლის გამო არ მიიღებდა.**

- ალბათ... საბჭოთა კავშირის ნაკრებში რვა წელიწადი ვითამაშე. ლობანოვსკიმაც კარგად იცოდა ჩემი შესაძლებლობები, მაგრამ მაინც მოულოდნელი იყო ჩემთვის ასეთი ნდობა. ცალკე - ტრავმები, ცალკე - ასაკი და საერთოდაც, 1988 წელს ფეხბურთისთვის თავის დანებებას ვაპირებდი. მაგრამ, ლობანოვსკიმ, მჭირდებიო...

**- ევროპის ჩემპიონატის დაწყების წინ გუნდს რა მიზანი დაუსახეს?**

- საკმაოდ ძლიერ ჯგუფში მოვხვდით - ჩვენთან ერთად ჰოლანდია, ინგლისი და ირლანდია იყო. ამის მიუხედავად, მიზანი ჯგუფიდან გასვლა იყო და მოვახერხეთ კიდეც. ეგ კი არა, ნამდვილად ვერავინ წარმოიდგენდა, ფინალამდე თუ გავაღწევდით. ყველაზე დიდი სენსაცია კი ნახევარფინალში მოვახდინეთ, როცა იტალიას მოვუგეთ.

**- საკუთარ ასპარეზობას როგორ შეაფასებდით?**

- პირველ მატჩში, ჰოლანდიას რომ მოვუგეთ, შეცვლაზე შემოვედი ზავაროვის ნაცვლად. მეორე შეხვედრაში, ირლანდიასთან უკვე ძირითადში ვიყავი. საკუთარი ასპარეზობის შეფასების რა მოგახსენოთ - რახან მწვრთნელი მათამაშებდა, ესე იგი, მენდობოდა. სამწუხაროდ, მერე ძველი ტრავმის რეციდივმა იჩინა თავი...

**- ბატონო თენგიზ, როგორ ფიქრობთ, საბჭოთა კავშირის ნაკრებს ფინალის მოგება შეეძლო?**

- ჰოლანდია სავსებით დამსახურებულად გახდა ევროპის ჩემპიონი. გახსოვთ, ალბათ, რა დონის ვარსკვლავები თამაშობდნენ - ვან ბასტენი, გულიტი, რაიკაარდი, კუმანი. ისე, ფინალში ჩვენს ნაკრებსაც არაერთი მომენტი ჰქონდა; ეგ კი არა, მეორე ტაიმში პენალტიც ვერ გამოვიყენეთ.

**- თუმცა ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორობაც არ იყო ურიგო შედეგი.**

- რასაკვირველია, მით უმეტეს, ჩემთვის - ევროპის ჩემპიონატის დასრულების მერე ხომ ძალიან მოკლე დროში კარიერა დავასრულე. უბრალოდ, იმაზე მწყდება გული, რომ ტრავმის გამო ფინალი გამოვტოვე. არადა, ლობანოვსკიმ მითხრა, რომ ფინალში გულიტის პერსონალური მეურვე უნდა ყოფილიყავიო...

**- ისევ დღევანდელობას დავუბრუნდეთ და გვაინტერესებს, ამ ჩემპიონატიდან რას ელოდებით?**

- ბოლოს და ბოლოს, დროა, რომ ნამდვილი ვარსკვლავები გამოჩნდნენ! აი, ისეთი ვარსკვლავები, მარკო ვან ბასტენი რომ იყო. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია - თანამედროვე ფეხბურთში გამოკვეთილი ინდივიდუალისტების ნაკლებობაა. აი, ადრე ყველგან ორი-სამი გამორჩეული ფეხბურთელი იყო. თუგინდ, 1988 წლის საბჭოთა კავშირის ნაკრები გავიხსენოთ - დასაევი, ზავაროვი, ბესონოვი.

**- თქვენი აზრით, ჩემპიონობის შანსი რომელ ნაკრებს ექნება?**

- ჩემი ფავორიტი იტალიის ნაკრებია! პირადი სიმპათიაც გამაჩნია და გუნდიც ერთობ ძლიერია. რაც შეეხება რუსეთის ნაკრებს, ვფიქრობ, რომ ქვეჯგუფიდან თუ გავიდნენ, დიდი წარმატება იქნება.

**გია ტუხაშვილი**

# ცხადაძის არჩევანი: სტანდარდი, ან საქართველო

## ჩასემი სტანდარდში სასურველი იქნებოდა

საქართველოს ნაკრების ექს-კაპიტანი **კახა ცხადაძე** არჩევანის წინაშეა. მას შეუძლია ბაქოს "სტანდარდთან" ახალი კონტრაქტი გააფორმოს, ან სამშობლოში დაბრუნდეს.

აზერბაიჯანული საინფორმაციო სააგენტო "აპა-ს" ინფორმაციით, ქართველ სპეციალისტს ბაქოს "სტანდარტმა" ახალი ხელშეკრულება შესთავაზა, დანარჩენი კი კახა ცხადაძემ "ლელოს" თავად გაუმხილა.



კახა ცხადაძე

**- კახა, ბაქოს "სტანდარტის" ახალ შეთავაზებას დათანხმდი?**

- ჯერ კიდევ ვფიქრობ. კონტრაქტი 1 ივნისს დამიმთავრდა და აჩქარება არ მსურს. მოსალაპარაკებელია ბევრი რამ.

**- თავს რატომ იკავებ? სხვა წინადადებაც ხომ არ შემოგთავაზეს?**

- მოლაპარაკება მაქვს აზერბაიჯანელებთან და არ დავმალავ, საქართველოშიც.

**- ქართული კლუბის ჩაბარებას გთავაზობენ?**

- არა, კლუბზე საუბარი არც ყოფილა.

**- ანუ მართალია, თითქოს პეტარ სეგრტის ეროვნულში დანიშვნის შემთხვევაში, ახალგაზრდულ ნაკრებს კახა ცხადაძე ჩაიბარებს?**

- ჯერ ამაზე კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, მხოლოდ ზოგადი საუბარი მქონდა და მეტი არაფერი. ჯერ გაურკვეველია, ვინ გახდება ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი. ამიტომაც, რთულია საუბარი, რა და როგორ იქნება.

**- თუმცა თქვენი საუბრიდან უნდა დავასკვნათ, რომ "სტანდარდიდან" წამოსვლასა და საქართველოში დაბრუნებას სულაც არ გამორიცხავ.**

- ვნახოთ. კონკრეტული წინადადება მხოლოდ ბაქოს "სტანდარდიდან" მაქვს.

**- როგორც შევიტყვეთ, ბოლნისის "სიონის" კამერუნელი თავდამსხმელის, ერიკ რომეო ჩასემის "სტანდარდში" წაყვანა გსურს.**

- ჩასემი ძალიან კარგი თავდამსხმელია და სიამოვნებით წავიყვანდი. უბრალოდ, ახლა თავად ვარ გაურკვევლობაში და ვერაფერს ვამბობ.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ სანდრო იაშვილთან

# ევროპაში დავრჩები



სანდრო იაშვილი

**სანდრო იაშვილი შარშან ამ დროს შვეიცარიაში, "თუნში" გადავიდა. კარიერული წინსვლის ეს შანსი, მიზეზთა გამო ვერ გამოიყენა, თუმცა სანდრო იმედიანადაა და ცხვირი არ ჩამოუშვია.**

**- სანდრო, მართალია, თითქოს თბილისის "დინამოში" ბრუნდები?**

- არა.

**- გუნდიდან ასეთი წინადადებით არავის მოუმართავს?**

- არავის, პირველად მესმის. ჯერ მე თვითონ არ ვიცი, სად ვითამაშებ და თქვენ რა გითხრათ.

**- რატომ ვერ მოახერხე "თუნში" დამკვიდრება - მთავარი მიზეზი რა იყო, ფსიქოლოგიური თუ წმინდა სპორტული?**

- რატომღაც, ყველაფერი ისე ვერ აეწყო, მე რომ მინდოდა. შესაძლოა, "თუნის" სქემაში ვერ ჩავჯექი, შესაძლოა, მეც რაღაც დავაკელი, მაგრამ მონდომებული ნაღდად ვიყავი.

მეორე მომენტი ის იყო, რომ თავად "თუნი" ვერ დალაგდა, არეულ გუნდში კი თავის გამოჩენა ძნელია. ბოლოს მწვრთნელიც აირია, შედეგი რომ არ ჰქონდა, ნერვიულობდა, უფრო გამოცდილ ფეხბურთელებს ენდობოდა და მე ძირითადში აღარ მათამაშებდა. მე კი თამაში მჭირდებოდა და ვერ ვითამაშე. სეზონის დიდი ნაწილი არ მითამაშია.

**- ალბათ, "თუნში" აღარ დარჩები...**

- რაღაც ვარიანტები არის და უნდა გავარკვიო, რომელი უფრო რეალურია.

**- როგორც ვიცით, წლეულს "შტურმშიც" ივარჯიშე. რეალურია, რომ ავსტრიაში გადახვიდე?**

- ჯერ არ ვიცი, სად ვითამაშებ. საერთოდ, კონტრაქტის გაფორმებამდე ლაპარაკს მოვერიდები. როდესაც ყველაფერს წერტილი დაესმება, მერე დასამალიც არაფერი იქნება. ჯერ კი რა გითხრათ - ვარიანტები არის, მაგრამ რომელი უფრო რეალურია, მალე მეცოდინება. ერთი ვიცი, ჯანი მაქვს, მონდომებაც და ჩემს სიტყვას მაინც ვიტყვი.

**- ევროპაში დარჩები?**

- დიახ, ასე ვაპირებ.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. სეზონის შეჯამება. ვიტ ჯორჯია

# სტაბილური და პერსპექტიული

### ვიტ ჯორჯია

FC WIT GEORGIA NOBLESS OBLIGE

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| ბედიაშვილი (მეკ.) | 25 | 25 | -11 | - | - |
| გ. დათუნაიშვილი | 25 | 24 | 5 | 3 | - |
| სახოკია | 25 | 23 | 6 | 3 | - |
| ა. კვახაძე | 24 | 24 | - | 4 | 1 |
| კლიმიაშვილი | 24 | 22 | 3 | 6 | - |
| გ. მელქაძე | 24 | 19 | 5 | 1 | - |
| რაზმაძე | 23 | 23 | 3 | 7 | - |
| დ. ლომაია | 23 | 23 | 1 | 4 | - |
| პ. დათუნაიშვილი | 23 | 21 | 2 | 1 | - |
| ლუჭაშვილი | 23 | 11 | 1 | - | - |
| ბექვაია | 21 | 19 | 4 | 4 | - |
| ბერიაშვილი | 19 | 3 | 1 | 1 | - |
| ჯაფარიძე | 18 | 17 | - | - | - |
| გელაშვილი* | 13 | 13 | 8 | 3 | - |
| ჯ. ლიპარტია | 12 | 1 | 3 | 1 | - |
| ინჯგია | 11 | 3 | - | 2 | - |
| კაიშაური | 7 | 6 | - | - | - |
| ყველაშვილი** | 6 | 3 | 1 | 2 | - |
| კვალიძე | 4 | 1 | - | - | - |
| მიქაბერიძე (მეკ.) | 2 | 1 | -3 | - | - |
| მაისაშვილი | 2 | 1 | - | 1 | - |
| ბ. ცხადაძე** | 2 | - | - | - | - |
| პირველი | 1 | 1 | - | - | - |
| ადამაძე | 1 | 1 | - | - | - |
| ჯანელიძე | 1 | - | - | - | - |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 26 | 23 | 1 | 2 | 67-18 | 70 |
| *2. ვიტ-ჯორჯია* | *26* | *19* | *3* | *4* | *45-14* | *60* |
| 3. ზესტაფონი | 26 | 18 | 5 | 3 | 56-16 | 59 |
| 4. ოლიმპი | 26 | 16 | 4 | 6 | 26-16 | 52 |
| 5. ამერი | 26 | 15 | 3 | 8 | 48-27 | 48 |
| 6. მესხეთი | 26 | 11 | 6 | 9 | 29-30 | 39 |
| 7. მგლები | 26 | 10 | 3 | 13 | 27-33 | 33 |
| 8. სიონი | 26 | 9 | 5 | 12 | 34-35 | 32 |
| 9. ბორჯომი | 26 | 9 | 4 | 13 | 32-39 | 31 |
| 10. ლოკომოტივი | 26 | 7 | 6 | 13 | 27-35 | 27 |
| 11. სპარტაკი | 26 | 5 | 8 | 13 | 15-28 | 23 |
| 12. მერანი | 26 | 6 | 1 | 19 | 15-54 | 19 |
| 13. ბათუმი | 26 | 4 | 4 | 18 | 16-51 | 16 |
| 14. დილა | 26 | 1 | 5 | 20 | 12-53 | 8 |




სეზონის წინ ვეტერინარებმა მიზნად ევროსაგზურის მოპოვება დაისახეს და ეს ამოცანა შეასრულეს კიდეც. ჩემპიონატის ბოლო ტურებამდე "ვიტ ჯორჯია" ოქროს მედლების მოპოვების შანსსაც კი ინარჩუნებდა, მაგრამ შინ "დინამოს" ვერ სძლია. სამაგიეროდ, ნესტორ მუმლაძის გუნდმა სატურნირო ცხრილში "ზესტაფონს" გადაუსწრო და უეფას თასზე ისტორიაში მესამედ იასპარეზებს.

საქართველოს თასის გათამაშებაზე "ჯორჯიას" აქცენტი იმთავითვე არ გაუკეთებია. ამ ტურნირზე ვეტერინარები სათადარიგო შემადგენლობით თამაშობდნენ და ჯგუფურ ეტაპს ვერ გასცდნენ, სამაგიეროდ, ჩემპიონატში იყვნენ სტაბილურები. ამის დასტურად თუნდაც ის ფაქტი გამოდგება, რომ "ვიტ ჯორჯიას" სეზონის მსვლელობისას მხოლოდ ერთი მცირე ჩავარდნა ჰქონდა – პირველობის საწყის ნაწილში, როცა გუნდმა ზედიზედ ორი მატჩი წააგო. სატურნირო ცხრილის ზედა ნაწილის ბინადრებთან კი ვერცხლისმედალოსნებს დადებითი ბალანსი აქვთ – ჩემპიონ "დინამოსა" და ვიცეჩემპიონ "ზესტაფონთან" "ვიტ ჯორჯიამ" 4-4 ქულა მოიპოვა.

კლუბის წარმატება ყველა რგოლის თანაბარმა სიძლიერემ და სტაბილური შემადგენლობის შენარჩუნებამაც განაპირობა. პირველი წრის დასრულების შემდეგ "ჯორჯია" მხოლოდ მისმა საუკეთესო ბომბარდირმა ნიკოლოზ გელაშვილმა დატოვა. თუმცა მისი წასვლა გუნდისთვის მაინც დიდი დანაკლისი აღმოჩნდა – მეორე წრეში ვეტერინართა ერთადერთი თვალსაჩინო პრობლემა მეგოლე ფორვარდის არყოფნა იყო.

ბუნებრივია, გუნდის წარმატებაში უდიდესი წვლილი მთავარ მწვრთნელ ნესტორ მუმლაძეს მიუძღვის. კლუბის ხელმძღვანელობამ მასთან გრძელვადიანი ხელშეკრულება გააფორმა და ამ გადაწყვეტილებამ სრულიად გაამართლა.

"ვიტ ჯორჯია" თავისი პროგრამითა და პოლიტიკით საქართველოს ერთ-ერთ წარმატებულ კლუბად რჩება. არსებობის რამდენიმეწლიან ისტორიაში "ჯორჯიას" დაშლის საფრთხე არასოდეს დამუქრებია, რაც ჩვენს პირობებში უკვე ბევრს ნიშნავს.

### საუკეთესო მატჩი

შეხვედრების უმეტესობა "ვიტ ჯორჯიამ" მაღალ დონეზე ჩაატარა, გამოსარჩევი კი მაინც ის მატჩებია, რომლებშიც ვეტერინარებმა უშუალო კონკურენტებს სძლიეს. პირველ წრეში მუმლაძის გუნდმა სტუმრად "დინამოს" მოუგო, მეორე წრის საწყის მატჩში კი შინ "ზესტაფონი" დაამარცხა. ორივე შემთხვევაში ვეტერინართა უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა.

### ყველაზე ცუდი მატჩი

ზედიზედ ორჯერ "ვიტ ჯორჯია" V-VI ტურებში დამარცხდა. "სიონსა" და "ბორჯომთან" გუნდი საკუთარ თავს არ ჰგავდა.

### პლუსი

წლებია, "ვიტ ჯორჯია" სტაბილურ შემადგენლობას ინარჩუნებს. შესაბამისად, გუნდი კარგადაა შეთამაშებული. მუმლაძის გუნდი ძლიერი კოლექტიური თამაშით გამოირჩევა.

### მინუსი

უკვე აღვნიშნეთ და კიდევ გავიმეორებთ – მეორე წრეში გუნდს თავდასხმაში ჰქონდა ხარვეზები.

### რჩეულნი

გასულ სეზონში "ვიტ ჯორჯიას" რამდენიმე ფეხბურთელმა განიცადა საგრძნობი პროგრესი. ამათგან უპირველესად **ირაკლი კლიმიაშვილი** უნდა გამოვარჩიოთ. მეორე წრეში **გიგა ბექვაიამ** და **ჯაბა ლიპარტიამაც** დაგვამახსოვეს თავი. ბუნებრივია, გუნდის წარმატებაში მის უფრო გამოცდილ წევრებსაც დიდი წვლილი მიუძღვით.

### საკადრო პოლიტიკა

რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი საზღვარგარეთულ კლუბში შეეცდება დამკვიდრებას, თუმცა გუნდის ბირთვი დიდად არ შეიცვლება.

### ფინანსური მდგომარეობა

"ვიტ ჯორჯია" ქართული საზომებით, წელგამართული კლუბია. ფინანსური პრობლემები ვეტერინარებს არც მომავალ სეზონში უნდა შეექმნათ.

### მიზნები

როგორც ყოველთვის, შიდა ასპარეზზე "ვიტ ჯორჯია" მაღალ ამოცანებს შეეჭიდება. პროგრამა-მაქსიმუმი კვლავ ქვეყნის ჩემპიონობა იქნება, პროგრამა-მინიმუმი კი უეფას თასზე გასვლა.

**ლევან ჯანეზაშვილი**




**I ტური**
ს | ზესტაფონი | 1:1
გოლი: სახოკია

**II ტური**
შ | ლოკომოტივი | 1:0
გოლი: კლიმიაშვილი

**III ტური**
ს | დილა | 1:0
გოლი: დ. ლომაია

**IV ტური**
შ | ოლიმპი | 2:1
გოლები: გელაშვილი, სახოკია

**V ტური**
ს | სიონი | 1:3
გოლი: გელაშვილი

**VI ტური**
შ | ბორჯომი | 1:2
გოლი: გელაშვილი

**VII ტური**
ს | მერანი | 3:0
გოლები: გელაშვილი, მელქაძე, გ. დათუნაიშვილი

**VIII ტური**
შ | სპარტაკი | 1:0
გოლი: რაზმაძე

**IX ტური**
ს | დინამო | 1:0
გოლი: რაზმაძე

**X ტური**
შ | ბათუმი | 4:1
გოლები: გელაშვილი, სახოკია, გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი

**XI ტური**
ს | მგლები | 3:0
გოლები: გელაშვილი (2), მელქაძე

**XII ტური**
შ | მესხეთი | 3:0
გოლები: გელაშვილი, გ. დათუნაიშვილი, ლუჭაშვილი

**XIII ტური**
ს | ამერი 3:0 (ტექნიკ., 1:0-ზე შეწყდა)
გოლი: მელქაძე

**XIV ტური**
შ | ზესტაფონი | 2:1

**XV ტური**
ს | ლოკომოტივი | 1:0
გოლი: რაზმაძე

**XVI ტური**
შ | დილა | 2:0
გოლები: ლიპარტია

**XVII ტური**
ს | ოლიმპი | 1:0
გოლი: პ. დათუნაიშვილი

**XVIII ტური**
შ | სიონი | 4:0
გოლები: სახოკია (2), მელქაძე, კლიმიაშვილი

**XIX ტური**
ს | ბორჯომი | 2:1
გოლები: გ. დათუნაიშვილი, ბერიაშვილი

**XX ტური**
შ | მერანი | 3:0
გოლები: პ. დათუნაიშვილი, ბექვაია, ლიპარტია

**XXI ტური**
ს | სპარტაკი | 0:0

**XXII ტური**
შ | დინამო | 0:0

**XXIII ტური**
ს | ბათუმი | 3:0
გოლები: ბექვაია (2)

**XXIV ტური**
შ | ამერი | 0:1

**XXV ტური**
შ | მგლები | 2:1
გოლები: ლიპარტია, სახოკია

**XXVI ტური**
ს | მესხეთი | 0:2

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ტრანსფერის მოლოდინში

# კრისტიანო რონალდო: გამიშვით რეალში!

## იუნაიტედი: რონალდოს არანაირ ფასად არ გავყიდით

**კრისტიანო რონალდომ** "მანჩესტერ იუნაიტედი" შოკში ჩააგდო. თუ ადრე მისი სახელით ინკოგნიტო მეგობარი საუბრობდა, გუშინ თავად დაადასტურა, რომ "რეალში" გადასვლა უნდა. სერ **ალექს ფერგიუსონს** იმედი ჰქონდა, რომ პორტუგალიელ სუპერვარსკვლავს კიდევ ერთი წელიწადი შეინარჩუნებდა, მაგრამ ეტყობა, სამეფო კლუბი გადამწყვეტ იერიშზეა გადასული და რონალდოს მოსვენებას არ აძლევს. ეს არ მოეწონებოდა პორტუგალიელთა მწვრთნელ **ლუიშ ფელიპე სკოლარისაც**, რომელმაც ფეხბურთელიც გააფრთხილა და პრესაც, რომ ევროპის ჩემპიონატის დღეებში სატრანსფერო თემაზე საუბარი არ ყოფილიყო. ჟურნალისტი **ჟულიო გომეშ ფილიო**, რომელიც რონალდოსთან 6 წელიწადია მეგობრობს, პორტუგალიის ნაკრების ბაზაზე ბრძანდებოდა. სწორედ იქ ჩაწერა მან ინტერვიუ, რომელიც ბრაზილიურმა ინტერნეტ-გაზეთმა "ტერამ" გამოაქვეყნა. აი, ყველაზე საგულისხმო ფრაგმენტი ამ ინტერვიუდან:

*"თუ მართალია ის, რასაც "რეალი" "მანჩესტერ იუნაიტედს" ჩემს ტრანსფერში სთავაზობს, მაშინ მადრიდში სიამოვნებით გადავალ. ასე რომ, ყველაფერი ჩემზე არ არის დამოკიდებული".*

ჟურნალისტი კი განმარტავს: *"კრისტიანომ მთხოვა, რომ პრესკონფერენციაზე მისთვის ტრანსფერის თაობაზე კითხვა არ დამესვა, ხოლო ინტერვიუ რედაქციაში გადამეგზავნა"*. მაგრამ კორესპონდენტი ვერ დასვამდა კითხვას იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ სკოლარიმ რონალდო გუშინდელი პრესკონფერენციიდან მოხსნა. მწვრთნელის მხრიდან ეს იყო ერთგვარი პრევენცია, რათა ჟურნალისტებს კრისტიანო უადგილო კითხვებით არ შეეწუხებინათ...

რონალდოს განცხადებას მყისვე გამოეხმაურა "იუნაიტედის" მცველი **რიო ფერდინანდი**, რომელმაც მეგობარს "ოლდ ტრეფორდზე" დარჩენა ურჩია. მაგრამ უნდა გავუგოთ კრისტიანოსაც, რომელმაც "მანჩესტერში" ყველაფერი მოიგო და



კრისტიანო რონალდომ მანჩესტერს ენა გამოუყო

ახალი გამოწვევა სჭირდება. ის ჯერ 23 წლისაა. ამ გამოწვევისთვის კი "რეალი" იდეალური სამსახურია. აღარაფერს ვამბობთ პირობებზე, რომელსაც მადრიდული გრანდი "იუნაიტედსა" და თავად ფეხბურთელს სთავაზობს. "რეალი" მზადაა, ინგლისის ჩემპიონსა და ლიგის გამარჯვებულს 75 მილიონი გირვანქა გადაუხადოს. თუ გარიგება შედგა, ეს უპრეცედენტო მოვლენა იქნება მსოფლიო ფეხბურთისა და ზოგადად სპორტული კონტრაქტების ისტორიაში. რაც შეეხება თავად რონალდოსთვის შეთავაზებულ პირობებს, ესეც საზღაპროა: 5-წლიანი ხელშეკრულება და მარტო ხელფასის სახით 300 ათასი გირვანქა კვირაში!

ამასობაში, ოფიციალური განცხადება გააკეთა "მანჩესტერის" ხელმძღვანელობამაც: *"ჩვენი პოზიცია უცვლელი რჩება. ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი აკავშირებს. ჩვენ არ ვაპირებთ კრისტიანო რონალდოს გაყიდვას და გასულ კვირას ეს ყველასთვის გასაგებად დავაფიქსირეთ".*

ჩელსი

# რაიკაარდი ან მანჩინი

## აბრამოვიჩი და კენიონი მათ მომავალ კვირაში შეხვდებიან



ფრანკ რაიკაარდი



რობერტო მანჩინი

BBC-ის ინფორმაციით, "ჩელსის" სამწვრთნელო ვაკანსიაზე პრეტენზიას ახლა მხოლოდ ორი სპეციალისტი აცხადებს: **ფრანკ რაიკაარდი** და **რობერტო მანჩინი**. ანუ, როგორც მოსალოდნელი იყო. ეს სურათი მივიღეთ მას მერე, რაც **კარლო ანჩელოტიმ, მარჩელო ლიპიმ, გუუს ჰიდინკმა** და სხვა ცნობილმა სპეციალისტებმა "არისტოკრატების" გაწვრთნაზე უარი განაცხადეს.

დღეს ევროპის ჩემპიონატი იწყება და "ჩელსის" ბოსები ფიქრობენ, რომ რაიკაარდსა და მანჩინის მშვიდ ვითარებაში დაელაპარაკებიან. მართალია. ახლა, ლონდონური გრანდისთვის ნამდვილად არავის სცხელა. მომავალ კვირაში, **რომან აბრამოვიჩი** და კლუბის აღმასრულებელი დირექტორი **პიტერ კენიონი** ჰოლანდიელსა და იტალიელს ცალ-ცალკე შეხვდებიან. სავარაუდოდ, პირველი გასაუბრება რაიკაარდთან შედგება.

უნდა ითქვას, რომ მას გარკვეული უპირატესობა აქვს: "ბარსას" ყოფილ მწვრთნელს მხარს უჭერს აბრამოვიჩთან დაახლოებული **ფრანკ არნესენი**, 80-ანი წლების დანიური "დინამიტის" ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა, რომელიც ახლა "ჩელსის" აკადემიას ხელმძღვანელობს, და ასევე, რუსი ოლიგარქის საფეხბურთო კონსულტანტი **პიტ დე ვისერი**.

მანჩინი კი, როგორც ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, უპატრონოა. შეიძლება, მას ხელი შეუშალოს ყბადაღებულმა სკანდალმაც, რომელიც, ვითომ, მავან ნარკომოვაჭრესა და მის ურთიერთობებს უკავშირდება. მანჩინის ეჭვი აქვს, რომ ამ ყველაფრის უკან "ინტერი" დგას, ანუ, ის ხალხი, ვინც მისთვის სახელის გატეხვას ბინძური სპეკულაციების გზით შეეცადა. რობერტო დაემუქრა თავისი ყოფილი კლუბის მესვეურთ, რომ თუ პრესაში გავრცელებული ამ სიბინძურის უკან მართლა "ინტერის" ბოსები დგანან, სასამართლოში სირბილი და სასჯელი არ ასცდებათ.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ტრეზეგე ორ ცეცხლშუა

## სად არის სიმართლე? იუვენტუსი და მაინც ბარსა?

**დავიდ ტრეზეგეს** თაობაზე ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდება. მაგალითად, გუშინ, "გაძეტა დელო სპორტი" დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ფრანგი ფორვარდი, რომელიც ევროპის ჩემპიონატზე არ წაიყვანეს, დღე-დღეზე "ბარსელონას" საკუთრება გახდება. როგორც ამბობენ, ტრეზეგეს ყიდვა "ბარსას" ახალი მწვრთნელის **ხოსეპ გვარდიოლას** დიდი სურვილი ყოფილა. სხვათა შორის, 2004 წელს დავიდს კატალონიელებთან წინასწარი კონტრაქტიც ჰქონდა გაფორმებული, მაგრამ "იუვეს" მაშინდელმა დამრიგებელმა **ფაბიო კაპელომ**, რომელიც გუნდში ორიოდ დღის მისული იყო, ტრეზეგეს დარჩენა სთხოვა...

როგორც "გაძეტა" ამტკიცებს, ტურინული გრანდის სპორტული დირექტორი **ალესიო სეკო** და გენერალური მენეჯერი **ჟან-კლოდ ბლანი** უკვე აწარმოებენ მოლაპარაკებას "ბლაუგრანას" უფროსობასთან, **კლაუდიო რანიერი** კი, კაპელოსგან განსხვავებით, ტრანსფერზე ვეტოს დადებას არ აპირებს. მას უკვე ჰყავს კარვალიო ამაური, რომელსაც ძირითად შემადგენლობაში დააყენებს. თუკი თავდასხმაში ამაური და ალესანდრო დელ პიერო იქნებიან, ფრანგისთვის ადგილი აღარ რჩება. ის კი სათადარიგო სკამზე ჯდომას ვერ შეეგუება. ასე რომ, სიტუაცია გაურკვეველია.

"იუვენტუსი" ტრეზეგეში 20 მილიონი ევროს მიღებას გეგმავს. ამ ფულს ის **ჩაბი ალონსოს** შესაძენად გამოიყენებს, მიუხედავად იმისა, რომ "ლივერპული" ესპანელ საყრდენს 25 მილიონად აფასებს. როგორც ჩანს, მერსისაიდელები ალონსოს გაყიდვას მაინც აპირებენ, რადგან "ასტონ ვილადან" **გარეთ ბერის** ტრანსფერი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი ამბავია. "ლივერპული" მასში 18 მილიონ ევროს გადაიხდის...

დავუბრუნდეთ ტრეზეგეს. თავის მხრივ, ფეხბურთელი აცხადებს არსად წასვლას არ აპირებს. მეტიც, 30 წლის "ტრეზეგოლს" სურს, კარიერა სულაც "იუვენტუსში" დაასრულოს. აი, მისი კომენტარიც:

*"კლუბთან კონტრაქტი 2011 წლამდე მაქვს და იმედია, კარიერასაც აქვე დავასრულებ. "ბარსელონასთან" ხელშეკრულების გაფორმებას ოთხი წლის წინაც ვაპირებდი. ეს ის პერიოდი იყო, როცა დავრწმუნდი, რომ "იუვენტუსის" ახალ პროექტში ჩემი ადგილი არ იყო. ამიტომაც დავთანხმდი კატალონიელებთან მოლაპარაკებას. მაგრამ მერე მოვიდა ფაბიო კაპელო, რომელმაც დამარწმუნა, რომ უნდა დავრჩენილიყავი... მე მიყვარს "იუვე" და არანაირი სურვილი არ მაქვს, რომ სხვაგან წავიდე".*



დავიდ ტრეზეგე

### ამელია პალერმოს კარში

"პალერმომ" სერიოზული ტრანსფერი გაჩარხა. იტალიის ნაკრების მეორე მეკარე **მარკო ამელია**, რომელიც "სკუადრა აძურასთან" ერთად ევროპის ჩემპიონატზე იმყოფება, მომავალი სეზონიდან სიცილიური კლუბის კარს დაიცავს. ამელიამ "ლივორნოდან" წასვლა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ტოსკანური კრებული სერია A-დან გავარდა. ამ კლუბში ის 7 სეზონის განმავლობაში თამაშობდა და 150-ზე მეტ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. 26 წლის კიპერს ჰქონდა შანსი, რომელიმე დიდ კლუბში გადასულიყო, მაგრამ ამჯერად ეს არ მოხერხდა.

"პალერმოსთან" მან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. მართალია, ტრანსფერის საფასურზე ოფიციალური წყაროები არაფერს იტყობინებიან, მაგრამ მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ სიცილიელებს ეს სიამოვნება სადღაც 5-7 მილიონი გირვანქა დაუჯდათ.

ამ მომენტისთვის, კლუბმა უკვე გადაიბირა ნახევარმცველი **ანტონიო ნოჩერინო** ("იუვენტუსი"), მარჯვენა მცველი **ანდრეა რაჯი** ("ემპოლი"), ფლეიმეიქერი **ფაბიო ლივერანი** ("ლაციო") და იმედისმომცემი ფორვარდი **დავიდე ლანცაფამე**, რომელიც სანახევროდ "იუვეს" საკუთრებაა, ბოლო სეზონი კი სერია B-ს მობინადრე "ბარიში" აქვს გატარებული.

### მალდინი კიდევ ერთი წლით

**პაოლო მალდინის** მწვანე მინდორი არ ეთმობა. "მილანის" ლეგენდამ და კაპიტანმა, რომელიც 26 ივნისს 40 წლისა მოიყრება, პენსიაში გასვლა გადადო და მშობლიურ კლუბთან კონტრაქტი კიდევ ერთი წლით გააგრძელა. ახალი სეზონი პაოლოსთვის 24-ე იქნება მილანურ კარიერაში.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# მანსინი ბარსას მოურიგდა?

"ილ რომანისტას" ინფორმაციით, "ჯალოროსის" ფორვარდი **ამანტინო მანსინი** "ბარსელონაში" გადასასვლელად ემზადება. როგორც გაზეთი გვამცნობს, ბრაზილიელ გარემარბს კატალონიურ გრანდთან პერსონალური კონტრაქტის დეტალები შეუთანხმებია.

მთელი ორი წელიწადია, მანსინის "რომადან" წასვლას უწინასწარმეტყველებენ. როგორც ჩანს, ეს დროც რეალურად დადგა. მისი კონტრაქტი 2009 წლის 30 ივნისს იწურება. მანსინი ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარს ამბობს. მისი და **ლუჩანო სპალეტის** ურთიერთობები, რბილად რომ ვთქვათ, იდეალური ნამდვილად არ არის. ამიტომ, "რომას" ურჩევნია, ის ახლავე გაყიდოს, ვიდრე მომავალ წელს თავისუფალი აგენტის სტატუსით გაუშვას და ერთი ცენტიც ვერ აიღოს. "ბარსელონას" გარდა, მანსინის გარშემო განვითარებულ მოვლენებს "ლივერპული", "ინტერი", "ლიონი" და "იუვენტუსიც" აკვირდებიან. კატალონიელები კი



ამანტინო მანსინი

სულ რაღაც ერთი კვირის წინათ გააქტიურდნენ. იტალიელი სუპერაგენტი **ერნესტო ბრონცეტი**, რომელიც არა ერთ გრანდთან თანამშრომლობს, გუშინ რომში ჩაბრძანებულა და მოლაპარაკებებიც გაუჩაღებია.

მანსინის აგენტ **ჟილმარ ველოზუს** ინფორმაციით კი, მის კლიენტს "ბარსასთან" 4-წლიანი ხელშეკრულების პირობები უკვე შეთანხმებული აქვს. "ბლაუგრანა" ბრაზილიელს სეზონურად 3.7 მილიონ ევროს გადაუხდის. ამავე დროს, ყურადსაღებია ისიც, რომ კატალონიური გრანდის მესვეურთ ტრანსფერი ოფიციალურად არ დაუდასტურებიათ, თუმცა საგულისხმოა, რასაც კლუბის ვიცე-პრეზიდენტი **ფერან სორიანო** ფეხბურთელთან დაკავშირებით ამბობს: *"ვერ ვიტყვი, რომ მანსინი არ გვაინტერესებს. პირიქით, ძალიანაც კარგი ფეხბურთელია, მაგრამ ჯერ არც მასთან გვისაუბრია და არც "რომასთან". ამიტომ, უნდა დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას".*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008. დღევანდელი მატჩების წინ

# ითამაშებს თუ არა ბაროში?

**A ჯგუფი**

**შვეიცარია-ჩეხეთი**

სავარაუდო შემადგენლობები

**შვეიცარია:** ბენალიო, ლიხტშტაინერი, სენდეროსი, მიულერი, მანინი, ბეჰრამი, ინლერი, ფერნანდესი, ბარნეტა, ფრაი, შტრელერი.

**ჩეხეთი:** ჩეხი, გრიგერა, უიფალუში, როზენალი, იანკულოვსკი, იაროლიმი, გალაშეკი, პლასილი, სიონკო, ბაროში, კოლერი.

**მსაჯი:** რობერტო როზეტი (იტალია)



მილან ბაროში



შვეიცარიის ნაკრების ვარჯიში მხიარულად მიმდინარეობდა

დღეს, თბილისის დროით 20 საათზე, ევროპის ჩემპიონატი დაიწყება. ტურნირს A ჯგუფის გუნდები გახსნიან. ბაზელში, თანამასპინძელი შვეიცარია ჩეხეთს შეხვდება. გამოცდილი ჩეხები შეეცდებიან, დაამტკიცონ, რომ ამ გუნდს წარმატების მიღწევა კიდევ შეუძლია.

შვეიცარიას ჩემპიონატის ერთ-ერთ ყველაზე ახალგაზრდული ნაკრები ჰყავს. მაგრამ მის შემადგენლობაშიცაა რამდენიმე ფეხბურთელი, რომელსაც დიდ ტურნირებში უთამაშია. *"2006 წლის შემდეგ უზარმაზარი გამოცდილება დავაგროვეთ. ვიცი, რა შეუძლიათ ჩემს თანაგუნდელებს. ისიც კარგად ვიცი, რომ მოტივაცია არ გვაკლია. გვინდა, ისტორია შევქმნათ. ამის გაკეთება ყველაზე იოლია მაშინ, როდესაც საკუთარ კედლებში თამაშობ,"* - ამბობს შვეიცარიელთა კაპიტანი **ალექსანდერ ფრაი.**

1976 წელს ყოფილმა ჩეხოსლოვაკიამ ევროპის პირველობა მოიგო. 1996 წელს ჩეხეთი ტურნირის ფინალში გავიდა (გერმანიასთან 1:2), 2004 წელს - ნახევარფინალში. ოთხი წლის წინანდელ გუნდს **კარელ პობორსკი** და **პაველ ნედვედი** ჰყავდა. ისინი ნაკრებს გამოეთხოვნენ. დღევანდელ გუნდს **ტომაშ როსიცკიც** ვერ დაეხმარება. მიმომხილველთა აზრით, ჩეხეთს ბოლო ჩემპიონატზე ნაჩვენები შედეგის გამეორება გაუჭირდება.

*"არ ვიცი, რატომ ჰგონია ხალხს, რომ ოთხი წლის წინათ უფრო ძლიერები ვიყავით. ზედიზედ სამი დიდი ტურნირის ფინალურ ეტაპზე გავედით. ვფიქრობ, ეს ფაქტი ჩვენი ნაკრების სიძლიერესა და სტაბილურობაზე მეტყველებს. წლევანდელ ტურნირზე დავამტკიცებთ, რომ კიდევ ბევრი შეგვიძლია,"* - ეს **დავიდ იაროლიმის** სიტყვებია.

ნეიტრალურად განწყობილი გულშემატკივარი, ალბათ, ბევრ გოლს ელის. მეტოქე გუნდებში თავიანთი ქვეყნების რეკორდსმენი თავდამსხმელები თამაშობენ - შვეიცარიელი ფრაის ანგარიშზეა 59 სანაკრებო მატჩი და 35 გოლი, ჩეხი **იან კოლერის** ანგარიშზე კი - 87 მატჩი და 54 გოლი. ისინი თავიანთი ნაკრებების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირები არიან.

შვეიცარიას გოლიათ კოლერთან (მისი სიმაღლეა 202 სანტიმეტრი) გამკლავება გაუჭირდება. წამყვან ცენტრალურ მცველ **პატრიკ მიულერს** ტრავმის გამო თითქმის მთელი სეზონი გაუცდა. მას სათამაშო პრაქტიკა აკლია. ასეთი დონის ტურნირში პრაქტიკას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

შვეიცარიელთა მეორე მწვრთნელი **მიშელ პონტი** ამბობს, რომ კოლერს ინდივიდუალურ მეურვეს არ მიუჩენენ: *"ჩვენი გუნდი ზინედინ ზიდანს გაუმკლავდა. სხვა დიდი ფეხბურთელების წინააღმდეგაც წარმატებით გვითამაშია. ჩეხებს, კოლერის გარდა, სხვა სახიფათო ფეხბურთელებიც ჰყავთ. მათ განეიტრალებას სწორად შერჩეული ტაქტიკით ვაპირებთ."*

ჩეხების თავკაც **კარელ ბრიუკნერს** არ დაუზუსტებია, ვის დაყენებას აპირებს შეტევის ხაზში. ჩეხი მიმომხილველები მწვრთნელს დაჟინებით ურჩევენ **მილან ბაროშის** ამოგდებას და ერთი თავდამსხმელით თამაშს. მათი აზრით, ეს ფორვარდი იან კოლერი უნდა იყოს. 2004 წელს ბაროშმა ხუთი გოლი გაიტანა და ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, თუმცა მას ნაკრების შემადგენლობაში 2007 წლის მარტის შემდეგ არ გაუტანია.

რაც შეეხება მცველ ტომაშ უიფალუშის, ის გამოჯანმრთელდა და შვეიცარიასთან თამაშს შეძლებს.

# პორტუგალიელებმა ნუნუ გომეშს 2000 წელი გაახსენეს

**A ჯგუფი**

**პორტუგალია-თურქეთი**

სავარაუდო შემადგენლობები

**პორტუგალია:** რიკარდო, ბოსინგვა, პეპე, რიკარდო კარვალიო, პაულუ ფერეირა, დეკუ, არმანდო პეტიტი, ჟოაო მოუტინიო, კრისტიანო რონალდო, ნუნუ გომეში, სიმაო.

**თურქეთი:** დემირელი, საბრი, გოხანი, სერვეთი, ჰაქან ბალთა, მეჰმეთ აურელიო, ერდინჯი, ჰამით ალთინთოფი, ემრე, თუნჯაი, ნიჰათი

**მსაჯი:** ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)



პორტუგალიის ნაკრების ვარჯიში

თუ **ნუნუ გომეში** თურქებს კიდევ ორ გოლს გაუტანს, პორტუგალიას დიდ სამსახურს გაუწევს. "ბენფიკის" თავდამსხმელმა დღევანდელი მეტოქე რვა წლის წინათაც დაამწუხრა. მან 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში თურქეთთან დუბლი შეასრულა. იმ ზაფხულს თურქების დღევანდელი თავკაცი **ფათიჰ თერიმი** "ფიორენტინაში" დაინიშნა. პირველი ფეხბურთელი, რომელიც თერიმმა შეიძინა, ნუნუ გომეში იყო.

ხანგრძლივი განშორების შემდეგ მოსწავლე და მასწავლებელი კვლავ ერთმანეთს ხვდებიან, ოღონდ მეტოქეების რანგში. პორტუგალია შვეიცარიაში იმ თასის მოსაგებად ჩავიდა, რომელსაც 12 წელიწადია, ახლოს უტრიალებს, მაგრამ ხელიდან ეცლება. 1996 წელს პორტუგალიელები მეოთხედფინალში გავიდნენ, 2000 წელს - ნახევარფინალში, 2004 წელს კი - ფინალში. ოთხი წლის წინათ ტურნირი მათ სამშობლოში ჩატარდა. მასპინძლებმა საბერძნეთთან სენსაციურად წააგეს.

იმხანად **კრისტიანო რონალდო** ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი იყო. დღეს ის მსოფლიოს ფეხბურთის ვარსკვლავია და მორიგ აღიარებას ელოდება. *"რონალდო და თითოეული ჩვენგანი პორტუგალიის ღირსებას უკანასკნელ წამამდე დავიცავთ. კარგად ვიცით, თუ რა ფასი აქვს ტურნირის წარმატებით დაწყებას,"* - თქვა პორტუგალიელთა მცველმა **ფერნანდო მეირამ.**

სხვათა შორის, გუნდმა ოთხი წლის წინანდელი ტურნირი წაგებით დაიწყო. ისინი იმ მატჩშიც საბერძნეთმა გაანბილა. *"პირველი მატჩი აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ძალიან მინდა, გავიმარჯვოთ, თუმცაღა არ ვეთანხმები მათ, ვისაც სჯერა - თუ პირველ თამაშს მოიგებ, ფაქტობრივად, მეოთხედფინალში ხარო,"* - ამბობს მეკარე **რიკარდო.**

რიკარდო და მისი თანაგუნდელები განსაკუთრებით მეტოქის მწვრთნელს, ფათიჰ თერიმს უნდა უფრთხილდნენ. "იმპერატორი" ევროპაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. შემთხვევითი არ იყო, რომ "გალათასარაიში" უეფას თასის მოგების შემდეგ, ის ჯერ "ფიორენტინაში", ხოლო შემდეგ "მილანში" მიიწვიეს. თერიმი თურქეთის ეროვნულ გუნდშიც ნაყოფიერად მუშაობს.

**ლუიშ ფელიპე სკოლარის** ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელად ჰყავს. კვირის დასაწყისში, მსუბუქად დაშავდა რონალდო. ორშაბათის ვარჯიშისას, მას ფეხზე ყინულის კომპრესი დაადეს. მწყობრშია **დეკუ სოუზა**, რომელმაც ხუთშაბათს ინდივიდუალურად ივარჯიშა. ბარსელონელს კუნთი დაეჭიმა და დიდ დატვირთვებს მოარიდეს. *"შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ თურქეთთან მატჩისათვის დეკუ მზად იქნება,"* - განაცხადა პორტუგალიის ნაკრების ექიმმა **ენრიკე ჟონესმა.**

თურქები დიდ საფეხბურთო ტურნირზე ექვსწლიანი პაუზის შემდეგ მოხვდნენ. მათ არც 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე უთამაშიათ და არც 2006 წლის მუნდიალზე. თერიმს "ბაიერნის" ნახევარმცველი **ჰამით ალთინთოფი** გამოუჯანმრთელდა. მარტში, ბელორუსთან ამხანაგური მატჩისას ფეხბურთელმა ტერფის ძვალი გაიტეხა და ორი თვეა გაუცდა. მან ნაკრების დასკვნით შეკრებაზე მთელი დატვირთვით ივარჯიშა. მწვრთნელები მისი მომზადებით კმაყოფილები დარჩნენ.

ევრო 2008

# პანუჩის დაშავდა

## რომაელი მცველის მდგომარეობა საგანგაშო არ არის. ჰოლანდიასთან? საეჭვოა. მატერაცი პრესაზე გამწყრალია


პანუჩიმ, შეიძლება, ჰოლანდია გამოტოვოს

იტალია

გუშინდელი ვარჯიშისას **კრისტიან პანუჩიმ** მუხლი იტკინა და მინდორი კოჭლობით დატოვა. ორშაბათს, როცა მსოფლიოს ჩემპიონები ჰოლანდიას შეხვდებიან, პანუჩის, ტრადიციულად, დაცვის მარჯვენა ფლანგზე უნდა ეთამაშა. ექიმების ვარაუდით, კრისტიანი მალე გამოჯანმრთელდება, მაგრამ ჰოლანდიასთან, ვერ ითამაშებს. რომაელი მცველი ისეთი იმედგაცრუებული იყო, ყინულის კომპრესი მოიძრო და შორს მოისროლა. პანუჩის გასვლის შემდეგ, **რობერტო დონადონიმ** დაცვაში რამდენიმე ვარიანტი მოსინჯა. საბოლოოდ, ცენტრში **მარკო მატერაცი** და **ანდრეა ბარძალი**, მარცხნივ **ფაბიო გროსო**, ხოლო მარჯვნივ **ჯანლუკა ძამბროტა** დააყენა. ჰოლანდიელთა წინააღმდეგ იტალიელთა უკანა ხაზი, ალბათ, ასე დაკომპლექტდება.

სანამ პანუჩი მინდვრის კიდეზე იჯდა და სინჯავდნენ, დონადონიმ "ვარდისფერი" გუნდის დაცვის მარჯვენა ფლანგზე (სავარაუდოდ, "ვარდისფერი" გუნდი განასახიერებდა ძირითად შემადგენლობას, რომელიც ჰოლანდიასთან ითამაშებს) თავისი ასისტენტი ბორტოლაცი დააყენა. ამ გუნდში იყვნენ: **ბუფონი, ბარძალი, მატერაცი, გროსო, გატუზო, დე როსი, ამბროზინი, კასანო, ტონი** და **დი ნატალე**. "ლურჯ" გუნდში აღმოჩნდნენ: **დე სანკტისი**, დაცვაში - **პეროტა, კიელინი, გამბერინი** და **ძამბროტა**, ნახევარდაცვაში - **კამორანეზი, პირლო** და **აკვილანი**, მათ წინ **დელ პიერო**, ხოლო თავდასხმაში **კვალიარელა** და **ბორიელო**.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ, "ვარდისფერი" გუნდი 4-4-2-ზე გადაეწყო და ასეთი სახე მიიღო: **დე სანკტისი, ძამბროტა, ბარძალი, მატერაცი, გროსო, პირლო, დე როსი, პეროტა კამორანეზი, ტონი** და **დელ პიერო**. მათ 4-2-3-1 სქემით მოთამაშე "ლურჯი" გუნდი შემდეგი შემადგენლობით დაუპირისპირდა: **ბუფონი, ბორტოლაცი** (მეორე მწვრთნელი), **გამბერინი, ამბროზინი, კიელინი, გატუზო, აკვილანი, კვალიარელა, კასანო, დი ნატალე** და **ბორიელო**. მატჩი 1:1 დასრულდა. გოლები **ამბროზინიმ** და **კვალიარელამ** გაიტანეს.

როგორც ნახეთ, მატერაცი ძირითად შემადგენლობაზე აცხადებს პრეტენზიას. გასულ სეზონში ის რამდენჯერმე დაშავდა და ბევრი მატჩი გამოტოვა. როცა ჯანმრთელი იყო, კლუბისა და ნაკრების მწვრთნელები მაშინაც თადარიგში სვამდნენ. იტალიელ მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ მატერაცი ჰოლანდიასთანაც სკამზე უნდა იჯდეს და მის ნაცვლად იუვენტუსელმა **ჯორჯო კიელინიმ** ითამაშოს.

ამგვარი სტატიების გამო, მატერაცი იტალიურ მედიაზე გამწყრალია, მაგრამ წყენას არ იმჩნევს: *"აპატიეთ მათ, თუ რამე გაწყენინეს, მაგრამ არასოდეს დაივიწყოთ მათი სახელები" - ეს, მგონი, ჯონ კენედიმ თქვა. ეს სიტყვები ზუსტად გამოხატავს იტალიელი ჟურნალისტებისადმი ჩემს დამოკიდებულებას".*

მარკო ამბობს, რომ საუცხოო ფორმაშია: *"საკუთარ შესაძლებლობებში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ მწვრთნელებმა, შესაძლოა, სხვაგვარად გადაწყვიტონ. ცრურწმენების ბავშვობიდან არ მჯერა. ვარჯიშებზე ბოლომდე ვიხარჯები. ყველა ხედავს, რაც შემიძლია".*

მატერაცის სასარგებლოდ მეტყველებს მისი უზარმაზარი გამოცდილება. ორშაბათს, იტალიურ დაცვას **რუუდ ვან ნისტელროის** შეჩერება მოუწევს. "რეალის" ვარსკვლავთან გამკლავებას სწორედ მატერაცის დარი გამოცდილი მცველი სჭირდება: *"ის დიდი თავდამსხმელია. სხვათა შორის, მის წინააღმდეგ არასოდეს მითამაშია. სიამოვნებით გამოვცდიდი საკუთარ თავს. მინდა, გითხრათ, რომ ენთუზიაზმი არ გამნელებია. უმოტივაციოდ რომ ვყოფილიყავი, ბოლო ორ წელიწადში ორ სკუდეტოსა და მსოფლიო თასს ვერ მოვიპოვებდი".*

თუ მატერაცის ძირითადში დააყენებენ, 17 ივნისს, საფრანგეთთან მატჩისას, უკლებლივ ყველა კამერა მისკენ იქნება მიმართული. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის შემდეგ, საფრანგეთში ის ჭირივით სძულთ. მარკო ფრანგებთან დაპირისპირებაზე არაფერს ამბობს. იქამდე, ორი არანაკლებ მნიშვნელოვანი შეხვედრა გველისო (ჰოლანდიის შემდეგ რუმინეთთან), ამტკიცებს "მატრიქსი".

პოლონეთი

### კუშჩაკი ევროს გამოეთიშა

პოლონეთის ნაკრები მეორე მეკარის, **ტომაშ კუშჩაკის** გარეშე დარჩა. "მანჩესტერ იუნაიტედის" კარის დარაჯმა ზურგი იტკინა. ექიმებმა მას იძულებითი შვებულება გამოუწერეს. ტომაშს უსიამოვნება ერთ-ერთი უკანასკნელი ვარჯიშისას შეემთხვა. ის გრაცის საავადმყოფოში გადაიყვანეს და საფუძვლიანი შემოწმება ჩაუტარეს. პოლონეთის ნაკრების პრეს-ატაშემ, **მარტა ალფმა** ჟურნალისტებს აუწყა, რომ კუშჩაკმა მინიმუმ სამი კვირა უნდა დაისვენოს. პოლონელები პირველ მატჩს ხვალ, კლაგენფურტში, გერმანელთა წინააღმდეგ ჩაატარებენ. გუნდის თავკაც **ლეო ბეენჰაკერს** არაფერი უთქვამს იმის შესახებ, გამოიძახებს თუ არა მესამე მეკარეს. მას შემადგენლობაში ცვლილების შეტანა გერმანიასთან მატჩამდე 24 საათით ადრე შეუძლია.

რუმინეთი

### სარეკორდო სასჯელი მუტუს

საფრანგეთთან მატჩისთვის მზადებაში მყოფმა **ადრიან მუტუმ** ცუდი ამბავი გაიგო. ფიფამ მას "ჩელსის" სასარგებლოდ 18.6 მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა. გულშემატკივარს ახსოვს, რომ 2004 წელს, როცა რუმინელი თავდამსხმელი "ჩელსიში" თამაშობდა, ის კოკაინის მოხმარებაში ამხილეს. **ჟოზე მოურინიომ** ფეხბურთელი მაშინვე დაითხოვა. დისკვალიფიკაციის მოხდის შემდეგ, მუტუმ კარიერა იტალიაში განაგრძო. მის ახალ კლუბს კი "არისტოკრატებისათვის" კომპენსაცია არ გადაუხდია. სასამართლო დავა ოთხი წელი გაგრძელდა და რუმინული გაზეთების ცნობით, ასეთი შედეგით დასრულდა. ფიფას ეს ინფორმაცია ჯერ არ დაუდასტურებია. მუტუს ადვოკატი კი აცხადებს, რომ ვერდიქტს აუცილებლად გაასაჩივრებს.

ევრო 2008. ექსპერტის თვალით. ინტერვიუ გარი ლინეკერთან

# ჩემი ფავორიტები? კრისტიანო რონალდო და ესპანეთი

**ევროპის ჩემპიონატის დაწყების წინ, BBC-მ ინტერვიუ სთხოვა ინგლისის ნაკრების ლეგენდარულ ფორვარდ გარი ლინეკერს, რომელიც მთავარი ბრიტანული კრებულის ყველა დროის ბომბარდირებს შორის მეორე ადგილზეა. ლინეკერი იყო ინგლისის იმ გუნდის წევრი, რომელმაც 1988 და 1992 წლების ევროპის ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე იასპარეზა. ხსენებული ტურნირებიდან ის ხელმოცარული დაბრუნდა. ინგლისის ნაკრებმა მაშინ ჯგუფიდანაც ვერ გააღწია. ამჯერად, ის ფინალურ ეტაპზეც კი ვერ მოხვდა. იმ სიტუაციაში, როცა ლინეკერის თანამემამულენი ევროზე არ მონაწილეობენ, ინგლისელის მიერ შეფასებული შანსები გაცილებით ობიექტური იქნება. გარდა ევროპროგნოზებისა, ლინეკერი სხვა თემებსაც შეეხო...**



გარი ლინეკერი

**- სერ ალექს ფერგიუსონმა და არსენ ვენგერმა თქვეს, ჩემპიონთა ლიგა გაცილებით საინტერესოა, ვიდრე სანაკრებო ფეხბურთიო. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

- ისინი საკლუბო მწვრთნელები არიან და ამდენად, აქვთ უფლება თქვან ის, რასაც ფიქრობენ. ისინი არ ზრუნავენ სანაკრებო ფეხბურთზე და ეს არც ევალებათ, მათი ინტერესის საგანი მხოლოდ საკუთარი კლუბების კეთილდღეობაა. ერთადერთი, რაც ფერგიუსონსა და ვენგერს აწუხებთ, ისაა, რომ ნაკრებში გამოძახებულმა "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "არსენალის" ფეხბურთელებმა ტრავმები არ მიიღონ... მაგრამ ნაკრების დანიშნულება და მნიშვნელობა გაცილებით მასშტაბურია, ვიდრე ზოგს წარმოუდგენია. ფეხბურთს უფრო მეტის მოტანა შეუძლია, ვიდრე სხვა, სპორტის რამდენიმე სახეობას, ერთად აღებულს. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, ის ნამდვილად დიდი ტურნირია, მაგრამ ნაკრები ეროვნული ერთიანობის, თვითმყოფადობის გამოვლინებაა და ამიტომაცაა მნიშვნელოვანი სანაკრებო ფეხბურთი. შეიძლება, ზოგიერთისთვის ადვილია, დაივიწყოს ინგლისის ნაკრებისთვის წარმატებული 1990 წლის მუნდიალი, რამაც შინაურ ჩემპიონატს დრამატიზმი და ინტრიგა შემატა. სწორედ ამ ჩემპიონატის შემდეგ დაიწყო ერთგვარი ბუმი საკლუბო ფეხბურთში, შეიქმნა პრემიერლიგა... ამდენად, სანაკრებო ასპარეზი ყოველთვის იყო, არის და დარჩება მთავარ მამოძრავებელ ფაქტორად, ფეხბურთის წინსვლის საქმეში. რაც არ უნდა თქვან, ჩემპიონთა ლიგა მსოფლიო თასსა და ევროპის პირველობას ვერასოდეს გაუტოლდება. და თუ ძლიერი კლუბები ნაკრებებს ანგარიშს არ გაუწევენ, ეს ზოგადად ფეხბურთს ჩააყენებს მძიმე ვითარებაში და საერთო კრიზისამდე მივალთ, ეს კლუბებსაც ეხებათ და ნაკრებებსაც.

**- იმ ვითარებიდან გამომდინარე, რომ ინგლისის ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე ვერ მოხვდა, როგორი შეიძლება იყოს მისი მომავალი?**

- ჩვენ გარეშე ევროპის ჩემპიონატს უთუოდ რაღაც დააკლდება და, რა თქმა უნდა, ეს არც ინგლისური ფეხბურთისთვისაა კარგი. ინგლისის ნაკრების ფეხბურთელთა მაღალი კლასის გათვალისწინებით, ეს წარმოუდგენელი მოვლენაა. ჩემი აზრით, ჩვენ დიდხანს მივდიოდით არასწორი გზით, ვერ ვაჩვენებდით ჩვენს ჭეშმარიტ პოტენციალს და ახლა სწორედ ამის საფასურს ვიმკით. თუმცა მდგომარეობა არც ისე საგანგაშოა. თუ 2010 წლის მუნდიალზე გავალთ, ვითარება რადიკალურად შეიცვლება. მე მგონი, არ იქნება ძნელი ამის მიღწევა, თუ ისევ ჩვენი მიზეზით არ გავაფუჭებთ საქმეს. ხშირად მესმის, ინგლისს ტალანტები არ ეზრდებაო. არ არის ასე. ბოლო წლებში საფეხბურთო აკადემიები სწორი გზით მიდიან. ვფიქრობ, დაახლოებით 6-10 წელიწადში ჩვენ რეალურ შედეგებს დავინახავთ. პესიმისტებს ჰგონიათ, რომ ინგლისი ვერასოდეს მოიგებს ვერც მსოფლიო ჩემპიონატს და ვერც ევროპის პირველობას. მე ყოველთვის იმედით ვცხოვრობ. შანსი აუცილებლად გვექნება, განსაკუთრებით მაშინ, როცა მსოფლიო თასს თავად ვუმასპინძლებთ. კი, მაგრამ, თუკი 2004 წელს ევროპის ჩემპიონატი საბერძნეთმა მოიგო, როგორ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ინგლისი ვერ შეძლებს ამას? ჩვენ ძალიან ახლოს ვიყავით გამარჯვებასთან 1990 წელს, როცა ნახევარფინალში პენალტებით დავმარცხდით მომავალ ჩემპიონთან. ეს საკმარისი მტკიცებულებაა იმისთვის, რომ ინგლისს ყოველთვის ჰქონდა და აქვს პოტენციალი. უბრალოდ, ამ ყველაფერს სწორი კალაპოტი და ეფექტური გამოყენება უნდა. აქ სამი მთავარი კრიტერიუმია: ტაქტიკური დისციპლინა, მაღალი კლასის მოთამაშეები და გუნდური სულისკვეთება. ამავე დროს, ჩვენი შინაური ჩემპიონატი მეტად სასტიკი და გადატვირთულია. რაღაც უნდა შევცვალოთ, თორემ ამით საკუთარ თავს ვმტრობთ.

**- ვინ გახდება ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე?**

- ჩემი აზრით, კრისტიანო რონალდო. ერთ რამედ ღირს ამ ბრწყინვალე მოთამაშის ყურება. მან 2006 წელსაც ჩინებულად ითამაშა, ასე რომ, დასამტკიცებელი არაფერი აქვს. ბოლო ორი წლის განმავლობაში ის უბრალოდ ფანტასტიური იყო. შესაძლოა, ხანდახან ფინტებში აჭარბებს, მაგრამ დღეს უფრო პრაგმატული გახდა და იცის, როდის უნდა იჟონგლიოროს ბურთით და როდის არა. რონალდო სწრაფია, ბრწყინვალედ აკონტროლებს ბურთს, ძლიერია ჰაერში და გააქვს ბევრი გოლი. მეტი რაღა უნდა მოვთხოვოთ ფორვარდს? ამიტომაცაა ის ექსტრაორდინარული ტალანტი...

**- ვინ მოიგებს ევროპის ჩემპიონატს?**

- მე ვფიქრობ, გზა ყველასთვის ღიაა, მაგრამ რატომღაც ესპანეთისკენ ვიხრები. მოვიდა დრო, როცა ამ გუნდმა თავისი სიტყვა უნდა თქვას. გადახედეთ შემადგენლობას: კარში მეტად საიმედო მეკარე კასილიასია, დაცვაში რამოსი, მერე ფაბრეგასი, ჩავი, წინ კი ფერნანდო ტორესი და ვილია... მოკლედ, ესპანეთს ყველაფერი აქვს იმისთვის, რომ ევროპის ჩემპიონატი ტრიუმფით დაასრულოს. ვიცოდი, რომ ტორესი კარგი ფორვარდი იყო, მაგრამ როცა "ლივერპულში" მივიდა და მისი თამაში რამდენჯერმე ცოცხლად ვნახე, დავრწმუნდი, რომ იმაზე უკეთესი ყოფილა, ვიდრე წარმომედგინა. ესპანელთა კიდევ ერთი უპირატესობა იმაშია, რომ ისინი დღეს თამამად მიდიან უცხოეთში სათამაშოდ, რაც ადრე არ ყოფილა. ამით, ესპანეთის ნაკრები დღეს უფრო მრავალფეროვანი გუნდია.

**- გამომდინარე იქიდან, რომ ავსტრია ფიფას რეიტინგში 92-ეა, ხოლო შვეიცარია 44-ე, როგორ ფიქრობთ, რა შანსები შეიძლება ჰქონდეთ ტურნირის მასპინძლებს?**

- მოდით, მასპინძლებს ცალკე ნუ გამოვყოფთ. მათ გარეშე ტურნირი აბსურდი იქნებოდა. წარმოიდგინეთ, 2006 წელს გერმანია რომ არ ყოფილიყო... შანსი კი, მეტ-ნაკლებად, ყველას აქვს და ვნახოთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ფეხბურთი

## A ჯგუფი

| 7 ივნისი, შაბათი | 11 ივნისი, ოთხშაბათი | 15 ივნისი, კვირა |
|---|---|---|
| 20:00 ბაზელი | 20:00 ჟენევა | 22:45ბაზელი |
| შვეიცარია-ჩეხეთი | ჩეხეთი-პორტუგალია | შვეიცარია-პორტუგალია |
| 22:45 ჟენევა | 22:45 ბაზელი | 22:45 ჟენევა |
| პორტუგალია-თურქეთი | შვეიცარია-თურქეთი | თურქეთი-ჩეხეთი |

## მეოთხედფინალი

22:45, ბაზელი A1 – B2 (Q1)

22:45, ვენა B1 – A2 (Q2)

## ნახევარფინალი

25 ივნისი, ოთხშაბათი

22:45, ბაზელი Q1– Q2

## B ჯგუფი

| 8 ივნისი, კვირა | 12 ივნისი, ხუთშაბათი | 16 ივნისი, ორშაბათი |
|---|---|---|
| 20:00 ვენა | 20:00 კლაგენფურტი | 22:45 კლაგენფურტი |
| ავსტრია-ხორვატია | ხორვატია-გერმანია | პოლონეთი-ხორვატია |
| 22:45 კლაგენფურტი | 22:45 ვენა | 22:45 ვენა |
| გერმანია-პოლონეთი | ავსტრია-პოლონეთი | ავსტრია-გერმანია |

## ფინალი

29 ივნისი, კვირა

22:45, ვენა

## შვეიცარია

| № | ფეხბურთელი | ა | დ.თ. | სმ | წონ | თამ | გოლ | კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დიეგო ბენალიო | მეკ | 08.09.83 | 193 | 83 | 1 | - | ვოლფსბურგი (გერ) |
| 2 | იოჰან ჯურუ | მცვ | 18.01.87 | 191 | 85 | 2 | - | არსენალი (ინგ) |
| 3 | ლუდოვიკ მანინი | მცვ | 20.04.79 | 185 | 74 | 48 | 3 | შტუტგარტი (გერ) |
| 4 | ფილიპ სენდეროსი | მცვ | 14.02.85 | 190 | 84 | 25 | 3 | არსენალი (ინგ) |
| 5 | სტეფან ლიხტშტაინერი | მცვ | 16.01.84 | 181 | 72 | 9 | - | ლილი (საფ) |
| 6 | ბენიამინ ჰუგელი | ნახ | 07.07.77 | 188 | 83 | 23 | - | ბაზელი |
| 7 | რიკარდო კაბანიასი | ნახ | 17.01.79 | 173 | 68 | 48 | 4 | გრასჰოპერსი |
| 8 | გიოქჰან ინლერი | ნახ | 27.06.84 | 182 | 77 | 14 | 1 | უდინეზე (იტა) |
| 9 | ალექსანდერ ფრაი | თავ | 15.07.79 | 179 | 74 | 56 | 32 | დორტმუნდი (გერ) |
| 10 | ჰაქან იაკინი | ნახ | 22.02.77 | 180 | 79 | 63 | 15 | იანგ ბოიზი |
| 11 | მარკო შტრელერი | თავ | 18.06.81 | 195 | 82 | 26 | 11 | ბაზელი |
| 12 | ერენ დერდიოკი | თავ | 12.06.88 | 190 | 83 | 1 | 1 | ბაზელი |
| 13 | სტეფან გრიხტინგი | მცვ | 30.03.79 | 186 | 80 | 6 | - | ოსერი (საფ) |
| 14 | დანიელ ჟიგაქსი | ნახ | 28.08.81 | 179 | 73 | 31 | 5 | მეცი (საფ) |
| 15 | ჟელსონ ფერნანდესი | ნახ | 02.09.86 | 183 | 70 | 5 | - | მანჩესტერ სიტი (ინგ) |
| 16 | ტრანკვილო ბარნეტა | ნახ | 22.05.85 | 176 | 62 | 31 | 6 | ლევერკუზენი (გერ) |
| 17 | კრისტოფ შპიხერი | მცვ | 30.03.78 | 175 | 75 | 37 | - | აინტრახტი (გერ) |
| 18 | პასკალ ცუბერბიულერი | მეკ | 08.01.71 | 197 | 99 | 40 | - | ვესტ ბრომვიჩი (ინგ) |
| 19 | ვალონ ბეჰრამი | ნახ | 19.04.85 | 184 | 71 | 6 | 1 | ლაციო (იტა) |
| 20 | პატრიკ მიულერი | მცვ | 17.12.76 | 182 | 69 | 76 | 3 | ლიონი (საფ) |
| 21 | ელდინ იაკუპოვიჩი | მეკ | 02.10.84 | 188 | 78 | - | - | ტუნი |
| 22 | იოჰან ფონლანტენი | ნახ | 01.02.86 | 175 | 67 | 27 | 5 | ზალცბურგი (ავს) |
| 23 | ფილიპ დეგენი | მცვ | 15.02.83 | 184 | 81 | 15 | - | დორტმუნდი (გერ) |
| მთავარი მწვრთნელი: იაკობ კუნი 12.10.1943 | | | | | | | | |

## ჩეხეთი

| № | ფეხბურთელი | ა | დ.თ. | სმ | წონ | თამ | გოლ | კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პეტრ ჩეხი | მეკ | 20.05.82 | 197 | 87 | 57 | - | ჩელსი (ინგ) |
| 2 | ზდენეკ გრიგერა | მცვ | 14.05.80 | 184 | 79 | 41 | 1 | იუვენტუსი (იტა) |
| 3 | იან პოლაკი | ნახ | 14.03.81 | 181 | 77 | 35 | 6 | ანდერლეხტი (ბელ) |
| 4 | ტომაშ გალაშეკი | ნახ | 15.01.73 | 180 | 77 | 63 | 1 | ნიურნბერგი (გერ) |
| 5 | რადოსლავ კოვაჩი | მცვ | 27.11.79 | 189 | 78 | 21 | 1 | სპარტაკი (რუს) |
| 6 | მარეკ იანკულოვსკი | მცვ | 09.05.77 | 184 | 76 | 62 | 10 | მილანი (იტა) |
| 7 | ლიბორ სიონკო | ნახ | 01.02.77 | 176 | 70 | 28 | 4 | კოპენჰაგენი (ჩეხ) |
| 8 | მარტინ ფენინი | თავ | 16.04.87 | 180 | 70 | 4 | - | აინტრახტი (გერ) |
| 9 | იან კოლერი | თავ | 30.03.73 | 202 | 103 | 84 | 51 | ნიურნბერგი (გერ) |
| 10 | ვაცლავ სვერკოში | თავ | 01.11.83 | 185 | 72 | 1 | - | ბანიკი |
| 11 | სტანისლავ ვლჩეკი | თავ | 26.02.76 | 182 | 80 | 9 | - | ანდერლეხტი (ბელ) |
| 12 | ზდენეკ პოსპეჩი | მცვ | 14.12.78 | 174 | 74 | 6 | - | კოპენჰაგენი (ჩეხ) |
| 13 | მიხალ კადლეცი | მცვ | 13.12.84 | 185 | 75 | 3 | - | სპარტა |
| 14 | დავიდ იაროლიმი | ნახ | 17.05.79 | 172 | 68 | 13 | 1 | ჰამბურგი (გერ) |
| 15 | მილან ბაროში | თავ | 28.10.81 | 184 | 78 | 62 | 31 | პორტსმუთი (ინგ) |
| 16 | იარომირ ბლაჟეკი | მეკ | 29.12.72 | 188 | 82 | 13 | - | ნიურნბერგი (გერ) |
| 17 | მარეკ მატეიოვსკი | ნახ | 20.12.81 | 177 | 71 | 7 | 1 | რედინგი (ინგ) |
| 18 | ტომაშ შივოკი | მცვ | 15.09.83 | 185 | 71 | 5 | - | სპარტა |
| 19 | რუდოლფ შკაჩელი | მცვ | 17.07.79 | 178 | 77 | - | 1 | ჰერტა (გერ) |
| 20 | იაროსლავ პლასილი | ნახ | 05.01.82 | 182 | 72 | 34 | 2 | ოსასუნა (ესპ) |
| 21 | ტომაშ უიფალუში | მცვ | 24.03.78 | 185 | 76 | 65 | 2 | ფიორენტინა (იტა) |
| 22 | დავიდ როზენალი | მცვ | 05.07.80 | 191 | 80 | 42 | - | ლაციო (იტა) |
| 23 | დანიელ ზიტკა | მეკ | 20.06.75 | 190 | 85 | 1 | - | ანდერლეხტი (ბელ) |
| მთავარი მწვრთნელი: კარელ ბრუკნერი 13.11.1939 | | | | | | | | |

## პორტუგალია

| № | ფეხბურთელი | ა | დ.თ. | სმ | წონ | თამ | გოლ | კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რიკარდო | მეკ | 11.02.76 | 188 | 80 | 73 | - | ბეტისი (ესპ) |
| 2 | პაულო ფერეირა | მცვ | 18.01.79 | 182 | 76 | 45 | - | ჩელსი (ინგ) |
| 3 | ბრუნო ალვეში | მცვ | 27.11.81 | 187 | 83 | 9 | 1 | პორტუ |
| 4 | ჟოზე ბოსინგვა | მცვ | 24.08.82 | 183 | 75 | 7 | - | პორტუ |
| 5 | ფერნანდო მეირა | მცვ | 05.06.78 | 192 | 81 | 47 | 2 | შტუტგარტი (გერ) |
| 6 | რაულ მეირელესი | ნახ | 17.03.83 | 179 | 65 | 7 | - | პორტუ |
| 7 | კრისტიანო რონალდო | თავ | 05.02.85 | 184 | 75 | 54 | 20 | მანჩესტერ იუნ (ინგ) |
| 8 | არმანდო პეტიტი | ნახ | 25.09.76 | 178 | 68 | 51 | 4 | ბენფიკა |
| 9 | უგო ალმეიდა | თავ | 23.05.84 | 190 | 79 | 7 | 2 | ვერდერი (გერ) |
| 10 | ჟოაო მუტინიო | ნახ | 08.09.86 | 170 | 61 | 11 | - | სპორტინგი |
| 11 | სიმაო საბროსა | თავ | 30.10.79 | 170 | 64 | 59 | 14 | ატლეტიკო (ესპ) |
| 12 | კუიმი | მეკ | 13.11.75 | 184 | 78 | 25 | - | ბენფიკა |
| 13 | მიგელი | მცვ | 04.01.80 | 179 | 78 | 45 | 1 | ვალენსია (ესპ) |
| 14 | ჟორჟე რიბეირო | მცვ | 09.11.81 | 172 | 67 | 7 | - | ბოავიშტა |
| 15 | პეპე | მცვ | 26.02.83 | 190 | 81 | 1 | - | რეალი (ესპ) |
| 16 | რიკარდო კარვალიო | მცვ | 18.05.78 | 184 | 79 | 41 | 4 | ჩელსი (ინგ) |
| 17 | რიკარდო კუარეშმა | ნახ | 26.09.83 | 173 | 74 | 19 | 2 | პორტუ |
| 18 | მიგელ ველოზო | ნახ | 11.05.86 | 181 | 79 | 4 | - | სპორტინგი |
| 19 | ნანი | ნახ | 17.11.86 | 175 | 66 | 12 | 2 | მანჩესტერ იუნ (ინგ) |
| 20 | დეკუ | ნახ | 27.08.77 | 177 | 73 | 52 | 3 | ბარსელონა (ესპ) |
| 21 | ნუნუ გომეში | თავ | 05.07.76 | 181 | 76 | 67 | 27 | ბენფიკა |
| 22 | რუი პატრისიო | მეკ | 15.02.88 | 188 | 84 | 1 | - | სპორტინგი |
| 23 | ელდერ პოსტიგა | თავ | 02.08.82 | 182 | 79 | 30 | 10 | პანათინაიკოსი (საბ) |
| მთავარი მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი 11.09.1948 | | | | | | | | |

## თურქეთი

| № | ფეხბურთელი | ა | დ.თ. | სმ | წონ | თამ | გოლ | კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რუშთუ რეჭბერი | მეკ | 10.05.73 | 186 | 76 | 115 | - | ბეშიქთაში |
| 2 | სერვეთ ჩეთინი | მცვ | 17.03.81 | 191 | 84 | 28 | 1 | გალათასარაი |
| 3 | ჰაქან ბალთა | ნახ | 23.03.83 | 184 | 83 | 5 | - | გალათასარაი |
| 4 | გიოქჰან ზანი | მცვ | 07.09.81 | 192 | 85 | 16 | - | ბეშიქთაში |
| 5 | ემრე ბელოზოგლუ | ნახ | 07.09.80 | 171 | 68 | 50 | 5 | ნიუკასლი (ინგ) |
| 6 | მეჰმეთ თოფალი | ნახ | 03.03.86 | 187 | 76 | 2 | - | გალათასარაი |
| 7 | მეჰმეთ აურელიო | ნახ | 15.12.77 | 178 | 75 | 17 | 1 | ფენერბახჩე |
| 8 | ნიჰათ ქავეჩი | თავ | 23.11.79 | 175 | 75 | 51 | 14 | ვილიარეალი (ესპ) |
| 9 | სემიჰ შენთურქი | თავ | 29.04.83 | 183 | 78 | 4 | 1 | ფენერბახჩე |
| 10 | გიოქდენიზ ქარადენიზი | თავ | 11.01.80 | 169 | 66 | 45 | 6 | რუბინი (რუს) |
| 11 | თუმერ მეთინი | ნახ | 14.10.74 | 178 | 68 | 23 | 7 | ლარისა (საბ) |
| 12 | თოლგა ზენგინი | მეკ | 10.10.83 | 192 | 78 | 2 | - | ტრაბზონი |
| 13 | ემრე გიუნგორი | მცვ | 08.01.84 | 183 | 83 | - | - | გალათასარაი |
| 14 | არდა თურანი | ნახ | 30.01.87 | 176 | 72 | 20 | 1 | გალათასარაი |
| 15 | ემრე ასიქი | მცვ | 13.12.73 | 183 | 76 | 27 | 2 | ანკარა |
| 16 | უგურ ბორალი | მცვ | 14.04.82 | 178 | 70 | 1 | - | ფენერბახჩე |
| 17 | თუნჯაი შანლი | თავ | 16.01.82 | 182 | 72 | 44 | 14 | მიდლსბრო (ინგ) |
| 18 | ქაზიმ ქაზიმი | ნახ | 26.08.86 | 185 | 68 | 1 | - | ფენერბახჩე |
| 19 | აიჰან აქმანი | ნახ | 23.02.77 | 173 | 69 | 9 | - | გალათასარაი |
| 20 | საბრი სარიოგლუ | მცვ | 26.07.84 | 170 | 63 | 12 | 1 | გალათასარაი |
| 21 | საბრი სარიოგლუ | თავ | 25.02.87 | 179 | 69 | - | - | სოშო (საფ) |
| 22 | ჰამით ალთინთოფი | ნახ | 08.12.82 | 182 | 82 | 25 | 2 | ბაიერნი (გერ) |
| 23 | ვოლქან დემირელი | მეკ | 27.10.81 | 191 | 92 | 19 | - | ფენერბახჩე |
| მთავარი მწვრთნელი: ფათიჰ თერიმი, 09.04.1953 | | | | | | | | |

## ავსტრია

| № | ფეხბურთელი | ა | დ.თ. | სმ | წონ | თამ | გოლ | კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ალექსანდრ მანინგერი | მეკ | 04.06.77 | 188 | 84 | 26 | - | სიენა (იტა) |
| 2 | იოახიმ შტანდფესტი | მცვ | 30.05.80 | 180 | .74 | 29 | 2 | აუსტრია (ვ) |
| 3 | მარტინ შტრანცლი | მცვ | 16.06.80 | 191 | 83 | 43 | 2 | სპარტაკი (რუს) |
| 4 | ემანუელ პოგატეტცი | მცვ | 16.01.83 | 187 | 82 | 25 | 1 | მიდლსბრო (ინგ) |
| 5 | კრისტიან ფუხსი | ნახ | 07.04.86 | 186 | 80 | 15 | - | მატერსბურგი |
| 6 | რენე აუფჰაუზერი | ნახ | 21.06.76 | 185 | 80 | 49 | 10 | ზალცბურგი |
| 7 | ივიცა ვასტიჩი | თავ | 29.09.69 | 183 | 78 | 46 | 12 | ლინცერი |
| 8 | კრისტოფ ლაიტგები | ნახ | 14.04.85 | 171 | 67 | 17 | 1 | ბენფიკა |
| 9 | როლანდ ლინცი | თავ | 09.08.81 | 185 | 73 | 29 | 5 | ბრაგა (პორ) |
| 10 | ანდრეას ივანშიტცი | ნახ | 15.10.83 | 183 | 79 | 37 | 6 | პანათინაიკოსი (საბ) |
| 11 | უმით ქორქმაზი | ნახ | 17.09.85 | 174 | 72 | - | - | რაპიდი |
| 12 | რონალდ გერკალიუ | მცვ | 12.02.86 | 181 | 76 | 10 | - | აუსტრია (ვ) |
| 13 | მარკუს კატცერი | მცვ | 11.12.79 | 183 | 77 | 10 | - | რაპიდი |
| 14 | დიური გარიჩი | მცვ | 08.03.84 | 183 | 75 | 11 | 1 | ნაპოლი (იტა) |
| 15 | სებასტიან პრიოდლი | მცვ | 21.06.87 | 192 | 87 | 8 | 2 | შტურმი |
| 16 | იურგენ პატოკა | მცვ | 30.07.77 | 192 | 89 | 2 | - | რაპიდი |
| 17 | მარკუს ჰიდენი | მცვ | 11.03.73 | 178 | 81 | 5 | - | რაპიდი |
| 18 | რომან კიენასტი | თავ | 29.03.84 | 188 | 75 | 5 | - | ჰამ კამი (ნორ) |
| 19 | იურგენ შაუმელი | ნახ | 08.09.84 | 180 | 74 | 9 | - | შტურმი |
| 20 | მარტინ ჰარნიკი | ნახ | 10.06.87 | 185 | 73 | 6 | 1 | ვერდერი (გერ) |
| 21 | იურგენ მახო | მეკ | 24.08.77 | 192 | 87 | 13 | - | აეკ (საბ) |
| 22 | ერვინ ჰოფერი | თავ | 14.04.87 | 178 | 72 | 2 | - | რაპიდი |
| 23 | ჯრამზან ოზქანი | მეკ | 28.06.84 | 187 | 84 | - | - | ჰოფენჰაიმი (გერ) |
| მთავარი მწვრთნელი: ოიზეფ ჰიკერსბეგერი 27.04.1948 | | | | | | | | |

## ხორვატია

| № | ფეხბურთელი | ა | დ.თ. | სმ | წონ | თამ | გოლ | კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სტიპე პლეტიკოშა | მეკ | 08.01.79 | 193 | 83 | 66 | - | სპარტაკი (რუს) |
| 2 | დარიო შიმიჩი | მცვ | 12.11.75 | 180 | 78 | 96 | 1 | მილანი (იტა) |
| 3 | იოსიპ შიმუნიჩი | მცვ | 18.02.78 | 195 | 89 | 60 | 3 | ჰერტა (გერ) |
| 4 | რობერტ კოვაჩი | მცვ | 06.04.74 | 182 | 78 | 71 | - | დორტმუნდი (გერ) |
| 5 | ვედრან კორლუკა | მცვ | 05.02.86 | 193 | 88 | 17 | - | მანჩესტერ სიტი (ინგ) |
| 6 | ჰრვოიე ვეიჩი | ნახ | 08.06.77 | 191 | 82 | 1 | - | ტომი (რუს) |
| 7 | ივან რაკიტიჩი | ნახ | 10.03.88 | 184 | 72 | 6 | 1 | შალკე (გერ) |
| 8 | ოგნიენ ვუკოევიჩი | ნახ | 20.12.83 | 184 | 78 | 2 | 1 | დინამო |
| 9 | ნიკოლა კალინიჩი | თავ | 05.01.88 | 187 | 81 | - | - | ჰაიდუკი |
| 10 | ნიკო კოვაჩი | ნახ | 15.10.71 | 176 | 72 | 74 | 12 | ზალცბურგი (ავს) |
| 11 | დარიო სრნა | ნახ | 01.05.82 | 182 | 78 | 53 | 15 | შახტარი (უკრ) |
| 12 | მარიო გალინოვიჩი | მეკ | 15.11.76 | 193 | 92 | 2 | - | პანათინაიკოსი (საბ) |
| 13 | ნიკოლა პოკრივაცი | ნახ | 26.11.85 | 186 | 83 | - | - | მონაკო (საფ) |
| 14 | ლუკა მოდრიჩი | ნახ | 09.09.85 | 173 | 65 | 23 | 3 | დინამო |
| 15 | დარიო კნეჟევიჩი | მცვ | 20.04.82 | 184 | 74 | 5 | 1 | ლივორნო (იტა) |
| 16 | იერკო ლეკო | ნახ | 09.04.80 | 187 | 78 | 50 | 2 | მონაკო (საფ) |
| 17 | ივან კლასნიჩი | თავ | 29.01.80 | 186 | 79 | 26 | 8 | ვერდერი (გერ) |
| 18 | ივიცა ოლიჩი | თავ | 14.09.79 | 182 | 82 | 51 | 9 | ჰამბურგი (გერ) |
| 19 | ნიკო კრანჩარი | ნახ | 13.08.84 | 184 | 83 | 39 | 6 | პორტსმუთი (ინგ) |
| 20 | იგორ ბუდანი | თავ | 22.04.80 | 185 | 80 | 3 | - | პარმა (იტა) |
| 21 | მლადენ პეტრიჩი | თავ | 01.01.81 | 185 | 77 | 21 | 9 | დორტმუნდი (გერ) |
| 22 | დანიელ პრანიჩი | მცვ | 02.12.81 | 172 | 67 | 8 | - | ჰერენვეენი (ჰოლ) |
| 23 | ვედრან რუნიე | მეკ | 10.02.76 | 185 | 84 | 4 | - | ლანსი (საფ) |
| მთავარი მწვრთნელი: სლავენ ბილიჩი 11.09.1968 | | | | | | | | |

## გერმანია

| № | ფეხბურთელი | ა | დ.თ. | სმ | წონ | თამ | გოლ | კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იენს ლემანი | მეკ | 10.11.69 | 190 | 87 | 53 | - | არსენალი (ინგ) |
| 2 | მარსელ იანსენი | მცვ | 04.11.85 | 191 | 75 | 20 | 1 | ბაიერნი |
| 3 | არნე ფრიდრიხი | მცვ | 29.05.79 | 185 | 78 | 55 | 1 | ჰერტა |
| 4 | კლემენს ფრიტცი | მცვ | 07.12.80 | 182 | 74 | 11 | 1 | ვერდერი |
| 5 | ჰაიკო ვესტერმანი | მცვ | 14.08.83 | 190 | 80 | 2 | - | შალკე |
| 6 | სიმონ როლფსი | ნახ | 21.01.82 | 189 | 79 | 8 | - | ლევერკუზენი |
| 7 | ბასტიან შვაინშტაიგერი | ნახ | 01.08.84 | 180 | 76 | 48 | 13 | ბაიერნი |
| 8 | ტორსტენ ფრინგსი | ნახ | 22.11.76 | 182 | 80 | 70 | 10 | ვერდერი |
| 9 | მარიო გომესი | თავ | 10.07.95 | 187 | 79 | 8 | 4 | შტუტგარტი |
| 10 | ოლივერ ნოივილი | თავ | 01.05.73 | 171 | 64 | 56 | 9 | ბორუსია (მ) |
| 11 | მიროსლავ კლოზე | თავ | 09.06.78 | 182 | 74 | 73 | 37 | ბაიერნი |
| 12 | რობერტ ენკე | მეკ | 24.08.77 | 185 | 78 | 1 | - | ჰანოვერი |
| 13 | მიხაელ ბალაკი | ნახ | 26.09.76 | 189 | 80 | 79 | 36 | ჩელსი (ინგ) |
| 14 | პიოტრ ტროხოვსკი | ნახ | 22.03.82 | 168 | 68 | 10 | - | ჰამბურგი |
| 15 | ტომას ჰიტცლშპერგერი | ნახ | 05.04.82 | 181 | 75 | 31 | 5 | შტუტგარტი |
| 16 | ფილიპ ლამი | მცვ | 11.11.83 | 170 | 64 | 38 | 2 | ბაიერნი |
| 17 | პერ მერტეზაკერი | მცვ | 20.09.84 | 196 | 85 | 40 | 1 | ვერდერი |
| 18 | ტიმ ბოროვსკი | ნახ | 02.05.80 | 194 | 84 | 31 | 2 | ვერდერი |
| 19 | დავიდ ოდონკორი | ნახ | 21.02.84 | 174 | 74 | 14 | - | ბეტისი (ესპ) |
| 20 | ლუკას პოდოლსკი | თავ | 04.06.85 | 180 | 80 | 45 | 24 | ბაიერნი |
| 21 | კრისტოფ მეტცელდერი | მცვ | 05.11.80 | 193 | 84 | 39 | - | რეალი (ესპ) |
| 22 | კევინ კურანი | თავ | 02.03.82 | 190 | 80 | 45 | 19 | შალკე |
| 23 | რენე ადლერი | მეკ | 15.01.85 | 189 | 80 | - | - | ლევერკუზენი |
| მთავარი მწვრთნელი: იოახიმ ლიოვი 03.02.1960 | | | | | | | | |

## პოლონეთი

| № | ფეხბურთელი | ა | დ.თ. | სმ | წონ | თამ | გოლ | კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არტურ ბორუცი | მეკ | 20.02.80 | 193 | 85 | 32 | - | სელტიკი (შოტ) |
| 2 | მარიუშ იოპი | მცვ | 03.08.78 | 188 | 81 | 22 | - | მოსკოვი (რუს) |
| 3 | იაკუბ ვავრჟინიაკი | ნახ | 07.07.83 | 187 | 84 | 8 | - | ლეგია |
| 4 | პაველ გოლანსკი | მცვ | 12.10.82 | 182 | 74 | 8 | 1 | სტიაუა (რუმ) |
| 5 | დარიუშ დუდკა | ნახ | 09.12.83 | 182 | 71 | 22 | 2 | ვისლა |
| 6 | იაჩეკ ბაკი | მცვ | 24.03.73 | 187 | 78 | 91 | 3 | აუსტრია (ავს) |
| 7 | ები სმოლიარეკი | თავ | 09.01.81 | 178 | 68 | 28 | 13 | რასინგი (ესპ) |
| 8 | იაჩეკ კრჟინოვეკი | ნახ | 15.05.76 | 180 | 73 | 76 | 14 | ვოლფსბურგი (გერ) |
| 9 | მაცეი ჟურავსკი | თავ | 12.09.76 | 181 | 76 | 68 | 16 | ლარისა (საბ) |
| 10 | ლუკაშ გარგულა | ნახ | 25.02.81 | 178 | 73 | 9 | 1 | ბელხატოვი |
| 11 | მარეკ საგანოვსკი | ნახ | 31.10.78 | 178 | 76 | 20 | 3 | საუთჰემპტონი (ინგ) |
| 12 | ტომაშ კუშჩაკი | მეკ | 20.03.82 | 190 | 84 | 5 | - | მანჩესტერ იუნ (ინგ) |
| 13 | მარცინ ვასილევსკი | მცვ | 09.06.80 | 186 | 88 | 25 | 1 | ანდერლეხტი (ბელ) |
| 14 | მიხალ ჟევლაკოვი | მცვ | 22.04.76 | 183 | 79 | 75 | 2 | ოლიმპიაკოსი (საბ) |
| 15 | მიხალ პაზდანი | ნახ | 21.09.87 | 180 | 78 | 3 | - | გურნიკი |
| 16 | ლუკაშ პიშჩეკი | ფორ | 03.06.85 | 184 | 75 | 3 | 0 | ჰერტა (გერ) |
| 17 | ვოიცეხ ლობოძინსკი | ნახ | 20.10.82 | 186 | 83 | 13 | 2 | ვისლა |
| 18 | მარიუშ ლევანდოვსკი | მცვ | 18.05.79 | 185 | 84 | 43 | 3 | შახტარი (უკრ) |
| 19 | რაფალ მურავსკი | ნახ | 09.10.81 | 175 | 75 | 7 | 1 | ლეხი |
| 20 | როჟერ გერეირო | ნახ | 25.05.82 | 189 | 76 | 1 | - | ლეგია |
| 21 | ტომაშ ზაგორსკი | ნახ | 22.11.84 | 188 | 74 | 6 | 1 | გურნიკი |
| 22 | ლუკაშ ფაბიანსკი | მეკ | 18.04.85 | 191 | 84 | 7 | 1 | არსენალი (ინგ) |
| 23 | ადამ კოკოშკა | მცვ | 06.10.86 | 186 | 78 | 5 | 1 | ვისლა |
| მთავარი მწვრთნელი: ლეო ბეენჰაკერი 02.08.1942 | | | | | | | | |

| A ჯგუფი | | | | | მ | ფ | წ | ბ | ძ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | | | | | | | | | | |
| ჩეხეთი | | | | | | | | | | |
| პორტუგალია | | | | | | | | | | |
| თურქეთი | | | | | | | | | | |

| B ჯგუფი | | | | | მ | ფ | წ | ბ | ძ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრია | | | | | | | | | | |
| ხორვატია | | | | | | | | | | |
| გერმანია | | | | | | | | | | |
| პოლონეთი | | | | | | | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## C ჯგუფი

| 9 ივნისი, ორშაბათი | 13 ივნისი, პარასკევი | 17 ივნისი, სამშაბათი |
|---|---|---|
| 20:00 ციურიხი | 20:00 ციურიხი | 22:45 ბერნი |
| რუმინეთი-საფრანგეთი | იტალია-რუმინეთი | ჰოლანდია-რუმინეთი |
| 22:45 ბერნი | 22:45 ბერნი | 22:45 ციურიხი |
| ჰოლანდია-იტალია | ჰოლანდია-საფრანგეთი | საფრანგეთი-იტალია |

## მეოთხედფინალი

**21 ივნისი, შაბათი**

22:45, ბაზელი C1 – D2 (Q3)

**22 ივნისი, კვირა**

22:45, ვენა D1 – C2 (Q4)

## ნახევარფინალი

**26 ივნისი, ხუთშაბათი**

22:45, ვენა Q3 – Q4

## D ჯგუფი

| 10 ივნისი, სამშაბათი | 14 ივნისი, შაბათი | 18 ივნისი, ოთხშაბათი |
|---|---|---|
| 20:00 ინსბრუკი | 18:00 ინსბრუკი | 22:45 ზალცბურგი |
| ესპანეთი-რუსეთი | შვედეთი-ესპანეთი | საბერძნეთი-ესპანეთი |
| 22:45 ზალცბურგი | 22:45 ზალცბურგი | 22:45 ინსბრუკი |
| საბერძნეთი-შვედეთი | საბერძნეთი-რუსეთი | რუსეთი-შვედეთი |

## რუმინეთი

| № | ფეხბურთელი | ა | დ.თ. | სმ | წონ | თამ | გოლ | კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბოგდან ლობონტი | მეკ | 18.01.78 | 184 | 7 | 62 | - | დინამო |
| 2 | კოზმინ კონტრა | მცვ | 15.12.75 | 179 | 74 | 61 | 7 | ხეტაფე (ესპ) |
| 3 | რაზვან რატი | მცვ | 26.05.81 | 178 | 72 | 46 | 1 | შახტარი (უკრ) |
| 4 | გაბრიელ ტამაში | მცვ | 09.11.83 | 188 | 77 | 30 | 2 | ოსერი (საფ) |
| 5 | კრისტიან კივუ | მცვ | 26.10.80 | 183 | 77 | 57 | 3 | ინტერი (იტა) |
| 6 | მატეი რადოი | ნახ | 23.03.81 | 177 | 77 | 41 | 1 | სტიაუა |
| 7 | ფლორენტინ პეტრე | ნახ | 15.01.76 | 167 | 61 | 48 | 5 | ცსკა (ბულ) |
| 8 | პოლ კოდრეა | ნახ | 04.04.81 | 174 | 69 | 32 | 1 | სიენა (იტა) |
| 9 | ჩიპრიან მარიკა | თავ | 02.10.85 | 182 | 72 | 22 | 7 | შტუტგარტი (გერ) |
| 10 | ადრიან მუტუ | თავ | 08.01.79 | 180 | 74 | 59 | 27 | ფიორენტინა (იტა) |
| 11 | რაზვან კოშიჩი | ნახ | 19.02.81 | 181 | 74 | 20 | 1 | ლოკომოტივი (რუს) |
| 12 | მარიუშ პოპა | მეკ | 31.07.78 | 182 | 79 | - | - | პოლიტეხნიკა |
| 13 | იონუტ საპუნარუ | მცვ | 05.04.84 | 187 | 81 | - | - | რაპიდი |
| 14 | სორინ გიონეა | მცვ | 11.05.79 | 187 | 82 | - | - | სტიაუა |
| 15 | დორინ გოიანი | მცვ | 12.12.80 | 194 | 83 | 18 | 3 | სტიაუა |
| 16 | ბანელ ნიკოლიტა | ნახ | 07.01.85 | 178 | 71 | 18 | 1 | სტიაუა |
| 17 | კოზმინ მოტი | მცვ | 03.12.84 | 183 | 74 | 1 | - | დინამო |
| 18 | მარიუშ ნიკულაე | თავ | 16.05.81 | 188 | 84 | 29 | 13 | ინვერნესი (შოტ) |
| 19 | ადრიან კრისტეა | ნახ | 30.11.83 | 179 | 73 | 5 | - | დინამო |
| 20 | ნიკოლაე დიკა | ნახ | 09.05.80 | 181 | 73 | 24 | 6 | სტიაუა |
| 21 | დანიელ ნიკულაე | თავ | 06.10.82 | 185 | 76 | 22 | 4 | ოსერი (საფ) |
| 22 | სტეფან რადუ | მცვ | 22.10.86 | 183 | 79 | 6 | - | ლაციო (იტა) |
| 23 | ედუარდ სტანჩოიუ | მეკ | 03.03.81 | 183 | 75 | - | 1 | კლუჟი |

მთავარი მწვრთნელი: ვიქტორ პიცურკა 08.05.1956

## საფრანგეთი

| № | ფეხბურთელი | ა | დ.თ. | სმ | წონ | თამ | გოლ | კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სტივ მანდანდა | მეკ | 28.03.85 | 185 | 82 | 1 | - | მარსელი |
| 2 | ჟან-ალენ ბუმსონგი | მცვ | 14.12.79 | 190 | 88 | 23 | 1 | ლიონი |
| 3 | ერიკ აბიდალი | მცვ | 11.07.79 | 180 | 75 | 34 | - | ბარსელონა (ესპ) |
| 4 | პატრიკ ვიეირა | ნახ | 23.06.76 | 191 | 83 | 105 | 6 | ინტერი (იტა) |
| 5 | ვილიამ გალასი | მცვ | 17.08.77 | 181 | 72 | 61 | 2 | არსენალი (ინგ) |
| 6 | კლოდ მაკელელე | ნახ | 18.02.73 | 174 | 70 | 67 | - | ჩელსი (ინგ) |
| 7 | ფლორან მალუდა | ნახ | 13.06.80 | 181 | 73 | 38 | 3 | ჩელსი (ინგ) |
| 8 | ნიკოლა ანელკა | თავ | 14.03.79 | 184 | 77 | 47 | 11 | ჩელსი (ინგ) |
| 9 | კარიმ ბენზემა | თავ | 19.12.87 | 183 | 73 | 10 | 3 | ლიონი |
| 10 | სიდნი გოვუ | თავ | 24.07.79 | 175 | 72 | 32 | 7 | ლიონი |
| 11 | სამირ ნასრი | ნახ | 20.06.87 | 178 | 75 | 9 | 2 | მარსელი |
| 12 | ტიერი ანრი | თავ | 17.08.77 | 188 | 83 | 99 | 44 | ბარსელონა (ესპ) |
| 13 | პატრის ევრა | მცვ | 15.05.81 | 175 | 76 | 11 | - | მანჩესტერ იუნ (ინგ) |
| 14 | ფრანსუა კლერი | მცვ | 18.04.83 | 187 | 77 | 12 | - | ლიონი |
| 15 | ლილიან ტიურამი | მცვ | 01.01.72 | 182 | 70 | 139 | 2 | ბარსელონა (ესპ) |
| 16 | სებასტიან ფრეი | მეკ | 18.03.80 | 189 | 85 | 2 | - | ფიორენტინა (იტა) |
| 17 | სებასტიან სკილაჩი | მცვ | 11.08.80 | 183 | 79 | 13 | - | ლიონი |
| 18 | ბაფეტიმბი გომისი | თავ | 06.08.85 | 184 | 77 | 2 | 2 | სენტ ეტიენი |
| 19 | ვილი სანიოლი | მცვ | 18.03.77 | 180 | 79 | 55 | - | ბაიერნი (გერ) |
| 20 | ჟერემი ტულალანი | ნახ | 10.09.83 | 183 | 77 | 12 | - | ლიონი |
| 21 | ლასინა დიარა | ნახ | 10.03.85 | 173 | 67 | 12 | - | პორტსმუთი (ინგ) |
| 22 | ფრანკ რიბერი | ნახ | 01.04.83 | 170 | 62 | 26 | 3 | ბაიერნი (გერ) |
| 23 | გრეგორი კუპე | მეკ | 31.12.72 | 181 | 80 | 30 | - | ლიონი |

მთავარი მწვრთნელი: რაიმონ დომენეკი 24.01.1952

## ჰოლანდია

| № | ფეხბურთელი | ა | დ.თ. | სმ | წონ | თამ | გოლ | კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ედვინ ვან დერ სარი | მეკ | 29.10.70 | 197 | 84 | 123 | - | მანჩესტერ იუნ (ინგ) |
| 2 | ანდრე ოოიერი | მცვ | 11.07.74 | 184 | 80 | 33 | 2 | ბლეკბერნი (ინგ) |
| 3 | ჯონი ჰეიტინგა | მცვ | 15.11.83 | 180 | 72 | 32 | 4 | აიაქსი |
| 4 | იორის მატიისენი | მცვ | 05.04.80 | 182 | 72 | 28 | 2 | ჰამბურგი (გერ) |
| 5 | ჯოვან ვან ბრონკჰორსტი | მცვ | 05.02.75 | 178 | 76 | 74 | 4 | ფეიენოორდი |
| 6 | დემი დე ზეუვი | ნახ | 26.05.83 | 174 | 71 | 12 | - | ალკმაარი |
| 7 | რობინ ვან პერსი | თავ | 06.08.83 | 183 | 71 | 23 | 7 | არსენალი (ინგ) |
| 8 | ორლანდო ენგელაარი | ნახ | 24.08.79 | 196 | 92 | 3 | - | ტვენტე |
| 9 | რუუდ ვან ნისტელროი | თავ | 10.07.95 | 188 | 80 | 59 | 30 | რეალი (ესპ) |
| 10 | ვესლი სნეიდერი | ნახ | 09.06.84 | 170 | 67 | 42 | 8 | რეალი (ესპ) |
| 11 | არიენ რობენი | თავ | 23.01.84 | 180 | 75 | 31 | 8 | რეალი (ესპ) |
| 12 | მარიო მელხიოტი | მცვ | 04.11.76 | 187 | 74 | 20 | - | ვიგანი (ინგ) |
| 13 | ჰენკ ტიმერი | მეკ | 03.12.71 | 182 | 82 | 4 | - | ფეიენოორდი |
| 14 | ვილფრედ ბუმა | მცვ | 15.06.78 | 180 | 82 | 31 | 2 | ასტონ ვილა (ინგ) |
| 15 | ტიმ დე კლერი | მცვ | 08.11.78 | 183 | 70 | 12 | - | ფეიენორდი |
| 16 | მაარტენ სტეკელენბურგი | მეკ | 22.09.82 | 194 | 84 | 10 | - | აიაქსი |
| 17 | ნაიჯელ დე იონგი | ნახ | 30.11.84 | 174 | 72 | 20 | - | ჰამბურგი (გერ) |
| 18 | დირკ კუიტი | თავ | 02.05.80 | 184 | 77 | 35 | 6 | ლივერპული (ინგ) |
| 19 | კლაას იან ჰუნტელაარი | თავ | 21.02.84 | 186 | 78 | 10 | 4 | აიაქსი |
| 20 | იბრაჰიმ აფელეი | ნახ | 02.04.86 | 180 | 68 | 2 | - | ეინდჰოვენი |
| 21 | ხალიდ ბულარუზი | მცვ | 28.12.81 | 176 | 74 | 21 | - | სევილია (ესპ) |
| 22 | იან ვენეგორ ოფ ჰესელინკი | თავ | 02.03.82 | 191 | 92 | 13 | 2 | სელტიკი (შოტ) |
| 23 | რაფაელ ვან დერ ვაარტი | თავ | 11.02.83 | 175 | 70 | 51 | 10 | ჰამბურგი (გერ) |

მთავარი მწვრთნელი: მარკო ვან ბასტენი 31.10.1964

## იტალია

| № | ფეხბურთელი | ა | დ.თ. | სმ | წონ | თამ | გოლ | კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჯანლუიჯი ბუფონი | მეკ | 28.01.78 | 190 | 83 | 80 | - | იუვენტუსი |
| 2 | კრისტიან პანუჩი | მცვ | 12.04.73 | 184 | 73 | 51 | 3 | რომა |
| 3 | ფაბიო გროსო | მცვ | 28.11.77 | 190 | 79 | 29 | 3 | ლიონი (საფ) |
| 4 | ჯორჯო კიელინი | მცვ | 14.08.84 | 186 | 76 | 9 | 1 | იუვენტუსი |
| 5 | ალესანდრო გამბერინი | მცვ | 27.08.81 | 185 | 78 | 2 | - | ფიორენტინა |
| 6 | ანდრეა ბარძალი | მცვ | 08.05.81 | 186 | 79 | 20 | - | პალერმო |
| 7 | ალესანდრო დელ პიერო | თავ | 09.11.74 | 175 | 74 | 85 | 26 | იუვენტუსი |
| 8 | ჯენარო გატუზო | ნახ | 09.01.78 | 177 | 77 | 56 | 1 | მილანი |
| 9 | ლუკა ტონი | თავ | 26.05.77 | 185 | 78 | 32 | 15 | ბაიერნი (გერ) |
| 10 | დანიელე დე როსი | ნახ | 24.07.83 | 184 | 83 | 32 | 4 | რომა |
| 11 | ანტონიო დი ნატალე | თავ | 13.10.77 | 170 | 73 | 16 | 5 | უდინეზე |
| 12 | მარკო ბორიელო | თავ | 18.06.82 | 185 | 80 | 1 | - | სამპდორია |
| 13 | მასიმო ამბროზინი | ნახ | 29.05.77 | 182 | 72 | 30 | - | მილანი |
| 14 | მარკო ამელია | მეკ | 02.04.82 | 188 | 78 | 6 | - | ლივორნო |
| 15 | ფაბიო კვალიარელა | თავ | 31.01.83 | 182 | 73 | 8 | 3 | უდინეზე |
| 16 | მაურო კამორანეზი | ნახ | 04.10.76 | 177 | 70 | 33 | 2 | იუვენტუსი |
| 17 | მორგან დე სანქტისი | მეკ | 26.03.75 | 190 | 86 | 2 | - | სევილია (ესპ) |
| 18 | ანტონიო კასანო | თავ | 12.07.82 | 175 | 73 | 3 | 1 | სამპდორია |
| 19 | ჯანლუკა ძამბროტა | მცვ | 19.02.77 | 181 | 76 | 69 | 2 | მილანი |
| 20 | სიმონე პეროტა | ნახ | 17.09.77 | 178 | 72 | 40 | 2 | რომა |
| 21 | ანდრეა პირლო | ნახ | 19.05.79 | 177 | 68 | 44 | 6 | მილანი |
| 22 | ალბერტო აკვილანი | ნახ | 07.07.84 | 186 | 77 | 3 | - | რომა |
| 23 | მარკო მატერაცი | მცვ | 19.08.73 | 193 | 82 | 39 | 2 | ინტერი |

მთავარი მწვრთნელი: რობერტო დონადონი 09.09.1963

## ესპანეთი

| № | ფეხბურთელი | ა | დ.თ. | სმ | წონ | თამ | გოლ | კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იკერ კასილიასი | მეკ | 20.05.81 | 182 | 80 | 73 | - | რეალი |
| 2 | რაულ ალბიოლი | მცვ | 04.09.85 | 187 | 74 | 4 | - | ვალენსია |
| 3 | ფერნანდო ნავარო | მცვ | 25.06.82 | 178 | 71 | - | - | მალიორკა |
| 4 | კარლოს მარჩენა | მცვ | 31.07.79 | 183 | 78 | 40 | 2 | ვალენსია |
| 5 | კარლეს პუიოლი | მცვ | 13.04.78 | 178 | 80 | 59 | 1 | ბარსელონა |
| 6 | ანდრეს ინიესტა | ნახ | 11.05.84 | 169 | 64 | 21 | 5 | ბარსელონა |
| 7 | დავიდ ვილია | თავ | 03.12.81 | 175 | 69 | 29 | 12 | ვალენსია |
| 8 | ჩავი ერნანდესი | ნახ | 25.01.80 | 170 | 68 | 54 | 5 | ბარსელონა |
| 9 | ფერნანდო ტორესი | თავ | 20.03.84 | 183 | 70 | 45 | 15 | ლივერპული (ინგ) |
| 10 | სესკ ფაბრეგასი | ნახ | 04.05.87 | 180 | 69 | 24 | - | არსენალი (ინგ) |
| 11 | ხოან კაპდევილა | მცვ | 03.02.78 | 182 | 72 | 16 | 2 | ვილიარეალი |
| 12 | სანტიაგო კასორლა | ნახ | 13.12.84 | 169 | 66 | - | - | ვილიარეალი |
| 13 | ანდრეს პალოპი | მეკ | 22.10.72 | 184 | 77 | - | - | სევილია |
| 14 | ჩაბი ალონსო | ნახ | 25.11.81 | 183 | 75 | 40 | 1 | ლივერპული (ინგ) |
| 15 | სერხიო რამოსი | მცვ | 30.03.86 | 183 | 73 | 32 | 4 | რეალი |
| 16 | სერხიო გარსია | თავ | 09.06.83 | 175 | 72 | - | - | სარაგოსა |
| 17 | დანიელ გუისა | თავ | 17.08.80 | 180 | 80 | 2 | - | მალიორკა |
| 18 | ალვარო არბელოა | მცვ | 17.01.83 | 184 | 79 | 1 | - | ლივერპული (ინგ) |
| 19 | მარკოს სენა | ნახ | 17.07.76 | 177 | 73 | 8 | - | ვილიარეალი |
| 20 | ხუანიტო | მცვ | 23.07.76 | 178 | 76 | 23 | 2 | ბეტისი |
| 21 | დავიდ სილვა | ნახ | 08.01.86 | 170 | 67 | 12 | 2 | ვალენსია |
| 22 | რუბენ დე ლა რედი | ნახ | 05.06.85 | 185 | 79 | - | - | ხეტაფე |
| 23 | ხოსე რეინა | მეკ | 31.08.82 | 194 | 94 | 9 | - | ლივერპული (ინგ) |

მთავარი მწვრთნელი: ლუის არაგონესი 28.07.1938

## რუსეთი

| № | ფეხბურთელი | ა | დ.თ. | სმ | წონ | თამ | გოლ | კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | იგორ აკინფეევი | მეკ | 08.04.85 | 184 | 71 | 20 | - | ცსკა |
| 2 | ვასილი ბერეზუცკი | მცვ | 20.06.82 | 189 | 83 | 28 | 1 | ცსკა |
| 3 | რენატ იანბაევი | მცვ | 07.04.84 | 178 | 71 | 1 | - | ლოკომოტივი |
| 4 | სერგეი იგნაშევიჩი | მცვ | 14.07.79 | 186 | 82 | 36 | 3 | ცსკა |
| 5 | ალექსეი ბერეზუცკი | მცვ | 20.06.82 | 190 | 82 | 31 | - | ცსკა |
| 6 | რომან ადამოვი | თავ | 21.06.82 | 187 | 79 | 1 | - | მოსკოვი |
| 7 | დმიტრი ტორბინსკი | ნახ | 28.04.84 | 172 | 61 | 10 | 1 | ლოკომოტივი |
| 8 | დენის კოლოდინი | მცვ | 11.01.82 | 182 | 78 | 12 | - | დინამო |
| 9 | ივან საენკო | თავ | 17.10.83 | 178 | 77 | 7 | - | ნიურნბერგი (გერ) |
| 10 | ანდრეი არშავინი | თავ | 29.05.81 | 172 | 62 | 33 | 10 | ზენიტი |
| 11 | სერგეი სემაკი | ნახ | 27.02.76 | 177 | 74 | 45 | 4 | რუბინი |
| 12 | ვლადიმირ გაბულოვი | მეკ | 19.10.83 | 190 | 75 | 5 | - | ამკარი |
| 13 | პაველ პოგრებნიაკი | თავ | 08.11.83 | 183 | 76 | 9 | 4 | ზენიტი |
| 14 | რომან შიროკოვი | მცვ | 06.07.81 | 187 | 83 | 3 | - | ზენიტი |
| 15 | დინიარ ბილიალეტდინოვი | ნახ | 27.02.85 | 186 | 76 | 22 | 2 | ლოკომოტივი |
| 16 | ვიაჩესლავ მალაფეევი | მეკ | 04.03.79 | 185 | 76 | 15 | 0 | ზენიტი |
| 17 | კონსტანტინ ზირიანოვი | ნახ | 05.10.77 | 176 | 72 | 11 | 1 | ზენიტი |
| 18 | იური ჟირკოვი | ნახ | 20.08.83 | 178 | 70 | 19 | - | ცსკა |
| 19 | რომან პავლიუჩენკო | თავ | 15.12.81 | 188 | 79 | 16 | 5 | სპარტაკი |
| 20 | იგორ სემშოვი | ნახ | 06.04.78 | 170 | 64 | 26 | - | დინამო |
| 21 | დმიტრი სიჩოვი | თავ | 26.10.83 | 175 | 70 | 40 | 15 | ლოკომოტივი |
| 22 | ალექსანდრ ანიუკოვი | მცვ | 28.09.82 | 175 | 65 | 32 | 1 | ზენიტი |
| 23 | ვლადიმირ ბისტროვი | ნახ | 31.01.84 | 173 | 60 | 19 | 3 | სპარტაკი |

მთავარი მწვრთნელი: გუუს ჰიდინკი 08.11.1946

## საბერძნეთი

| № | ფეხბურთელი | ა | დ.თ. | სმ | წონ | თამ | გოლ | კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ანტონის ნიკოპოლიდისი | მეკ | 14.01.71 | 187 | 88 | 85 | - | ოლიმპიაკოსი |
| 2 | გიურკას სეიტარიდისი | მცვ | 04.06.81 | 185 | 79 | 56 | 1 | ატლეტიკო (ესპ) |
| 3 | ხრისტოს პაცაცოგლუ | მცვ | 19.03.79 | 182 | 75 | 28 | 1 | ოლიმპიაკოსი |
| 4 | ნიკოს სპიროპულოსი | მცვ | 10.10.83 | 171 | 66 | 4 | - | პანათინაიკოსი |
| 5 | ტრაიანოს დელასი | მცვ | 31.01.76 | 196 | 95 | 42 | 1 | აეკ |
| 6 | ანგელოს ბასინასი | ნახ | 03.01.76 | 180 | 76 | 87 | 7 | მალიორკა (ესპ) |
| 7 | გეორგიოს სამარასი | თავ | 21.02.85 | 191 | 86 | 17 | 3 | სელტიკი (შოტ) |
| 8 | სტელიოს იანაკოპულოსი | ნახ | 12.07.74 | 172 | 70 | 73 | 12 | ბოლტონი (ინგ) |
| 9 | ანგელოს ხარისტეასი | თავ | 09.02.80 | 191 | 82 | 65 | 18 | ნიურნბერგი (გერ) |
| 10 | გიორგიოს კარაგუნისი | ნახ | 06.03.77 | 176 | 74 | 73 | 7 | პანათინაიკოსი |
| 11 | ლუკას ვინტრა | მცვ | 05.02.81 | 184 | 76 | 17 | - | პანათინაიკოსი |
| 12 | კონსტანტინოს ხალკიასი | მეკ | 30.05.74 | 199 | 97 | 15 | - | არისი |
| 13 | ალექსანდროს ცორვასი | მეკ | 12.08.82 | 190 | 79 | - | - | ოფი |
| 14 | დიმიტრიოს სალპინგიდისი | თავ | 10.08.81 | 174 | 74 | 19 | 1 | პანათინაიკოსი |
| 15 | ვასილის ტოროსიდისი | მცვ | 10.06.85 | 185 | 80 | 13 | - | ოლიმპიაკოსი |
| 16 | სოტირიოს კირგიაკოსი | მცვ | 23.07.79 | 192 | 88 | 38 | 4 | აინტრახტი (გერ) |
| 17 | ტეოფანის გეკასი | თავ | 23.05.80 | 179 | 71 | 27 | 6 | ლევერკუზენი (გერ) |
| 18 | იანის გუმასი | მცვ | 24.05.75 | 184 | 76 | 44 | - | პანათინაიკოსი |
| 19 | პარასკევას ანცასი | მცვ | 18.08.76 | 192 | 85 | 24 | - | ოლიმპიაკოსი |
| 20 | იოანის ამანატიდისი | თავ | 03.12.81 | 181 | 80 | 26 | 3 | აინტრახტი (გერ) |
| 21 | კოსტას კაცურანისი | ნახ | 21.06.79 | 183 | 81 | 49 | 6 | ბენფიკა (პორ) |
| 22 | ალექსანდროს ციოლისი | ნახ | 13.02.85 | 189 | 84 | 7 | - | პანათინაიკოსი |
| 23 | ნიკოს ლიბეროპულოსი | თავ | 04.08.75 | 186 | 79 | 59 | 13 | აეკ |

მთავარი მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი 09.08.1938

## შვედეთი

| № | ფეხბურთელი | ა | დ.თ. | სმ | წონ | თამ | გოლ | კლუბი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ანდრეას ისაქსონი | მეკ | 03.10.81 | 199 | 88 | 56 | - | მანჩესტერ სიტი (ინგ) |
| 2 | მიკაელ ნილსონი | მცვ | 24.06.78 | 182 | 75 | 47 | 3 | პანათინაიკოსი (საბ) |
| 3 | ოლოფ მელბერგი | მცვ | 03.09.77 | 186 | 82 | 82 | 4 | ასტონ ვილა (ინგ) |
| 4 | პეტერ ჰანსონი | მცვ | 14.12.76 | 188 | 84 | 32 | 1 | რენი (საფ) |
| 5 | ფრედრიკ სტოორი | მცვ | 28.02.84 | 183 | 79 | 5 | - | რუსენბორგი (შვედ) |
| 6 | ტობიას ლინდეროტი | ნახ | 21.04.79 | 176 | 72 | 75 | 2 | გალათასარაი (თურ) |
| 7 | ნიკლას ალექსანდერსონი | მცვ | 29.12.71 | 181 | 75 | 108 | 7 | გიოტებორგი |
| 8 | ანდერს სვენსონი | ნახ | 17.07.76 | 177 | 77 | 90 | 15 | ელფსბორგი |
| 9 | ფრედრიკ ლიუნგბერგი | ნახ | 16.04.77 | 176 | 75 | 72 | 14 | ვესტ ჰემი (ინგ) |
| 10 | ზლატან იბრაჰიმოვიჩი | თავ | 03.10.81 | 192 | 84 | 50 | 18 | ინტერი (იტა) |
| 11 | იოჰან ელმანდერი | თავ | 27.05.81 | 188 | 79 | 35 | 11 | ტულუზა (საფ) |
| 12 | რამი შააბანი | მეკ | 30.06.75 | 193 | 93 | 15 | - | ჰამარბიუ |
| 13 | იოჰან ვილანდი | მეკ | 24.01.81 | 189 | 77 | 3 | - | ელფსბორგი |
| 14 | დანიელ მაისტოროვიჩი | მცვ | 05.04.77 | 190 | 88 | 15 | 1 | ბაზელი (შვეიც) |
| 15 | ანდრეას გრანკვისტი | მცვ | 16.04.85 | 192 | 84 | 3 | - | ჰელსინგბორგი |
| 16 | კიმ კალსტრიომი | ნახ | 24.08.82 | 182 | 83 | 55 | 8 | ლიონი (საფ) |
| 17 | ჰენრიკ ლარსონი | თავ | 20.09.71 | 177 | 74 | 95 | 36 | ჰელსინგბორგი |
| 18 | სებასტიან ლარსონი | ნახ | 06.06.85 | 179 | 71 | 4 | - | ბირმინგემი (ინგ) |
| 19 | დანიელ ანდერსონი | ნახ | 28.08.77 | 178 | 79 | 62 | - | მალმიო |
| 20 | მარკუს ოლბაკი | თავ | 05.07.73 | 180 | 77 | 73 | 30 | კოპენჰაგენი (დან) |
| 21 | კრისტიან ვილჰელმსონი | ნახ | 08.12.79 | 177 | 68 | 51 | 4 | დეპორტივო (ესპ) |
| 22 | მარკუს როზენბერგი | თავ | 27.09.82 | 178 | 74 | 21 | 6 | ვერდერი (გერ) |
| 23 | მიკაელ დორსინი | მცვ | 06.10.82 | 182 | 78 | 12 | - | კლუჟი (რუმ) |

მთავარი მწვრთნელი: ლარს ლაგერბაკი 16.07.1948

| C ჯგუფი | | | | | მ | ფ | წ | გ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | | | | | | | | | | |
| საფრანგეთი | | | | | | | | | | |
| ჰოლანდია | | | | | | | | | | |
| იტალია | | | | | | | | | | |

| D ჯგუფი | | | | | მ | ფ | წ | გ | ქ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | | | | | | | | | | |
| რუსეთი | | | | | | | | | | |
| საბერძნეთი | | | | | | | | | | |
| შვედეთი | | | | | | | | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევრო 2008. შვეიცარია. ინტერვიუ ალექსანდერ ფრაისთან

# 100 პროცენტით მზად ვართ, ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ!

## კაპიტნის სიტყვა: თუკი რომელიმე ჩემი თანაგუნდელი ფიქრობს, რომ ჩემპიონობა არ შეგვიძლია, სახლში დარჩეს და ევრო 2008-ს ტელევიზორში უყუროს!

**ევროპის** ჩემპიონატი დღეს, შვეიცარიისა და ჩეხეთის ნაკრები გუნდების მატჩით იხსნება. შვეიცარიას, როგორც ერთ-ერთ მასპინძელს, რა თქმა უნდა, სერიოზული მიზნები აქვს. ცხადია, ვერ ვიტყვით, რომ კობი კუნის გუნდი კონტინენტის პირველობის ფავორიტია, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ შვეიცარიელებს საკმაოდ კარგი გუნდი ჰყავთ და რაკი მასპინძლები არიან, იმის შანსიც გააჩნიათ, რომ მინიმუმ ნახევარფინალში გასასვლელად იბრძოლონ. ფაქტია, რომ კუნის გუნდის მიზანიც ეს არის. შვეიცარიის ნაკრები ვალდებულია, მინიმუმ ჯგუფიდან გავიდეს, დანარჩენი კი მერე გამოჩნდებაო, ამბობს მწვრთნელი. გერმანული გამოცემა "კიკერის" ჟურნალისტი, გახსნითი მატჩის წინ გუნდის კაპიტანსა და ლიდერს, თავდამსხმელ ალექსანდერ ფრაის გაესაუბრა. შეგახსენებთ, რომ 28 წლის ფრაი შვეიცარიის ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია - მას ნაკრების მაისურით უკვე 35 გოლი აქვს გატანილი და ერთი გოლით უსწრებს კუბილაი თურქილმაზს, რომელიც შვეიცარიის ღირსებას 90-იან წლებში იცავდა. ცხადია, ფრაი ამაზე შეჩერებას არ აპირებს და რეკორდის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება სურს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ალექსი შვეიცარიის ნაკრების უმთავრესი ფიგურაა.

**- ჰერ ფრაი, პირველ რიგში, რეკორდის დამყარებას გილოცავთ. ალბათ, ძალიან ამაყი ხართ და ეს მიღწევა თქვენთვის დამატებითი მოტივაციაც იქნება...**

- სანამ რეკორდს დავამყარებდი, ყველა ამ თემაზე მელაპარაკებოდა და სიმართლე გითხრათ, დაღლილი გახლდით რეგულარულად იმის მოსმენით, რომ რეკორდის დამყარების შანსი მქონდა. შესაბამისად, ამ მიღწევით ტვირთი მოვიშორე და ახლა თავისუფლად ვარ. ძალიან მიხარია, რომ ეს ზუსტად ევროპის ჩემპიონატის წინ მოხდა. ახლა კი ყველაზე მთავარი ჯგუფურ ეტაპზე გასამართ მატჩებზე სრული კონცენტრაციაა. ამასთან შედარებით, ჩემი რეკორდი არაფერს ნიშნავს.

**- შვეიცარიის ნაკრები ტურნირის მასპინძელია და ფაქტია, რომ უდიდესი გამოწვევის წინაშე დგახართ. რამდენად მზად არის თქვენი გუნდი ამ გამოწვევის მისაღებად, როგორ ფიქრობთ, რა შანსი აქვს შვეიცარიას?**

- ჩვენი გუნდი ევროპის ჩემპიონატისთვის 100 პროცენტით მზადაა. იმისთვის, რომ ამ ტურნირს სრულ მზადყოფნაში შევხვედროდით, ძალიან ბევრი ვიშრომეთ. ამ დღეს დიდხანს ველოდით და თითოეული ჩვენთაგანი მაქსიმალურად მობილიზებულია. ლუგანოში ძალიან კარგად მოვემზადეთ. მართალია, სლოვაკეთი და ლიხტენშტაინი არ არიან იმ კალიბრის გუნდები, როგორებსაც ევროპის ჩემპიონატზე შევხვდებით, მაგრამ მაინც: ამხანაგურ მატჩებში ხუთი გოლი გავიტანეთ და არცერთი არ მიგვიღია. ასე რომ, დამერწმუნეთ, ჩეხეთთან მატჩს სრულ მზადყოფნაში ვხვდებით.

**- შვეიცარიის ნაკრებს მთელი სეზონის განმავლობაში აკლდა რამდენიმე წამყვანი მოთამაშე. როგორ ფორმაში არიან ფეხბურთელები?**

- გუნდი კარგ ფორმაშია, მაგრამ დასკვნების გაკეთების უფლება მხოლოდ ტურნირის შემდეგ გვექნება. თუკი კარგად ვიასპარეზებთ, ყველა იტყვის, შესანიშნავ ფორმაში იყვნენო. თუ არა და პირიქით იტყვიან. ფეხბურთში ყველაფერი შედეგზეა დამოკიდებული და იმედი მაქვს, რომ ძალიან კარგი შედეგები გვექნება.

**- ჩეხეთის ნაკრებზე რას გვეტყვით?**

- მათ ყოველთვის კარგი გუნდი ჰყავთ და გამონაკლისთან არც ახლა გვაქვს საქმე. მაგრამ არც ჩვენ ვართ ვინმეზე ნაკლები. ჩეხები ამას აუცილებლად იგრძნობენ.

**- სეზონი ცოტა ხნის წინათ დამთავრდა და მოთამაშეებს კარგად დასვენების საშუალება არ ჰქონდათ. არადა, წინ ევროპის ჩემპიონატია...**

- პირადად მე ხუთი თვე მქონდა იმისთვის, რომ დამესვენა, მაგრამ ისიც


ალექსანდერ ფრაი

აღსანიშნავია, რომ ტრავმირებული გახლდით. ჩემთვის ეს 5 თვე სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ზედმეტად არ დავტვირთულიყავი. თანაც, იდეალურ დროს გამოვჯანმრთელდი და მერე კიდევ 4 თვე მქონდა იმისთვის, რომ ფორმა აღმედგინა. მოკლედ, ჩემს შემთხვევაში ყველაფერი იდეალურადაა.

**- მცველ პატრიკ მიულერს ერთი წლის განმავლობაში ფაქტობრივად, სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონია. არადა, მას გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული აქვს. როგორ ფიქრობთ, კობი კუნი ამით რისკზე არ მიდის?**

- მიულერი მიულერია და ის შვეიცარიის ნაკრებისთვის ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა. რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, რომ პრაქტიკა ჰქონოდა, მაგრამ ჩვენ მისი შესაძლებლობები კარგად ვიცით და მეც ეჭვი არ მეპარება, რომ ტურნირს უმაღლეს დონეზე ჩაატარებს.

**- ანუ, ოდნავადაც არ ნერვიულობთ იმის გამო, რომ ფაქტობრივად, მთელი სეზონი გაუცდა?**

- საერთოდ არ ვნერვიულობ! იცით, ასეთი შემთხვევების დროს ყველაფერი უშუალოდ ფეხბურთელზე და მის ხასიათზეა დამოკიდებული. მიულერი ისეთი ტიპია, რომლისთვისაც სათამაშო პრაქტიკა ბევრს არ ნიშნავს. პატრიკს, შეგიძლია, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ შეხვედრაში 100 პროცენტით ენდო.

**- მარიო ეგიმანი ევროპის ჩემპიონატს მიღმა დარჩა. გული არ გწყდებათ?**

- რა თქმა უნდა, გული მწყდება. მე და მარიო ძალიან კარგი მეგობრები ვართ, ოთახშიც ერთად გვეძინა ხოლმე. მეტსაც გეტყვით, ხშირად შვებულებაშიც ერთად დავდივართ. მისი ამბავი ძალიან მეწყინა.

**- თქვენ თქვით, რომ შვეიცარიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონობისთვის უნდა იბრძოლოს. როდესაც ეს განცხადება გააკეთეთ, სხვა მოთამაშეებმაც აგიბეს მხარი. მაგალითად, იგივე გაიმეორა მეკარე დიეგო ბენალიომაც. რატომ ხართ ასეთი თავდაჯერებული?**

- შვეიცარიის ნაკრების სიძლიერე სწორედ თავდაჯერებულობაშია. მეტიც, ვფიქრობ, რომ როდესაც ტურნირში მონაწილეობ, მხოლოდ გამარჯვებაზე უნდა იფიქრო. თუკი რომელიმე ჩემი თანაგუნდელი ფიქრობს, რომ ჩვენ უშანსოდ ვართ, შეუძლია სახლში დაჯდეს და ევროპის ჩემპიონატს ტელევიზორში უყუროს. ისე არ გაიგოთ, რომ ცაში დავფრინავ. კარგად ვიცი, რომ ევროპის ჩემპიონატის მოგება ძალიან ძნელია, მაგრამ გაიხსენეთ ევრო 2004, განა მაშინ ვინმე იფიქრებდა, რომ კონტინენტის პირველობას ბერძნები მოიგებდნენ? ცხადია, კარგად მესმის, რომ ჩვენთვის მეოთხედფინალში გასვლაც ნორმალური მიღწევა იქნება, მაგრამ მე გუნდის კაპიტანი ვარ და ჩემი მოვალეობაა, ბიჭებს მხოლოდ უმაღლესი მიზნები დავუსახო. ამას ისიც ემატება, რომ მე ვფიქრობ, ჩემპიონობა შეგვიძლია. მაშინ რატომ უნდა ვთქვა, რომ მეოთხედფინალში გასვლითაც დავკმაყოფილდებით? დიახ, ჩვენ ევროპის ჩემპიონობა გვინდა!

**- დორტმუნდის "ბორუსიაში" უმაღლესი მიზნებისთვის ვერ იბრძვით...**

- არა უშავს, ახლა მწვრთნელი შეიცვალა, კლუბში ახალი დროება იწყება და დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი სეზონიდან ყველაფერი სხვაგვარად იქნება. აი ნახავთ, "დორტმუნდი" გაისად გაცილებით ძლევამოსილი იქნება.

**- "ბორუსიასთან" კონტრაქტი 2010 წლამდე გაკავშირებთ. მომავალზე ჯერ არ ფიქრობთ?**

- ადრეც არაერთხელ მითქვამს და ამას ახლაც სიამოვნებით გავიმეორებ: მნიშვნელობა არა აქვს, რამდენი წელიწადი, თვე თუ დღეა დარჩენილი კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე. თუკი გუნდში დარჩენის სურვილი არ მექნება, პირველს, რასაც მოვიმოქმედებ, იქნება ის, რომ სპორტულ დირექტორ მიხაელ ცორკთან მივალ და ვეტყვი, მივდივარ-მეთქი. მაგრამ ასეთი მომენტი ჯერ არ დამდგარა და იმედი მაქვს, რომ არც დადგება. "ბორუსიაში" თავს ძალიან კარგად ვგრძნობ.

**გოტფრიდ ლენცი**

გერმანია

# ყველა დროის საუკეთესო ბალაკი?

**მიხაელ ბალაკი** მოედანზე პირველი არასდროს გადის. ვარჯიშის დაწყებამდე, სანამ ყველა პროცედურა არ მოგვარდება, გერმანიის ნაკრების კაპიტანს მინდორზე ვერასდროს დაინახავთ. თვით ფიზიოთერაპევტები და ფსიქოლოგი **ჰანს-დიტერ ჰერმანიც** კი მოედანზე არიან ხოლმე, როცა მთელი შტაბი მას ელოდება - კაპიტანს.

როდესაც ვარჯიშის დაწყებისთვის ყველაფერი მზადაა, ბალაკი მხოლოდ მაშინღა გამოდის. ბუნდესგუნდის ყველა ვარჯიში ასე იწყება. მერე კაპიტანიც გამოჩნდება და გუნდს მოედანზე გამოიყვანს. ასეა თუ ისე, კარგია თუ ცუდი, ეს ყველაფერი იმის მაუწყებელია, რომ ამ გუნდს თავისი შეფი ჰყავს და ამ შეფს მიხაელ ბალაკი ჰქვია.

გერმანიის ნაკრებს თავისი ბოსი თითქმის ერთი წლის განმავლობაში აკლდა. 2007 წლის მარტიდან (მატჩი ჩეხეთთან), 2008 წლის თებერვლამდე (3:0 ავსტრიასთან), მიხაელი ტრავმირებული გახლდათ და გერმანია მის გარეშე თამაშობდა. სხვათა შორის, მისი ტრავმის გამო "ჩელსისა" და ბუნდესნაკრების ექიმები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. საბოლოოდ კი ისე მოხდა, რომ მიხაელი ჩემპიონთა ლიგაში ლონდინური კლუბის განაცხადში არ ჩაწერეს და სიას მხოლოდ ზამთარშიღა მიამატეს. ერთი სიტყვით, გასული სეზონი მიხაელისთვის საკმაოდ მძიმე იყო. გერმანელები შიშობდნენ, რომ ევროპის ჩემპიონატი მათი კაპიტნის გარეშე ჩაივლიდა.

არადა, შესაძლოა, ხანგრძლივი პაუზა ბალაკისთვის დიდი პლუსიც იყოს. თავად განსაჯეთ, მიხაელმა ამ სეზონში მხოლოდ 27 თამაში ჩაატარა და შეუძლია იამაყოს იმით, რომ სხვებზე მეტადაა დასვენებული. შედარებისთვის, **კრისტიანო რონალდომ** ამ სეზონში 51 მატჩი ჩაატარა და როგორც ხედავთ, განსხვავება უდიდესია. ფაქტი ის გახლავთ, რომ ბალაკი ფიზიკურად იდეალურადაა მომზადებული, რაც სეზონის ბოლოს აშკარად დაეტყო, როცა შესანიშნავად თამაშობდა და გოლებსაც უხვად იტანდა. *"ასეთ კარგ ფიზიკურ ფორმაში არცერთი დიდი ტურნირის წინ არ ვყოფილვარ და ეს ძალიან მიხარია,"* - აცხადებს ბუნდესკაპიტანი, რომელზეც გერმანიის ნაკრების წარმატება პირდაპირაა დამოკიდებული.

*"მიხაელი ფიზიკურად ძალიან კარგ ფორმაშია და წესით, ეს ტურნირი მისთვის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო უნდა გამოდგეს,"* - ეს კი ბუნდესმწვრთნელ **იოახიმ ლიოვის** სიტყვები გახლავთ.

სერბეთთან ამხანაგურ შეხვედრაში ბალაკმა დაამტკიცა, რომ არის შანსი, ევროპის ჩემპიონატი მისი ტურნირი გახდეს. ჩემპიონთა ლიგის ფინალში დამარცხების შემდეგ, გერმანიაში ბევრს ეგონა, რომ ბალა ევროპის ჩემპიონატს ფსიქოლოგიურად დამარცხებული და ნირწამხდარი შეხვდებოდა, მაგრამ ასე არ მოხდა. მეტიც, მოხდა პირიქით. *"როდესაც ნაკრებს შემოუერთდა, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალი კი არ წააგო, არამედ მოიგო. შემართება ოდნავადაც არ აკლდა, პირიქით, "მანჩესტერთან" მარცხმა*


მიხაელ ბალაკი

*ის კიდევ უფრო გააძლიერა,"* - გახარებულია ლიოვი.

დღეს ჩვენი გერმანელი კოლეგები ჭოჭმანის გარეშე ამბობენ, რომ მიხაელი საბოლოოდ დამწიფდა - როგორც ფეხბურთელი და როგორც პიროვნება. ის უკვე სრულყოფილი მოთამაშეა და ყველა წინაპირობა აქვს შექმნილი იმისთვის, რომ გერმანიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ფინალში გაუძღვეს და კონტინენტის პირველობა მოაგებინოს. ცხადია, ეს ყველაფერი ასაკის დამსახურებაცაა - მიხაელი ბავშვი აღარ არის, უკვე 31 წლის გახლავთ, ეს კი, ფეხბურთელისთვის იდეალური ასაკია.

როდესაც გელზენკირხენულ მატჩში გერმანელები ცოტა მოეშვნენ, სწორედ ბალაკი იყო ის ფეხბურთელი, რომელმაც თანაგუნდელებს შემოუძახა და თითოეული მათგანი შეაგულიანა. საფინალო სასტვენის შემდეგ, სტატისტიკოსებმა დააფიქსირეს, რომ ბალა ბურთს 101-ჯერ შეეხო, 12 კილომეტრი ირბინა და თანაც, გამარჯვების გოლიც შეაგდო.

თავის დროზე, "ლევერკუზენშიც" და "ბაიერნშიც" მას ყოველთვის აკრიტიკებდნენ იმის გამო, რომ არასდროს არაფერს ამბობდა - ეს რა კაპიტანია, პასუხისმგებლობას გაურბის, აფსუს ეფენბერგი და მისნაირი ტიპებიო. დღესდღეისობით, ჩვენ სულ სხვა ბალაკს ვხედავთ: უტევს, იცავს, მსაჯსაც ეკამათება, თუ საჭიროა, თანაგუნდელებსაც ეჩხუბება და რაც ყველაზე მთავარია, პასუხისმგებლობას აღარ გაურბის. ზუსტად არავინ იცის, მაგრამ ყველა ამბობს, რომ ლიოვთან საუბრების დროსაც ძალიან მომთხოვნია - ისეთი მომთხოვნი, როგორც არასოდეს.

ჩვენი გერმანელი კოლეგები კი უკვე ალაპარაკდნენ: გერმანიის ნაკრებს ასეთი არაორდინალური ფეხბურთელი ბოლოს 15-20 წლის წინათ ჰყავდა - **ლოთარ მათეუსი** და მაშინ, 1990 წელს ბუნდესგუნდი ამ ფეხბურთელთან ერთად იტალიაში მსოფლიოს ჩემპიონი გახდაო.

კაპიტანი ზეწოლას არ გრძნობს. *"ძალიან მშვიდად ვარ და ვფიქრობ, რომ ასეთ დროს სიმშვიდე ყველაზე მთავარია. თავს კარგად ვგრძნობ, თავისუფლად, ტრავმა არ მაწუხებს, ფიზიკურად კარგ ფორმაში ვარ. ეს პირველი შემთხვევაა, როცა დიდ ტურნირს აბსოლუტურად უპრობლემოდ ვხვდები,"* - ამბობს ბალაკი.

როგორც წესი, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ბედს დიდი ფეხბურთელები წყვეტენ ხოლმე. გერმანელი ქომაგებიც მშვიდად არიან, რადგან მათი კაპიტანი ევროპის ჩემპიონატისთვის იდეალურადაა მომზადებული და ის უკვე დიდი ფეხბურთელია.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტიკური ჭიდაობა

# ნახკაძორით ვიწყებთ

ხვალ, "ანტიკოსთა" ნაკრები სომხურ ნახკაძორში მიემგზავრება, სადაც იქაურ ოლიმპიურ ბაზაზე საერთო ფიზმომზადებისთვის განკუთვნილ შეკრებას გაივლის. ნახკაძორში წასვლას ჩვენები თავიდან არ გეგმავდნენ, მაგრამ ნაკრებში მომრავლებულმა პრობლემებმა გეგმები შეაცვლევინათ. სამწუხაროდ, ნაკრების სამი ოლიმპიელი - **დავით ბედინაძე** (60), **ბადრი ხასაია** (84) და **რამაზ ნოზაძე** (96) დაშავებული იყო. ბედინაძეს ვარჯიშზე ტვინი შეერყა და ხანგრძლივად მკურნალობდა, ხასაიას და ნოზაძეს კი ხელის ტრავმები აწუხებდათ. ამიტომ იმხანად ტურნირზე ან შეკრებაზე წასვლა აზრს კარგავდა და მათაც გეგმები შეცვალეს. ახლა სამივე გამოჯანმრთელდა, ოლონდ ხასაია - ბოლომდე ჯერ კიდევ არა. ნახკაძორიც ამის შემდეგ გაჩნდა გეგმებში.

სომხეთში 17 კაცი გაემგზავრება - 15 სპორტსმენი და 2 მწვრთნელი. ცხადია, ამ პერიოდში ყველაფერი ოლიმპიადაზეა კონცენტრირებული და ნაკრების თავკაცი **ბეგი დარჩიაც** აქცენტს იმ ლიცენზიანტ ხუთეულზე აკეთებს, - ბედინაძე, ხასაია, ნოზაძე, **ლაშა გოგიტაძე** (55) და **მანუჩარ კვირკველია** (74). მწვრთნელს ესენი მიჰყავს 2-2 სპარინგმეტოქესთან ერთად. მთლიანობაში, წონაში 3-3 კაცით მიდიან.

ნახკაძორში მათთან ერთად სომხეთის ნაკრებიც ივარჯიშებს, თუმცა ჩვენები დიდ სპარინგებს არ გეგმავენ. ეს ხომ საერთო ფიზმომზადებისთვის განკუთვნილი შეკრებაა, მაგრამ ბიჭები ხალიჩაზეც ივარჯიშებენ, ოლონდ არა ისეთი დატვირთვით. ლეიბზე ძირითადად ახალ ილეთებს შეისწავლიან და დახვეწენ, ამ პროცესში კი სხვათა ჩარევა არცაა მიზანშეწონილი. დარჩიას ლიდერებთან ერთად სწორედ ამიტომ მიჰყავს ის 2-2 სპარინგმეტოქე.

ნაკრები იქ 2 კვირა დარჩება, მერე კი რომელიმე ტურნირში გამოვა. სავარაუდოდ, ბაქოში გასამართ "ოქროს დიდი პრიზის" ფინალურ ტურნირში, ოლონდ აქაც ყველაფერი ისევ ლიდერთა ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული. როგორც გითხარით, ხასაია ჯერ კიდევ ვერ გამოჯანმრთელებულა - ლეიბზე ჯერ ბოლომდე ვერ იტვირთება, ბედინაძემ და ნოზაძემ კი 4-5 დღის წინათ განაახლეს ვარჯიში. თუ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იქნება, მაშინ გაუშვებენ ბაქოში, თუ არადა, ესპანეთში იჭიდავებენ. "ოქროს დიდი პრიზის" ფინალში იწვევენ ევროპისა და მსოფლიო პირველობების მედალოსნებს, ლიცენზიამოპოვებულ სპორტსმენებს, "ოქროს დიდი პრიზის" ცალკეულ ეტაპებზე ხუთეულში შესულ ფალავნებს. ჩვენგან ოლიმპიელთა ხუთეულის გარდა, ბაქოში ფინალში **მუხრან მაჭუტაძე** (66) და **ვლადიმერ გეგეშიძეც** (84) მიიწვიეს.

13-26 ივლისს ჩვენები მორიგ შეკრებას უკვე მინსკში, სტაიკის ოლიმპიურ ბაზაზე გაივლიან, სადაც მათთან ერთად ერთობლივ ვარჯიშებზე დაახლოებით 6 ნაკრები იქნება, მზადების დასკვნით ეტაპს კი საქართველოში გამართავენ.

**ირაკლი თავაძე**

რაგბი. IRB-ის ერთა თასი. პრესკონფერენცია

# მეორე ნაკრებია, პირველი ჰქვია



ნიკო ჭავჭავაძე, ლევან მაისაშვილი, ტიმ ლეინი

ნუგზარ სუარიძის ფოტო

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 9 ივნისს რუმინეთში, ბუქარესტში გასამართ IRB-ის ერთა თასზე სასპარეზოდ მიემგზავრება. რაგბის კავშირის ხელმძღვანელებმა და ნაკრების მწვრთნელებმა გამგზავრების წინ პრესკონფერენცია გამართეს.**

**გიორგი ნიჟარაძე, რაგბის კავშირის პრეზიდენტი:** - IRB-ის ერთა თასი ჩვენი ახალგაზრდული გუნდისთვის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გამოცდაა. ოპტიმალური შემადგენლობა რომ ვერ შევკრიბეთ, ამის მრავალი მიზეზი არსებობს. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ საფრანგეთში გამართული მსოფლიო თასის გამო, ამ ქვეყნის ჩემპიონატი ერთი თვით გაგრძელდა. ჩვენი მორაგბეების უმრავლესობის კლუბებს მნიშვნელოვანი თამაშები აქვთ. ზოგი ტრავმირებულია, ნაწილი კი ახალ კლუბებთან კონტრაქტის გაფორმებას ცდილობს.

რუმინეთში ბევრი ახალი მორაგბის გამოცდა ისედაც გვინდოდა, თუმცა ვითარებამ ისე მოიტანა, რომ მათი რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. ფაქტობრივად, ბუქარესტში საქართველოს A ნაკრები მიემგზავრება, თუმცა სამწუხაროდ, გუნდისთვის ოფიციალურად ამ სახელის წოდება არ შეგვიძლია, ვინაიდან IRB გვავალდებულებს ტურნირზე ეროვნული ნაკრები მივავლინოთ.

ბუქარესტში გუნდს ძირითადად საქართველოს A ნაკრების მწვრთნელები **ლევან მაისაშვილი** და **ნიკოლოზ ჭავჭავაძე** უხელმძღვანელებენ. ტიმ ლეინი მხოლოდ პირველ შეხვედრას დაესწრება და მერე სამხრეთ აფრიკაში გაემგზავრება, სადაც მისი ვაჟი სარაგბო აკადემიაში გამოსაშვებ გამოცდებს აბარებს.

ლეინი თბილისში ოქტომბერში დაბრუნდება. ნოემბერში კი საშუალება მიეცემა, ბოლოს და ბოლოს, ყველა უძლიერესი ქართველი მორაგბე შეკრიბოს და ორ ტესტი გამართოს სავარაუდოდ ტონგას ნაკრებთან და ინგლისის, საფრანგეთის ან შოტლანდიის A ნაკრებებთან.

**ტიმ ლეინი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:** - გუნდში ბევრი დებიუტანტია, მაგრამ ეს საგანგაშო სულაც არაა. მორაგბეთა ერთი ნაწილი ქართული კლუბებიდანაა და ისინი, იმსახურებენ შანსს, ნაკრებში თავიანთი შესაძლებლობები წარმოაჩინონ.

გუნდს ბუქარესტში მესამეხაზელი ბესო უდესიანი უკაპიტნებს. ის საკმაოდ კარგი პიროვნება აღმოჩნდა და ძალიან კარგად მოახერხა გუნდის შეკვრა. ყველა მორაგბეს გათვითცნობიერებული აქვს რაოდენ საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში მოუწევს ასპარეზობა. ვფიქრობ, ჩვენი გუნდი, მორაგბეები, როგორც სჩვევიათ, ყველაფერს გაიღებენ, შინ შერცხვენილები რომ არ დაბრუნდნენ.

ეროვნული ნაკრების მიერ მიღწეულმა ხუთმა გამარჯვებამ, საერთაშორისო არენაზე ჩემი, როგორც მწვრთნელის ავტორიტეტს წონა მნიშვნელოვნად გაუზარდა. მაქვს რამდენიმე შემოთავაზება, მაგრამ მე საქართველოს ნაკრებთან მუშაობა მსურს და ამ ნაკრების ერთგული ვრჩები.

ბუქარესტში მარტო ახალგაზრდა მორაგბეების გამოცდა არ იქნება. გუნდს ორი საკმაოდ ახალგაზრდა, ნიჭიერი მწვრთნელი უხელმძღვანელებს და მათთვისაც შესანიშნავი შესაძლებლობაა თავიანთი ცოდნა და უნარი გამოამჟღავნონ. ამასთან, ფასდაუდებელი გამოცდილებაც მიიღონ. ასე რომ, IRB-ის ერთა თასის წლევანდელ გათამაშებას, ვფიქრობ, ქართული რაგბისთვის ბევრი სასარგებლოს მოტანა შეუძლია.

**ლევან მაისაშვილი, საქართველოს A ნაკრების მწვრთნელი:** - გუნდში საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე 12 მორაგბეა. მათ გასულ უქმეებზე ჩემპიონატის ბოლო შეხვედრაში ითამაშეს, ზოგს მცირე ტრავმები ისევ აწუხებს, მაგრამ საგანგაშო არაფერია.

გუნდი მეტნაკლებად დაბალანსებულია. ბევრი დებიუტანტია. ერთ-ერთი მათგანი სულაც წელიწადნახევარია რაც რაგბის თამაშობს, მაგრამ, ვფიქრობ, ყველასთვის ბუქარესტის ტურნირი უდიდესი სკოლა იქნება.

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრებში, რომელიც ბუქარესტში გაემგზავრება, ერთი ცვლილებაა. "უნივერსიტეტის" პირველხაზელის ტარიელ დონაძის ნაცვლად, IRB-ის ერთა თასზე კონსტანცას "ფარულის" მორაგბე გიორგი ხოსიტაშვილი ითამაშებს.**

**ბუქარესტიდან საქართველოს ნაკრების შეხვედრების ტელეტრანსლაციას საზოგადოებრივი მაუწყებელი განახორციელებს.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

**11 ივნისი**

საქართველო-სამხრ. აფრიკა A

**15 ივნისი**

საქართველო-ურუგვაი

**20 ივნისი**

საქართველო-იტალია A

**ნაკრები**

პირველი ხაზი: **კარენ ასეიშვილი, ჯაბა ბრეგვაძე, გიორგი ხოსიტაშვილი, დავით გასვიანი, შოთა მელიქიძე, ირაკლი ნატრიაშვილი**

მეორე ხაზი: **კახაბერ უჩავა, გიორგი ნემსაძე, ბაჩუკი გუჯარაიძე**

მესამე ხაზი: **ირაკლი გუნდიშვილი, ვიქტორ კოლელიშვილი, სიმონ მაისურაძე, ბესო უდესიანი, თორნიკე ძაგნიძე**

9: **ბიძინა სამხარაძე, გიორგი კაჭარავა**

10: **ლაშა მალაღურაძე, ლაშა ხმალაძე**

12-13: **ლაშა ბაირამაშვილი, ალექსანდრე თოდუა, რეზო გიგაური**

11-14: **ირაკლი ჩხიკვაძე, ბექა ნიკლაური, გიორგი შკინინი**

15: **ირაკლი ყიასაშვილი, ოთარ ბარკალაია**

ჭადრაკი

# 17 მოგება, ყაიმი და....

საუნივერსიტეტო სპორტი რომ ნელ-ნელა ძალას იკრებს, არაერთგზის აღვნიშნეთ. ამ მხრივ განსაკუთრებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურობს და თვე არ გავა, რაიმე მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებები არ გაიმართოს.

ცხადია, ასეთი გამოცოცხლება იმათი დამსახურებაა, ვინც უნივერსიტეტში სპორტს ხელმძღვანელობს. ასეთები კი ქალბატონები - **ლილიკო ნემსაძე** და **მაია ლომინეიშვილი** არიან. ცნობილი და ყველასთვის საყვარელი კომპოზიტორი ლილიკო ნემსაძე უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრის დირექტორია, დიდოსტატი მაია ლომინეიშვილი - დირექტორის მოადგილე.

გუშინ, ქართულ უნივერსიტეტს სპორტის ლეგენდა, მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონი, საჭადრაკო ოლიმპიადების ექვსგზის ჩემპიონი და მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, დიდოსტატი **ნანა ალექსანდრია** ეწვია.

ქალბატონმა ნანამ საკმაოდ საინტერესო ლექცია წაიკითხა ჭადრაკზე და საკუთარი ბიოგრაფიიდან მნიშვნელოვანი ფაქტები გაიხსენა; პროექტორის დახმარებით სტუდენტებმა ქალბატონი ნანას ბიოგრაფიის ამსახველი მინი-ალბომი იხილეს:

მსგავსი შეხვერები, როგორც წესი, ერთობლივი თამაშის სეანსით მთავრდება. ასე იყო ამჯერადაც და ქალბატონ ნანას ერთდროულად 19 დაფაზე მოუხდა ბრძოლა. უმეტესობა მოყვარულები იყვნენ, მაგრამ ორმა მოჭადრაკე სტუდენტმა, **მადონა ბოკუჩავამ** და **ნინო კორძაძემ,** გადაწყვიტა ლეგენდასთან ძალების გამოცდა. თამაში ისურვა **ლილიკო ნემსაძემაც.** ოსტატობამ თავისი გაიტანა და ქალბატონმა ნანამ გაიმარჯვა, მაგრამ მასპინძელი შექებას ნამდვილად იმსახურებდა, რაც აღნიშნა კიდეც ქალბატონმა ნანამ შეხვედრის დასრულების შემდეგ.

როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მეტი წინააღმდეგობა სტუმარს მოჭადრაკე გოგონებისგან შეხვდა; თუმცა ნინო კორძაძემ ვერ გაუძლო ექვსგზის ოლიმპიური ჩემპიონის შეტევებს და დამარცხდა; მადონა ბოკუჩავა კი მთელი პარტიის განმავლობაში ფლობდა მცირე უპირატესობას, მაგრამ ვერ გამოიყენა და ყაიმს დასჯერდა. ეს იყო ერთადერთი ყაიმი 18 მონაწილეს შორის, მაგრამ დარჩენილი იყო ერთი პარტია, რომელიც ყველაზე ბოლოს დასრულდა და... დასრულდა სენსაციით - ქალბატონი ნანა დამარცხდა! ვიდრე მკითხველს გამარჯვებულზე მოვახსენებდე, ვიტყვი, რომ ადამიანის ცხოვრებაში ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტიც კი შეიძლება ბედნიერების მომასწავებელი გახდეს და მთელი ცხოვრება დაუვიწყარ მოგონებად დაურჩეს. ნამდვილად ასე იქნება ეს იმ ადამიანისთვის, ვინც ქალბატონ ნანას აჯობა და მიუხედავად იმისა, რომ კარგად ესმის – თუ მომავალში კვლავ მიეცა მსგავსი შესაძლებლობა, აუცილებლად დამარცხდება. სწორედ ამ შინაარსის წარწერა გაუკეთა საკუთარ წიგნს - "უგვირგვინო ყაიმი" - ქალბატონმა ნანამ, რომელიც გამარჯვებულს საჩუქრად გადასცა: "ზვიადს, საჭადრაკო ბიოგრაფიაში დიდი წარმატების სამახსოვროდ". ალბათ, მიხვდით, რომ ეს სიტყვები თქვენი მონა-მორჩილის მისამართითაა და იმედია, თავის ქებაში არ ჩამომართმევთ. უბრალოდ, ძალიან ამაყი და ბედნიერი ვიყავი. ალალად გეტყვით, ჩემი საჭადრაკო ბიოგრაფია მართლაც მწირია - მხოლოდ მოყვარული გახლავართ და ვინძლო მსგავსი წარმატება ერთადერთად დარჩეს ჩემს "საჭადრაკო კარიერაში".



მაია ლომინეიშვილი, ნანა ალექსანდრია

**ზვიად შათირიშვილი**

პრეზენტაცია

# ქართული სპორტი მენილეა

კომპანია "ყაზბეგმა" ქართულ სპორტს ნამდვილად კარგი სიურპრიზი უძღვნა - ჩამოასხა ლუდი "ოლიმპიური", რომლის ყოველი ბოთლის ღირებულებიდან 5 თეთრი ქართული სპორტის დასახმარებლად გადაირიცხება. გუშინ, კომპანიის ოფისში სწორედ ამ ლუდის პრეზენტაცია-დეგუსტაცია მოეწყო სპორტული სამყაროსთვის.

როგორც პრეზენტაციაზე გვითხრეს, ამ ლუდიდან შემოსული თანხა ძირითადად ვეტერან სპორტსმენთა სოციალურ დაცვას მოხმარდება, თუმცა არც მოქმედ სპორტსმენებს დაივიწყებენ. *"ესაა მიზნობრივი აქცია და შესაბამის ანგარიშზე განთავსებულ შემოსულ თანხას კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ რეკომენდებული რამდენიმე ცნობილი სპორტსმენიც განკარგავს. უპირველესად, ის მოხმარდება ვეტერანების სოციალური დაცვის გაუმჯობესებას. ვფიქრობ, ეს ძალიან კარგი იდეაა, თუმცა იგი მხოლოდ ამით არ შემოიფარგლება. ეს იქნება ახალგაზრდა სპორტსმენების სტიმულირებისა და წახალისების აქცია, მოხმარდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიების ჩატარებას."* - განაცხადა სეოკ-ის გენერალურმა მდივანმა **ემზარ ზენაშვილმა.**

ამგვარი დასახელების ლუდს "ყაზბეგი" ადრეც უშვებდა, მაგრამ ერთი ხანობა შეაჩერა და ახლა აღადგინა. შეიძლება ითქვას, ეს საცდელი აქციაა, რომელიც ამ ეტაპზე რამდენიმე თვე (სავარაუდოდ, წლის ბოლომდე) გაგრძელდება, ხოლო გამართლების შემთხვევაში - უსასრულოდ. როგორც მასპინძლებმა განმარტეს, მათი უმთავრესი მიზანი ოლიმპიური სპორტია, თუმცა არაოლიმპიურებიდან რაგბისაც დაეხმარებიან მათი ბოლოდროინდელი წარმატებებიდან გამომდინარე.

**ირაკლი თავაძე**

იუბილარი

# ქართული რაგბის კოლორიტი



თემურ ბენდიაშვილი

დღეს, ყველას გვეამაყება ქართველ მორაგბეთა წარმატებები, რაც თამამად შეიძლება ითქვას, თაობათა დამსახურებაა. „აწმყო შობილი წარსულისაგან"- აი, სწორედ ეს ესადაგება მოხდენილად ლელოს შვილებს. დიახ, ჩვენ ლელობურთიდან მოგვდგამს სიჩაუქე, წილნაყარი ქართულ რაინდულ ბუნებასთან. და, როცა ვახსენებთ ქართული რაგბის პიონერებს, მემატიანე ვერანაირად ვერ აუვლის გვერდს ვეტერანთა დამსახურებას, რომელთა ამაგი ყოველთვის უნდა ვახსენოთ. მით უმეტეს, როცა ამის საბაბი გვეძლევა.

დღეს, სწორედ ასეთმა მიზეზმა აგვაღებინა კალამი ხელში. თემურ ბენდიაშვილი 60 წლის გახდა. თბილისის „ლოკომოტივისა" და სსრკ-ის ნაკრების ლეგენდარული რვა ნომერი. სსრკ-ის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი, 1976 წლიდან მშობლიური გუნდის მოთამაშე-მწვრთნელი. „ლოკომოტივმა" მისი ხელმძღვანელობით მოიგო სსრკ-ის თასი, ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები. გახდა საქართველოს ექვსგზის ჩემპიონი და თასის ხუთგზის მფლობელი. 1991-93 წლებში სათავეში ედგა საქართველოს ნაკრებს.

ამჟამად კლუბში მწვრთნელობასთან ერთად მუშაობს ი. ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის სპორტულ ცენტრ „სპორტის აკადემიის" დირექტორის მოადგილედ.

ვულოცავთ იუბილარს!

„ლელოს" რედაქცია

ტაიმ-აუტი ლელოსთან ერთად

თენგიზ თომაშვილის პროექტი

# რუსულ-სსრკ-ული კალეიდოსკოპი



დასაწყისი „ლელო" №88-დან

**აი, რას სწერს** გ. დიუპერონი მეცხრამეტე საუკუნეში: „ 1982 წელს პეტერბურგის იპოდრომზე ველორბოლების სტარტების შუალედში, მოედანზე გამოჩნდა კეითლშობილ წვერულვაშიან მოქალაქეთა ჯგუფი. მათ გამოიტანეს დიდი ტყავის ბურთი, დადეს მოედნის ცენტრში. შემდეგ ეძგერნენ მას და დიდ ხანს ურტყამდნენ ფეხებს, მერე წვეროსნებმა ცოტაოდენი შეისვენეს, ლუდი მიირთვეს და ისევ განაგრძეს ბურთაობა. მაყურებლები მოქალაქეებს სტვენით ამხნევებდნენ." თავად მაყურებლები რას მიირთმევდნენ დიუპერონს არ უწერია.

**საბჭოთა** რუსეთის დინამოელთა „პირველი მერცხალი'' გახლდათ პეტროგრადის გუბჩეკისტების შეკრული კოლექტივი. საოცარია პირველი ტურნირის (1922 წელი) შედეგი, რომელშიც დინამოელები მონაწილეობდნენ. მათი ოთხი მოწინააღმდეგიდან, სამმა(!) ...თამაშზე უარი განაცხადა, რაც, თუ კაცი დაფიქრდება, ლოგიკურია. ნაგანმაუზერიანი ფანები, ეტყობა სათანადოდ ამხნევებდნენ ძირითად სამუშაოს დროებით მოწყვეტილ ფეხბურთელებს მათ ერთადერთ მატჩში. ჯალათთა მეტოქის გმირობაც დასაფასებელია, ხუმრობა ხომ არ არის, ბოლშევიკურმა მთავრობამ დინამოელებს მძიმე ამერიკული ფეხსაცმელები გამოუყო სათამაშოდ, რაც მათ ჩინებულად გამოიყენეს. ერთი სიტყვით, "ძალამ მოძრაობაში" პირველი ტურნირი მოიგო. საზოგადოების პირველმა თავმჯდომარემ რუფინმა, უფრო რკინის ფელიქსად წოდებულმა ძერჟინსკიმ კი, ბიჭებს წარმატება მხურვალედ მიულოცა. ასეა, მეტოქე ყველგან უნდა გაანადგურო, მოედანზეც და ლუბიანკის სარდაფშიც!

**პროლეტარულ** რუსეთში "სპარტაკის" აღმოცენება ფრიად საკვირველია. თავად განსაჯეთ: ფრაკიელი სპარტაკი მონა გახლდათ, რომელიც სანამ ბუნტის ხელმძღვანელი გახდებოდა, რომის კოლიზეუმის ფანთა (ექსპლუატატორთა) გულის გასახარად, სიამოვნებით ხოცავდა კოლეგა მონა-გლადიატორებს. არავითარი კლასობრივი სოლიდარობა! თუ მაინცდამაინც, რომთან უნდოდათ ასოციაციის გამოწვევა მოსკოვში, ნამდვილად ჰანიბალი აჯობებდა. იგი ხომ იმპერიის კოლონიზატორთა წინააღმდეგ მედგარი მებრძოლი იყო. თანაც ჰანიბალი პუშკინის ნამდვილი გვარი გახლდათ...

**1924 წელს** ყარსის უკანონო ხელშეკრულების მთავარი ინიციატორები სსრკ-სა და თურქეთის გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს საფეხბურთო მინდორზე (16 ნოემბერი, 3:0). ფიფამ საყვედური სტკიცა თავის წევრ თურქეთს, საერთაშორისო ორგანიზაციაში გუწევრიანებელ გუნდთან შეხვედრის გამო. ეს იყო და ეს. თუმცა ერთა ლიგისგან განსხვავებით, რომელმაც ამ ორი ქვეყნის საერთაშორისო კანონების დარღვევით საქართველოზე გალაშქვრა არ შეიმჩნია, ფიფამ ერთ-ერთის ფორმალური გაკიცხვა მაინც იკადრა, საერთაშორისო ორგანიზაციის წესდების დარღვევისათვის.

**საფეხბურთო** მატჩი უკრაინა-ურუგვაი 7:1(!) არ გაგიკვირდეთ, 1928 წლის საკავშირო სპარტაკიადაში მონაწილეობდნენ ურუგვაის, ინგლისის, გერმანიის, ავსტრიის, შვეიცარიის და ფინეთის სპორტულად ყოვლად უვარგისი, მაგრამ იდეურად უმაღლესი დონის მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივები. ასე იცის სოციალიზმმა.

**სსრკ-ს** ჩემპიონატები ფეხბურთში 1936 წელს დაიწყო. ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლების დარიგება კი მხოლოდ 1947 წლიდან იღებს სათავეს. სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!

**1937 წლის** ანტვერპენის მუშათა ოლიმპიადაზე მოსკოვის "სპარტაკის" ფეხბურთელებმა ფინალი მოიგეს, თუმცა ბევრი ფეხბურთელი აკლდათ და იძულებულნი გახდნენ, მოედანზე სსრკ-ს აბსოლუტური ჩემპიონი... ტანვარჯიშში **დიმიტრიევი** გამოეყვანათ. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მსოფლიოს პროლეტართა სპორტული წესდებები კლასობრივ ძმებს ბევრი რამის უფლებას აძლევდა, მაგრამ რუსების გამარჯვების მთავარი სტიმული, ეტყობა, მაინც სხვა იყო - ნაგებულთა შინ დაბრუნება, სავარაუდოდ, გულაგის (და არა სპორტული) ბანაკით დამთავრდებოდა. არ დაგავიწყდეთ, რომელ წელს ტარდებოდა ოლიმპიადა.

**მოსკოვის** "დინამო" 1937 წელს საბჭოეთის ჩემპიონი გახდა. აბა, სხვა ვინ გაბედავდა!?

ჩეკისტების გუნდის ფორვარდი სემიჩასტნი სსრკ-ს 5-გზის ჩემპიონი იყო, მისი მოგვარე კი მოგვიანებით ამ უწყების ხელმძღვანელი. ეტყობა არის ამ გვარში რაღაც სპეციფიკური.

**სოცპროპაგანდის ნიმუში:** ალყაშემორტყმულ ლენინგრადში ჩატარდა საფეხბურთო მატჩი, რომლის რადიორეპორტაჟი გამაძლიერებლებით ფრონტის ხაზს იქითაც გადაიცემოდა!

**ბევრი** სოცგულშემატკივარი აღფრთოვანებული იყო მოსკოვის დინამოელთა ტურნეთი დიდ ბრიტანეთში 1945 წელს. სამართლიანობა კი მოითხოვს აღინიშნოს შემდეგი: მოსკოვში სხვადასხვა სახის საფეხბურთო ტურნირები ჯერ კიდევ 1943 წელს ტარდებოდა, 1944-ში მოსკოვის, ხოლო 1945 წელს კი საკავშირო პირველობა გაიმართა. არადა, ინგლისში, 1945 წლამდე არა თუ პირველობა, ხეირიანი ვარჯიშებიც კი არ ტარდებოდა...

**რუსული საბჭოთა პოეზიის ნიმუში:** როდესაც მოსკოვის დინამოელებმა სსრკ-ს თასი წააგეს, "ზემდგომებმა" ყველაფერი, შემდგომში მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ აღიარებულ **ლევ იაშინს** დააბრალეს. სათანადო ლექსიც დაიწერა. "კუბოკ დოლჟენ ბიტ ბი ნაშიმ, ნო პოდვიოლ ტოვარიშჩ იაშინ!" გოლკიპერებო, უნიჭო პოეტებისგან ნურაფერი გეწყინებათ!

იაშინი ფრიად ცრუმორწმუნე ადამიანი ყოფილა. ათ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ის ძონძადქცეულ სვიტრში თამაშობდა. სხვათა შორის, ბრწყინვალედ.

**1948 წელი.** ლენინგრადის "დინამო" - კიევის "დინამო". კიეველებმა სამი გოლი გაიტანეს და მატჩი დამთავრდა 2:1 ლენინგრადელთა სასარგებლოდ. საქმე ის გახლავთ, რომ უკრაინელებმა მოწინააღმდეგეთა კარში გატანილი გოლის შემდეგ, ორი ბურთი საკუთარში გაიტანეს! რა არ ხდება ფეხბურთში!

**საოცარია,** მაგრამ 1946 წელს ფიფაში გაწევრიანებული სსრკ, 1958 წლამდე არ მონაწილეობდა მსოფლიო პირველობის გათამაშებაში. ეტყობა, ამხანაგ სტალინს ეჭვი ეპარებოდა საბჭოეთის ფეხბურთის სიძლიერეში...

**სსრკ-ს** ჩემპიონატის მატჩის დროს ("სპარტაკი"-"ჩერნომორეცი"), მოედანზე გამოჩენილ ზორბა ძაღლს, დიდხანს ამაოდ დასდევდნენ ფეხბურთელები და "დინამოს" სტადიონის ადმინისტრაცია. საქმეს საბჭოთა მილიციამ უშველა. წესრიგის დამრღვევი შეიპყრეს. გამოცდილებამ და სიმრავლემ თავისი გაიტანა - ამიტომ ორფეხებმა ოთხფეხა დააკავეს.

**ეთიოპიაში** ჩასულმა ბაქოს "ნეფტიანიკმა", ამ ქვეყნის ნაკრებს მოუგო, ადგილობრივი მსაჯების უსინდისობის მიუხედავად. სანამ თამაში 11X11 მიმდინარეობდა, აზერბაიჯანელები 0:2 აგებდნენ. არბიტრი გათავხედდა და ორი ბაქოელი გააგდო. ბაქოელთათვის სტიმულიც ეგ იყო და შეხვედრა ანგარიშით 5:2 მოიგეს. სალოლ, ბიჭებო!

**სპორტული** გმირობა ჩაიდინეს სსრკ-ს ჩემპიონატში მოსკოვის ტორპედოელებმაც. ისინი 0:3 აგებდნენ პირველ ტაიმს ერევნის "არარატთან", თანაც 10 კაცის შემადგენლობით. მასპინძლებმა იძალეს და მატჩი 4:3 მოიგეს!

**ალექსანდრე ჯინორია**

გაგრძელება იქნება

## 7-13 ივნისი მსოფლიო სპორტის ისტორიაში

**8 ივნისი. 1996 წელი.** ინგლისში ამ დღეს დაიწყო და 30 ივნისს გერმანელთა გამარჯვებით დასრულდა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი. გერმანელებმა ჩეხებს დამატებით დროში სძლიეს 2:1. გადამწყვეტი გოლი გაიტანა **ოლივერ ბირჰოფმა.** ფინალურ ეტაპზე პირველად თამაშობდა 16 გუნდი.

**8 ივნისი. 1990 წელი.** ამ დღეს საზეიმოდ გაიხსნა ფეხბურთში XIV მსოფლიო ჩემპიონატი, რომელსაც იტალიამ უმასპინძლა. მონაწილეობდა 24 გუნდი. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ არგენტინისა და გფრ-ის ნაკრები გუნდები. გერმანელებმა მესამედ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

**9 ივნისი. 1933 წელი.** ბერლინში, ზაფხულის XI ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე სამი წლით ადრე, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თავის 31-ე სესიაზე პირობა დაადებინა გერმანელებს, რომ ებრაელებს ბერლინში ოლიმპიადაზე გამოსვლის უფლება ექნებოდათ.

**10 ივნისი. 1829 წელი.** გაისად, ამ დროს, ზუსტად ორი საუკუნე შესრულდება მას შემდეგ, რაც საფუძველი ჩაეყარა ოქსფორდისა და კემბრიჯის გუნდებს შორის გასაშლელი რვაადგილიანი ნავების რეგატას მდინარე ტემზაზე. მანძილი შეადგენდა 6778-მ-ს პატნიდან მორტლეიკამდე.

**10 ივნისი. 1988 წელი.** ზუსტად 20 წლის წინათ, ამ დღეს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში დაიწყო და 25 ივნისს დასრულდა ევროპის VIII ჩემპიონატი ფეხბურთში. კონტინენტის ჩემპიონობა ჰოლანდიის ნაკრებმა მოიპოვა.

**10 ივნისი. 1998 წელი.** 10 წლის წინათ, 10 ივნისს დაიწყო და 12 ივლისს დასრულდა მსოფლიოს XVI ჩემპიონატი ფეხბურთში. ჩემპიონი გახდა საფრანგეთის ნაკრები, რომელმაც 3:0 დაამარცხა ბრაზილიის გუნდი ფინალში. ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე პირველად მონაწილეობდა 32 გუნდი.

**10 ივნისი. 2000 წელი.** პირველად ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს ორმა ქვეყანამ უმასპინძლა - ჰოლანდიამ და ბელგიამ. ფინალში, **დევიდ ტრეზეგეს** "ოქროს გოლის" წყალობით, საფრანგეთის ნაკრებმა სძლია იტალიელებს - 2:1.

**12 ივნისი. 1814 წელი.** მსოფლიო კრივის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიო ჩემპიონი გახდა **თომას უინტერი** - მეტსახელად "თომ სპრინგი". მაშინ იგი 19 წლისა იყო.

**12 ივნისი. 1956 წელი.** ფეხბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ ფინალურ მატჩში მადრიდის "რეალმა" დაამარცხა "სტად დე რეიმსი" - 4:3.

**12 ივნისი. 2004 წელი.** ამ დღეს პორტუგალიაში დაიწყო და 4 ივლისს დასრულდა ევროპის XII საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი. ტურნირი დამთავრდა სენსაციური შედეგით - უძლიერესის სახელი მოიპოვა საბერძნეთის ნაკრებმა.

**13 ივნისი. 1950 წელი.** ამდღეს დასრულდა "ჯირო დ'იტალიის" ველორბოლაში იტალიელთა ჰეგემონია. პირველად ტურნირი არაიტალიელმა მოიგო. ეს იყო შვეიცარიელი **ჰუგო კოპლეტი.**

**13 ივნისი. 1974 წელი.** ამ დღეს გერმანიის საფეხბურთო ნაკრებმა მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ჩემპიონატის მასპინძლებმა ჰოლანდიელებს სძლიეს - 2:1.

**13 ივნისი. 1982 წელი.** ამ დღიდან 11 ივლისის ჩათვლით, ესპანეთში გაიმართა ფეხბურთში მსოფლიოს XII ჩემპიონატი. ფინალურ ეტაპზე პირველად გამოდიოდა 24 რჩეული ნაკრები. იტალიამ ბრწყინვალედ ჩაატარა ფინალური მატჩი გერმანიის ნაკრებთან (3:1) და მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს, 1934, 1938 წლების შემდეგ, მესამედ დაეუფლა.

ავტოსპორტი

# ოპელ-ლოტუსი A1 გრან პრის წინამორბედი

## თანაბარი შესაძლებლობების ფორმულა

ავტოსპორტში ეს პრობლემა მთელი ასი წელიწადია აქტუალურია, თუმცა როგორ განვსაზღვროთ მსოფლიოში, მართლაც, ყველაზე ძლიერი ავტომრბოლი, როცა რბოლა სხვადასხვა ავტომობილის, გუნდის და ფირმის შეჯიბრებაა? რომელიმე სხვაზე მდიდარი აღმოჩნდება და ატვოდრომებზე მაშინვე უპირატესობას მიიიღებს. "სავსე ქისით" ყოველთვის შეიძლება უახლესი ტექნიკის, უმძლავრესი ძრავის და საუკეთესო საბურავების შოვნა.

ყველაფერი ეს განსაკუთრებით აქტუალურია მსოფლიო ჩემპიონატებისთვის, ევროპისა და ამერიკისთვის.

"ოპელმა" და მისმა ბრიტანულმა ფილიალმა, "ვოქსჰოლმა" სახელოვან ინგლისურ ფირმას, "ლოტუსს" "თანაბარი შესაძლებლობების" ფორმულის ახალი სარბოლო ავტომობილის პროექტი შეუკვეთა.

ახალმა კლასმა სახელად "ოპელლოტუსი" მიიღო. მის კონსტრუქციაში შედიდა 2 ლიტრიანი ძრავა "ოპელ კადეტისა", რომელიც პირველად 1987 წლის ფრანკფურტის ავტოშოუზე აჩვენეს საზოგანოებას.

ახალი ფორმულა ისეთი წარმატებული გამოდგა, რომ მალე მთელ მსოფლიოში ძალზე პოპულარული გახდა.

**დავით ჩუბინიძე**

# თქვენთვის, ერუდიტებო!

## ექღვნება პეკინის ოლიმპიადას

**1. ოლიმპიური ჩირაღდნის საზეიმოდ ანთების ცერემონალში მონაწილეობა აქვს მიღებული ორ ოლიმპიურ ჩემპიონს საქართველოდან. ვინ იყვნენ ისინი?**

ა - ვიქტორ სანეევი და ლევან თედიაშვილი

ბ - კახი კახიაშვილი და ქეთევან ლოსაბერიძე

გ - ვიქტორ სანეევი და კახი კახიაშვილი

**2. მელბურნში, 1956 წლის ოლიმპიადაზე ოლიმპიური ცეცხლის დანთებისას დამწვრობა მიიღო მეჩირაღდნემ. ვინ იყო ეს სპორტსმენი?**

ა - ჰენრი ერიქსონი

ბ - რონ კლარკი

გ - პაავო ნურმი

**3. ერთი მოფარიკავე 40 წლის განმავლობაში გამოდიოდა ოლიმპიურ სარბიელზე. ვინ იყო იგი?**

ა - ივან ოზიე (დანია)

ბ - ეგონ ფრანკე (პოლონეთი)

გ - ნადი ნედო (იტალია)

**4. შვედი მსროლელი ოსკარ სვანი 64 წლისა გახდა ოლიმპიური ჩემპიონი. რომელ წელს?**

ა - 1908 წელს

ბ - 1912 წელს

გ - 1920 წელს

**5. დაასახელეთ გერმანელი სპორტსმენი, რომელმაც სპორტის სამ სახეობაში მოიპოვა ოლიმპიური მედლები.**

ა - ალბერტ ცვირნერი

ბ - ინგრიდ კრიმერი

გ - კარლ შუმანი

პასუხები: 1 - გ, 2 - ბ, 3 - ა, 4 - ბ, 5 - გ

იყო ასეთი შემთხვევა

# მსოფლიო ჩემპიონი, ჩუმად, ტყეში გამოვლინდა

159 წლის წინათ, 1849 წლის 10 ივნისს, უჩვეულო რამ მოხდა სპორტის, კერძოდ კი კრივის ისტორიაში. პოლიცია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სასეირო მუშტიკრივს სასტიკად დევნიდა. ამიტომ კრივში მსოფლიო ჩემპიონის გამოსავლენად ორთაბრძოლა **ჯეიმს სალივანსა** ("იანკი") და **ტომ ჰაიერს** შორის ორგანიზატორებმა მოაწყვეს... "მერილენდის ტყეებში". მსოფლიო ჩემპიონი გახდა ტომ ჰაიერი. 16 რაუნდის შემდეგ დასისხლიანებული და საოცრად დასახიჩრებული სალივანი მეგობრებმა რინგიდან გაიყვანეს.

# ცხენს გული გაუსკდა

2004 წელს, ათენში მიმდინარე პარაოლიმპიადის დღეებში მოხდა ის, რასაც ანალოგი არ მოეძევება მსოფლიო ცხენოსნობის ისტორიაში. ასპარეზობის დროს ფრანგ **ვალერი სალეს** ცხენი "არტესტი" მოულოდნელად დაეცა და... სული განუტევა.

ვეტერინარებმა დაასკვნეს, რომ მერანის სიკვდილის მიზეზი გულის უეცარი გაჩერება იყო.

კვიმატი ობიექტივი



კალათბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. მიმოხილვა

# ენერჯი და 2007-08 წლები



**ბუნებაში** ორი ერთნაირი კენჭიც არ დაგორავს და ცხადია, საქართველოს მე-16 ჩემპიონატიც წინამორბედთაგან განსხვავებული იყო. პირველ რიგში, თავლშისაცემი გახლდათ განსხვავება თამაშის ხარისხში: თუ გასულ წლებში ფავორიტებსა და აუტსაიდერებს შორის სხვაობა ისეთი იყო, როგორც ცასა და დედამიწას შორის, 2007-08 წლების სეზონში წინასწარ ვერცერთი მატჩის შედეგს ვერ გამოიცნობდი. ჩვენს საუკუნეში პირველად გვქონდა რამდენიმე შემთხვევა, როცა ცხრილის ქვემო სამეულში მყოფებმა ერთ ტურში ზედა სამეულის წევრებს აჯობეს.

ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ ყველა გუნდი ორიგინალური ხერხით ცდილობდა წარმატების მიღწევას. სწორედ ამიტომ, საჭიროდ ჩავთვალეთ თითოეული გუნდის თამაშის შეფასება და მათი ინდივიდუალური პლუს-მინუსების განხილვა. მკითხველი რომ არ გადავღალოთ, ამიტომ სამუშაო ნაწილებად გავყოთ. დღეს ჩემპიონზე გესაუბრებით, შემდეგ - დანარჩენზე.

## ენერჯი

უფროსობის მისამართით ენატკბილად საუბარი ნორმალური ადამიანისთვის მიუღებელი უნდა იყოს, მაგრამ არც გაწეული შრომის დაუნახაობა ეგების. ქვემო ქართლის მთავრობა საქართველოში ერთადერთია, ვინც კალათბურთზე ფიქრობს. გუბერნატორიდან დაწყებული, ქარხანა "ენერჯი ინვესტის" რიგითი მუშაკით დამთავრებული ყველა მხურვალედ ქომაგობდა "ენერჯის" როგორც ფინალებში, ასევე რეგულარულ ჩემპიონატში. არც ნიშნის მოგებით საუბარია გამართლებული, მაგრამ აქ მაინც უნდა გამოვიყენოთ: ქვემო ქართლის რეგიონის ხელმძღვანელობა უკვე 2:0-ს უგებს აჭარისა და იმერეთის მმართველებს, რომლებსაც კაპიკები ვერ უშოვნიათ საკალათბურთო გუნდის გასაკეთებლად, თითქოს ყველა წარმოება დალუქული იყოს და მხოლოდ რუსთავის "აზოტის" ქარხანა მუშაობდეს. ამას იმიტომ ვწერთ, რომ ქართული კალათბურთის გამოცოცხლება გვინდა, ბათუმისა და ქუთაისის გარეშე ეს წარმოუდგენელია.

რუსთაველთა აქტივში ჩაწერილი მთავარი ქულა გუნდის ევროთასზე გასვლა იყო. 2002 წლის შემდეგ ქართულმა კლუბმა პირველად გაალწია ევროპაში. ეს პირველი ნაბიჯი იყო და ამიტომ სხვადასხვა პრობლემების წარმოშობა ლოგიკური გახლდათ. მაგალითისთვის ისიც საკმარისია, რომ 2007 წელს გაჩემპიონებული გუნდიდან ერთბაშად 4 საკვანძო კალათბურთელი წავიდა (**ტულუში, უგრეხელიძე. ბეჟანიშვილი, მრაკოიშვილი**) და მათი ჩანაცვლება რუსთაველებმა ლეგიონერებით სცადეს - ევროთასის წინ **ბელტონ რივერსი, იოვან სტეფანოვი** და **ანვარ ფერგიუსონი** ჩამოიყვანეს. რივერსმა "ამსტერდამს" კინაღამ მარტომ მოუგო, სტეფანოვი კარგი კალათბურთელი აღმოჩნდა, ხოლო ფერგიუსონი არ გამოგვადგა. წინა წლის შეთამაშებული გუნდი რომ არ დაშლილიყო და საევროთასოდ რივერსი და სტეფანოვი დამატებოდნენ, "ამსტერდამის" გამოგდებაც რეალური იქნებოდა. იმედია, ეს გამოცდილება მომავალი სეზონისთვის იქნება გათვალისწინებული. ევროთასიდან გამოვარდნის შემდეგ "ენერჯი" დატოვეს ბელტონ რივერსმა და ანვარ ფერგიუსონმა და მწვრთნელს **დავით უსტიაშვილს** ნოემბრიდან ახალი გუნდის შენება მოუწია. მას არ ჰყავდა ნომინალური ცენტრი, რის გამოც ტაქტიკის არჩევისას არა საკუთარ სურვილებს, არამედ შესაძლებლობებს ეყრდნობოდა.

**უგრეხელიძის** დარი მეფარის არყოფნის პირობებში მწვრთნელი მეტ ყურადღებას სწრაფ თამაშს უთმობდა. ტემპის მომატება ჩვენს ჩემპიონატში თსუ-სთან ერთად ყველაზე უკეთ სწორედ "ენერჯის" გამოსდიოდა.

გუნდში ხომ საქართველოს ნაკრების სწრაფი გამთამაშებელი **ლაშა გამყრელიძე** ირიცხებოდა. იერიშების ტემპს არც ტანმაღალი მოთამაშეები აგდებდნენ: **ტუჯანი, სტეფანოვი და ბაბიაშვილი** სისწრაფით არც ერთ მეფარეს არ ჩამოუვარდებიან.

"ენერჯის" ასეთმა სტრატეგიამ საწყის ორ წრეში შედეგი გამოიღო - გუნდმა ახალ წლამდე წაუგებლად მიაღწია. ქორქია-საკანდელიძის თასის გათამაშების წინ ფეხის ტრავმა მიიღო **ლაშა გამყრელიძემ** და ყველამ აშკარად დავინახეთ, რა ძალაა იგი გუნდისთვის. მის არყოფნაში "ენერჯიმ" ქორქია-საკანდელიძის თასიც დათმო და საქართველოს თასიც. თებერვლის დასწაყისში კი რეგულარულ ჩემპიონატში ჯერ თსუ-სთან დამარცხდა, შემდეგ - "მაკაბისთან". სხვათა შორის, ფინალურ სერიაში რუსთაველთა ერთადერთი წაგება "ავიას" კარგ თამაშთან ერთად სწორედ გამყრელიძის დამტვრევამ გამოიწვია: როცა ლაშამ ზურგისა და ცხვირის ტრავმა მიიღო, "ენერჯი" 6 ქულის სხვაობით იგებდა. მისი მოედნიდან გასვლის შემდეგ "ავიატორებმა" ტულუშის ზუსტი ტყორცნების წყალობით გადასწრება მოახერხეს. მეორე ფინალში გამაყუჩებლით მოთამაშე გამყრელიძემ ლიდერული თვისებები გამოამჟღავნა და ბოლო წამებზე ჩაგდებული ორი სამქულიანით გუნდს გაამარჯვებინა.

მეორე წრეში "ენერჯის" თსუ-დან **მიხეილ ჩიტაშვილი** დაემატა და მისი თამაში კიდევ უფრო სწრაფი გახდა.

კუჭთან დაკავშირებული პრობლემების გამო, **იოვან სტეფანოვმა** საწყისი ორი ფინალი ჩვეულად ვერ ითამაშა, დანარჩენ შემთხვევებში კი ხმამაღლა განაცხადა: წინა ხაზში ლიდერი მე გახლავართო!

ვფიქრობთ, თავისი თამაში უჩვენეს **ზვიად ბაბიაშვილმა, რამაზ გოგობერიშვილმა, მიხეილ ჭოჭუამ** და **ჟოლივეტ ტუჯანმა.**

ზვიადი, როგორც ყოველთვის გუნდს ქულებით ეხმარებოდა. რამაზი გამოცდილი, ასაკოვანი (საკალათბურთო თვალსაზრისით) კაპიტანია და ამით ყველაფერია ნათქვამი. ახალგაზრდა მიშამ გვიჩვენა, რომ მისი ნდობა გადამწყვეტ მომენტშიც შეიძლება. ჟულივეტ ტუჯანი კი პერიმეტრიდანაც იცავდა კალათის უსაფრთხოებას და ფარქვეშიდანაც.

გასულ სეზონში გამოჩნდა ორი ახალგაზრდა მოთამაშე - **დვალიშვილი** და **მაჭავარიანი,** დაიკარგა ასევე ორი **ცეკვავა** და დიდია.

გამთამაშებელ ცეკვავას უმძიმესი კონკურენციის პირობებში უხდებოდა თამაში, მას ან გამყრელიძის ნაცვლად უნდა ესპარეზა, ან ჩიტაშვილის ნაცვლად. დიდიას ერთით მეტი კონკურენტი ჰყავდა - ტუჯანი, სტეფანოვი, ბაბიაშვილი. ამიტომ ძნელია მწვრთნელის გამტყუნება იმაში, რომ დიდიას შეზღუდული სათამაშო დრო ჰქონდა. ახლაც თვალწინ მიდგას "დინამოს" მაისურით მოასპარეზე დიდია, რომელიც გამთამაშებელივით სწრაფი იყო და მეტოქეებს ფლანგებიდან უტევდა. მას სამი წლის წინანდელი სისწრაფე რომ ჰქონოდა, "ენერჯის" ერთი-ორად უკეთ გამოადგებოდა.

ვფიქრობთ, რეზოს მომავალ სეზონში აუცილებლად დასჭირდება პოზიციის შეცვლა, მძიმედან მსუბუქ ფორვარდობაზე გადართვა, სისწრაფის მომატება... უბრალოდ დასანანია, ასეთი კალათბურთელის დაუსაქმებლობა.

ბოლოს "ენერჯისთან" დაკავშირებული სეზონის ერთ-ერთ უმთავრეს მოვლენაზე გავამახვილებთ ყურადღებას: დავით უსტიაშვილთან უთანხმოების გამო გუნდი დატოვა **ანატოლი ბოისამ.** ცხადია, რუსთაველის, ნაკრების წევრის რუსთავური კლუბიდან მოკვეთა დიდი პასუხისმგებლობაა. თანაც, "ენერჯი" ჩემპიონი რომ ვერ გამხდარიყო, ბევრი მწვრთნელს ბოისასთან განშორების ამბავს გაახსენებდა. მაგრამ დავით უსტიაშვილმა ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად ანატოლი ბოისა გუნდიდან გაუშვა. მწვრთნელის ასეთი თამამი გადაწყვეტილება მისი დიდი პლუსია, დამრიგებლისთვის პრინციპულობა ხომ მთავარი ღირსებაა. თუმცა ორივე მხარისთვის გვითქვამს: ბოისასთვისაც კარგი იქნებოდა ფინალებში თამაში, "ენერჯისთვისაც" და ქართულ კალათბურთისთვისაც.

იცით კიდევ რითი იყო რუსთავური გუნდი სამაგალითო? გულშემატკივართა სიუხვით. კალათბურთი ქომაგის გარეშე ხომ იგივეა, რაც კუ ჯავშნის გარეშე.

ვაჟა **სიმონიშვილი**

# სამი ქართველი ტრევიზოს კემპზე

**დღეს, იტალიის ქალაქ ტრევიზოში NBA-ს წინასადრაფტო კემპი გაიმართება. მასში საქართველოს ნაკრების სამი წევრი მიიღებს მონაწილეობას – მანუჩარ მარკოიშვილი, გიორგი ცინცაძე და გიორგი შერმადინი.**

კემპის მონაწილეები იტალიაში გუშინ ჩავიდნენ. **გიორგი ცინცაძე** აპენინებზე თბილისიდან ჩაფრინდა, **მანუჩარ მარკოიშვილი** – კიევიდან, ხოლო **გიორგი შერმადინი** - ამერიკიდან. თუკი გაგიჩნდათ კითხვა – რატომ მაინცდამაინც მანუ, ბუ და შერმადინი? პასუხი მარტივია: ისინი NBA-ს დრაფტის კანდიდატები არიან და სწორედ სადრაფტო არჩევნების წინ ამერიკელთათვის საკუთარი შესაძლებლობების ჩვენების საშუალება მიეცემათ.

7-11 ივნისს საკალათბურთო მსოფლიოს ყურადღება ტრევიზოსკენ იქნება მიპყრობილი, რადგან კემპზე უამრავი სკაუტი, NBA-ს ვარსკვლავი და მწვრთნელი ჩადის. მათ შორის საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი **კენ ატკინსონი** (იგი ახლა "ჰიუსტონში" მუშაობს) და **ჯეი ტრაიანო**, რომელიც შარშანწინ საქართველოს ეროვნული გუნდის გაწვრთნეს დათანხმდა, მაგრამ გორდონ ჰერბერტის მობრუნების შემდეგ აღარ უმუშავია.

ვარჯიშების გარდა, ტრევიზოში შეკრებილი დრაფტის კანდიდატები გუნდებად დაიყოფიან და ჩემპიონატში ჩაერთვებიან. კემპის ბოლოს შეიკრიბება ბანაკის ვარსკვლავთა გუნდი, რომელიც ჯერ საფრანგეთის 20-წლამდელთა ნაკრებს დაუპირისპირდება, შემდეგ – უკრაინის ახალგაზრდულს.

სხვათა შორის, ტრევიზოს კემპის დიდების დარბაზში **ვიქტორ სანიკიძეცაა** შესული. მან ამ ბანაკში 2005 წელს ივარჯიშა და რამდენიმე დღეში NBA-ს დრაფტზე "სან ანტონიო სპურსმა" აიყვანა.

ვაჟა **სიმონიშვილი**

ჩოგბურთი

# ხვალ დასრულდება



დიანა დავითაია — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**საქართველოს** ჩემპიონატი კომპანია "რაკინის" თასზე, 14 და 16 წლამდე გოგონათა და ვაჟთა შორის დასასრულს უახლოვდება. გუშინ, ოთხეულებმა ერთმანეთში წრიული სისტემით დაიწყეს გამარჯვებულის გამოვლენა; ყველა მათგანს სამ-სამი შეხვედრის ჩატარება მოუწევს და ვინც მეტ ქულას დააგროვებს, გამარჯვებულიც ის გახდება.

14-წლამდელებში, ვაჟებში **სანდრო დავლიანიძემ გიორგი ხოხბას** ორ სეტში - 6:2, 6:0 აჯობა; **ლუკა ფილფანმა** კი **ომარ მიქელთაძე** დაამარცხა - 6:2, 6:3.

16-წლამდელ ვაჟთა შორის **გიორგი ცივაძემ ზურა ცხაკაიას** აჯობა - 6:2, 6:0; **დავით ხუციშვილმა** კი **ბიძინა ამაშუკელი** დაამწუხრა - 6:4, 6:1. აქ ორი წრე უკვე გავლილია და ორი მოგებით დავით ხუციშვილი ლიდერობს; გიორგი ცივაძესა და ბიძინა ამაშუკელს თითო გამარჯვება აქვს; ზურა ცხაკაია ორჯერვე დამარცხდა.

14 წლამდე გოგონათა შორის ერთი წრეა გასული და პირველ შეხვედრაში ფავორიტებმა იმარჯვეს: **ნინო სუჯაშვილმა თამარ ცხაკაია** ორ სეტში 6:1, 6:3 დაამარცხა; **თამარ კომახიძემ** კი **ირინა თოიძეს** აჯობა - 6:4, 6:2.

16-წლამდელ გოგონებშიც ორი წრეა გასული და გუშინ, **ნინო მებუკემ ნინო სუჯაშვილს** მოუგო - 6:1, 6:3; **დიანა დავითაიამ** კი **ქრისტინე აივაზიანს** გადაუწურა ჩემპიონობის იმედი - 6:3, 6:4.

ჩემპიონატი ხვალ დასრულდება.

ზვიად **შათირიშვილი**

პლაჟბურთი. მსოფლიო ტური

# ბერლინში შეხვედრამდე

**სტარე იაბლონიკში** გეორ-გიამ ასპარეზობა დაასრულა. ჩვენმა ფენბურთელებმა შეჯიბრის მეორე დღე გამარჯვებით დაიწყეს. არგენტინულ დუეტთან **სალემასთან** და **ბარაკეტისთან** გეორ-გიას წინააღმდეგობა თითქმის არ შეხვედრია და საკმაოდ იოლად მოიგო - 21:15, 21:13.

სამაგიეროდ, საკმაოდ სერიოზულად მოუწიათ გარჯა ჩვენ ფრენბურთელებს ტურნირზე მე-8 ნომრად განთესილ ჰოლანდიურ დუეტთან **რონესთან** და **დე გრუიხტერთან.** პირველი სეტი გეორგიამ 21:16 მოიგო. მაგრამ, მერე უპირატესობა მთლიანად ნიდერლანდელებისა იყო და საბოლოო გამარჯვებაც მათ დარჩათ 21:14, 15:11.

მორიგი ეტაპი 9-14 ივნისს ბერლინში, "დიდი სლემის" ეგიდით გაიმართება, სადაც წყვილები შეჯიბრში ჯგუფური ეტაპიდან ჩაერთვებიან.

ბესიკ **ჯანგავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი

ფორმულა 1

# რაიკონენს ჯერ არ გადაუწყვეტია

"ფერარის" ფინელი პილოტი, მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **კიმი რაიკონენი** ჯერ მხოლოდ 28 წლისაა, მაგრამ პრესაში უკვე გაჩნდა ვარაუდები იმის შესახებ, რომ იტალიურ გუნდთან მიმდინარე კონტრაქტის დასრულების შემდეგ, მან შეიძლება თავისი სპორტული კარიერაც დაასრულოს.

ამის შესახებ, მას რეპორტიორებმა კითხვა გუშინ, კანადის დიდი პრიზისწინა პრესკონფერენციაზეც დაუსვეს, რაზეც შემდეგი პასუხი გასცა: *"დიდი ხანია, ამ თემაზე ჭორები მეც მესმის. ყოველთვის ვამბობ, რომ ჯერ გადაწყვეტილება არ მიმიღია. კონტრაქტი მერმის, სეზონის ბოლოს მიმთავრდება და ეს თარიღი რომ მოახლოვდება, ამაზე მერე ვიფიქრებ. ჩემს გადაწყვეტილებაზე გავლენას ეს და მომდევნო სეზონები იქონიებს".*

ასეთი ორაზროვანი პასუხით რაიკონენმა ჭორებს წერტილი ნამდვილად ვერ (არ) დაუსვა. უფრო მეტიც, პილოტმა, ვინც იტალიურ გუნდში მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი, გერმანელი **მიხაელ შუმახერი** შეცვალა, თავისი პასუხით, მისი მომავლის შესახებ ჭორებს ახალი გასაქანიც კი მისცა. ამ ჭორების გამო, კვლავ განახლდა ლაპარაკი იმაზე, რომ შესაძლოა, მალე "ფერარიში" მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, ესპანელი **ფერნანდო ალონსო** ვიხილოთ.

ეს ვარაუდი პირველად სეზონის დასაწყისში გამოითქვა. მაშინ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ ალონსო "ფერარიში" მასას ადგილს დაიკავებდა. მაგრამ იტალიური კომპანიის პრეზიდენტმა **ლუკა დი მონტეძემოლომ** ეს ვარაუდი უმალ უარყო და რაიკონენისა და ალონსოს პარტნიორობა გამორიცხა. მისი თქმით, ასეთი პარტნიორობა, პირველ რიგში, "ფერარის" ინტერესებს დააზარალებს.

შეგახსენებთ, რომ მიმდინარე ჩემპიონატის ექვსი ეტაპის შემდეგ, რაიკონენს ორი რბოლა აქვს მოგებული და ლიდერს, ბრიტანელ **ლუის ჰემილტონს** სამი ქულით ჩამორჩება. თავად კი მხოლოდ ერთი ქულით უსწრებს ბრაზილიელ თანაგუნდელ **ფელიპე მასას**.

როცა "მაკლარენიდან" "ფერარიში" გადავიდა, რაიკონენმა განაცხადა, რომ ერთადერთი საქმე, რომელსაც სიამოვნებით აკეთებს, რბოლებია. მაგრამ თუ კონტრაქტის გამო, სხვა ვალდებულებებთან შეგუება მოუწევს, მაშინ წასვლა ურჩევნია. ფინელის ამ განცხადების გამო, "ფერარი" მას სარეკლამო ვალდებულებებით ნაკლებად ტვირთავს. უფრო მეტიც, შარშან რომ ჩემპიონი გახდა, რაიკონენმა განაცხადა, რომ იტალიური გუნდი მას მეორე ოჯახად მიაჩნია.

*"ფორმულა ერთში ვინც ასპარეზობს, ამას იმის გამო აკეთებს, რომ სისწრაფე, რბოლა მოსწონს. მაგრამ რბოლების გარდა, ჩვენს სპორტში ბევრი ვალდებულებაცაა, რომლებიც სიამოვნებას ნამდვილად არ გვანიჭებს. და მაშინ, როცა გრძნობ, რომ შენთვის სასიამოვნოზე მეტად იმ საქმეების კეთება გიწევს, რაც არ მოგწონს, მაშინ შეიძლება წასვლაზეც იფიქრო"*, - ამბობს რაიკონენი და დასძენს, რომ "ფერარიდან" სხვა გუნდში ალბათ არასოდეს გადავა. ასე რომ, თუ დარჩება, ისევ მარანელოელებთან იქნება.

კითხვაზე, აპირებს თუ არა ზედიზედ მეორე ტიტულის მოპოვებას (ცოტა არ იყოს, უცნურია), მან შემდეგი პასუხი გასცა: *"რა თქმა უნდა, ვეცდები, რომ წლეულსაც ჩემპიონი გავხდე. მაგრამ თუ მიზანს ვერ მივაღწევ, არც ეს იქნება ცხოვრების დასასრული".*

**მერაბ ლორთქიფანიძე**




კიმი რაიკონენი

ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა

# ისევ ნადალი და ფედერერი




მაშ ასე, საფრანგთის ღიაზე ფინალებილაა ჩასატარებელი. გუშინ მამაკაცთა ორივე ფინალისტი გამოვლინდა. ისევე როგორც შარშან და შარშანწინ, პირველობისთვის ამჯერადაც მსოფლიოს პირველი და მეორე ჩოგნები, შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** და ესპანელი **რაფაელ ნადალი** იბრძოლებენ.

ფედერერმა გუშინ ფრანგ უკვე შემდგარ ვარსკვლავს, **გაელ მონფილსს** მოუგო, საფრანგეთის ღიას სამგზის ჩემპიონმა ნადალმა კი სამ სეტში, საკმაოდ იოლად დაამარცხა სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი**.

ფედერერს გამარჯვებისთვის ოთხი სეტი დასჭირდა. შვეიცარიელი მაესტრო მისთვის ჩვეული თავდაჯერებით თამაშობდა, თუმცა არცთუ იშვიათად, უნებლიე შეცდომებითაც ანებივრებდა მეტოქეს, რომელიც თავისი შესანიშნავი თამაშისა და მონდომების წყალობით, ისედაც ახერხებდა ქულების დაგროვებას. თუმცა პირველ სეტში გამოცდილ მეტოქეს ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია.

*"პირველი სეტი მან აშკარად ჩააგდო, თუმცა შემდეგ კარგად ათამაშდა და ბევრი პრობლემა შემიქმნა. მოკლედ, შეხვედრა რომ დამთავრდა, შვებით ამოვისუნთქე"*, - ნამატჩევს განაცხადა ფედერერმა, ვინც კითხვაზე, როგორ აპირებს ნადალის დამარცხებას, დიპლომატიური პასუხი გასცა: *"მონტე კარლოსა და ჰამბურგში ჩვენ ორი შესანიშნავი ფინალი ვითამაშეთ და ვფიქრობ, არც ეს ფინალი იქნება უარესი".*

შვეიცარიელმა შეხვედრა მშრალად მოგებული ბრეიკით დაიწყო. პირველ სეტში მონფილსი პასიურად ირჯებოდა, თითქოს არ სჯეროდა, რომ მსოფლიოს პირველ ჩოგანთან გამარჯვება შეიძლებოდა. მაგრამ მეორე სეტში, როცა ფედერერმა კიდევ ერთხელ მოუგო მოწოდება, ერთბაშად გაიხსნა. მის ათამაშებას კი ფედერერმა შეცდომების გახშირებით უპასუხა. ჰოდა, მონფილსსაც არ გასჭირვებია სეტებში ანგარიშის გათანაბრება. გადამწყვეტი ბრეიკი მან მე-12 გეიმში მოიპოვა, რომელშიც (თავის მოწოდებაზე) თავიდან შვეიცარიელი 40:15 დაწინაურდა და თითქოს, თავისი გეიმი იოლად უნდა მოეგო. მაგრამ ფრანგმა ბოლომდე იბრძოლა და სასურველ მიზანსაც მიაღწია.

მაგრამ მესამე სეტში ფედერერი უფრო აგრესიული გახდა. ის ხშირად გადიოდა ბადესთან და მართალია, რამდენჯერმე მეტოქემ თითქმის აუღებელი დარტყმა აულო, მაგრამ უფრო ხშირად, მიზანს აღწევდა, რამაც ორი ბრეიკის მოპოვების საშუალება მისცა. მართალია, მონფილსმა ერთის გაქვითვა შეძლო, მაგრამ ამაზე მეტი აღარ გამოუვიდა.

მეოთხეში ბრძოლა გამწვავდა. მონფილსს სამ გეიმში ჰქონდა ბრეიკის შანსები, მაგრამ ვერცერთის გამოყენება ვერ შეძლო. თავადაც, ფედერერს ორი მატჩ პოინტი გაუქვითა, რითაც ფრანგი მაყურებლის აღტაცება გამოიწვია, თუმცა შვეიცარიელმა თავისი მესამე შანსი დიდებულად გამოიყენა.

რაც შეეხება ნადალს, მან ამჯერადაც სეტის წაუგებლად მიაღწია ფინალს, რის შემდეგაც გაოცებულმა თქვა, ჯოკოვიჩთან ასეთ იოლ გამარჯვებას არ ველოდიო. თუმცა იქვე დასძინა, ძალიან კარგად ვითამაშე და ალბათ ამიტომო. *"ბურთს ზუსტად იქ ვაგზავნიდი, სადაც მსურდა. კარგად გამომდიოდა ფორჰენდიც და ბექჰენდიც. მგონი, შეცდომებსაც არ ვუშვებდი. ნოვაკი შესანიშნავი ჩოგბურთელია, მაგრამ ამჯერად თამაში ვერაფრითააწყო, რითაც გაოცებული დავრჩი"*, - განაცხადა ნადალმა, ვისაც როლან გაროსზე ნათამაშები 27-ვე შეხვედრა მოგებული აქვს.

გუშინ საფრანგეთის ღიაზე პირველი ჩემპიონები გამოვლინდნენ. შერეულ წყვილთა ტურნირის ჩემპიონის წოდება ბელარუსმა **ვიქტორია აზარენკამ** და ამერიკელმა **ბობ ბრაიანმა** მოიპოვეს. ფინალში მათ სლოვენიელი **კატარინა სრებოტნიკისა** და ხორვატი **ნენად ზიმონჟიჩის** დუეტი დაამარცხეს.

ეს გამარჯვება გარკვეული ნუგეშია ამერიკელი ჩოგბურთელისთვის, ვინც თავის ტყუპისცალ **მაიკ ბრაიანთან** ერთად, მამაკაცთა წყვილთა ტურნირს მეოთხედფინალში გამოეთიშა. რაც შეეხება აზარენკას, ქალთა ერთეულებში, მეოთხე წრეში ის რუს **სვეტლანა კუზნეცოვასთან** დამარცხდა.

ზიმონჟიჩს და სრებოტნიკს საფრანგეთის ღიას შერეული წყვილების ტურნირი ორი წლის წინათ აქვთ მოგებული და ამჯერად მათ აქ პირველ ნომრად განთესილებმა ითამაშეს. სერბ მეჩოგნეს ერთი ტიტულის მოპოვების შანსი კიდევ აქვს – დღეს ის ბაჰამელ **დანიელ ნესტორთან** ერთად, მამაკაცების წყვილთა ფინალში, არგენტინელი **პაბლო კუევასისა** და პერუელი **ლუის ორნას** დუეტს შეხვდება.

ქალთა წყვილებში კი, ჩემპიონის წოდება ესპანელების - **ანაბელ მედინა გარიგესისა** და **ვირხინია რუანო პასკუალის** დუეტმა მოიპოვა, რომელმაც ჩემპიონების, ავსტრალიელი **კეისი დელაკვასა** და იტალიელი **ფრანჩესკა სკიავონეს** დუეტს მოუგო. რუანო პასკუალისთვის ეს როლან გაროსზე მეხუთე ტრიუმფია, მისმა მეწყვილემ კი პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვა.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

**მამაკაცები**

1/2 ფინალი

**როჯერ ფედერერი (შვეი, 1)**-გაელ მონფილსი (საფრ) 6:2, 5:7, 6:3, 7:5

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 3) 6:4, 6:2, 7:6(3)

**ქალები. წყვილები**

ფინალი

**ანაბელ მედინა გარიგესი/ვირხინია რუანო პასკუალი (ესპ, 10)**-კეისი დელაკვა/ფრანჩესკა სკიავონე (ავსტრალ/იტა) 2:6 7:5 6:4

**შერეული წყვილები**

ფინალი

**ვიქტორია აზარენკა/ბობ ბრაიანი (ბელა/აშშ, 3)**-კატარინა სრებოტნიკი/ნენად ზიმონჟიჩი (სლო/სერბ, 1) 6:2, 7:6(4)

მძლეოსნობა. დოპინგი

# გეტლინმა საქმე წააგო



სპორტის საქმეთა საარბიტრაჟო სასამართლომ ხელუხლებელი დატოვა ამერიკელი სპრინტერის, **ჯასტინ გეტლინის** ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია, რის გამოც, ას მეტრზე სპრინტში მოქმედი ოლიმპიური ჩემპიონი პეკინში თავისი ტიტულის დასაცავად პაექრობას ვერ შეძლებს.

გეტლინს ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია იმის გამო მიესაჯა, რომ 2006 წელს აშშ-ის ჩემპიონატზე ასპარეზობისას ჩატარებულმა ტესტმა, სინჯში მას ჰორმონ ტესტოსტერონის ჭარბი შემცველობა აღმოუჩინა. ჩვეულებრივ, ამ დარღვევისთვის სპორტსმენები ორწლიანი დისკვალიფიკაციით ისჯებიან, მაგრამ გეტლინს 2001 წლის დარღვევაც გაუხსენეს, დოპინგზე ჩავარდნის რეციდივი კი ორმაგ სასჯელს ითვალისწინებს.

არადა, გეტლინმა პირველ საქმეზე დისკვალიფიკაციის გაუქმებას მიაღწია, რაშიც ის გარემოება დაეხმარა, რომ აკრძალულ ნივთიერებას ის პრეპარატი შეიცავდა, რომელსაც ის მეხსიერების დეფიციტის სამკურნალოდ იყენებდა.

გეტლინის ადვოკატი **მორის სუ** სწორედ ამ გარემოებაზე აგებდა თავისი კლიენტის არგუმენტაციას და იმედოვნებდა, რომ არბიტრაჟი სპრინტერს ტესტოსტერონის საქმეს დოპინგსაწინააღმდეგო წესების რეციდივად არ ჩაუთვლიდა. თუ არბიტრაჟი 2001 წლის ინციდენტს დარღვევად არ ჩათვლიდა, მაშინ გეტლინს სასჯელი ავტომატურად გაუნახევრდებოდა.

მართალია, ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია ძალაში დარჩა, მაგრამ არბიტრაჟმა არ დააკმაყოფილა მძლეოსნობის ფედერაციების საერთაშორისო ასოციაციის (IAAF) რეკომენდაცია, რომელიც გეტლინის სამუდამო დისკვალიფიკაციით დასჯას ითვალისწინებდა.

*"სამუდამო დისკვალიფიკაციას რომ გადავურჩი, ეს კარგია, თუმცა ჩემი უფლებების დასაცავად ბრძოლის შეწყვეტას არ ვაპირებ. ყველაფერს ვილონებ იმისათვის, რომ ოთხწლიან დისკვალიფიკაციის შემცირებას მივაღწიო"*, - ამბობს სპრინტერი, ვინც ერთ დროს მსოფლიოს თანარეკორდსმენიც კი იყო.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. პირველი მატჩი

# პირველი სისხლი დაიღვარა



**ბოსტონი-ლეიკერსი 98:88**

23:21, 23:30, 31:22, 21:15

ბ: გარნეტი (24+13 მოხსნა), პირსი (22), რ. ალენი (19+8 მოხსნა+5 პასი), რონდო (15+5 მოხსნა+7 პასი), კასელი (8), პოუი (4), პოუსი (3+2 ჩაჭრა), ბრაუნი (2+6 მოხსნა), პერკინსი (1).

ლ: ბრაიანტი (24+6 პასი), ფიშერი (15+6 პასი+3 ჩაჭრა), გასოლი (15+8 მოხსნა), ოდომი (14+6 მოხსნა), ვუიაჩიჩი (8), რადმანოვიჩი (5+2 ჩაჭრა), ტურიაფი (5), ფარმარი (2), უოლტონი.

**სერია 1:0**

კაპიტანი კაპიტანია. ყოველ შემთხვევაში, "ბოსტონ სელტიქსის" მდიდარ ისტორიაში ყოველთვის ასე იყო - გადამწყვეტ და კრიტიკულ სიტუაციაში მშველელად ყოველთვის გუნდის ლიდერი, კაპიტანი გვევლინებოდა, რომელიც ზედიზედ რამდენიმე ქულით, დროული პასით, მნიშვნელოვანი მოხსნით ან არაჩვეულებრივი ჩაჭრით ერთ მატჩსა თუ სერიას შეატრიალებდა თავისი გუნდისთვის სასარგებლოდ. ასე მოაგებინა "სელტიქსს" "დეტროიტთან" **ლარი ბერდმა**, იგივე გააკეთა "ლეიკერსთან" ჯერ **დენი ეინჯმა**, მერე კი **დენის ჯონსონმა**. ხოლო **ბობ კოუზისა** და **ბილ რასელის** გმირობებს ვინ მოთვლის.

იგივე სცენარით, ანუ კაპიტნის სუპერმენობით წარიმართა და დასრულდა ამ ფინალის პირველი შეხვედრაც, რომელშიც წინა პლანზე **პოლ პირსმა** წამოიწია. დაკოჭლებულმა მსროლელმაც თავისი გუნდი გადამწყვეტ მომენტში იხსნა და სერიაში დააწინაურა.

პირსი, რომელსაც მთელი ბავშვობა ლოს ანჯელესში აქვს გატარებული, მატჩის მსვლელობისას მარჯვენა მუხლის ტრავმით გასახდელში გადაიყვანეს, სადაც სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. იქ თურმე, გუნდის ექიმს უთქვამს - იქნებ აღარ ითამაშოო, თუმცა...

*"ტრავმის შემდეგ ჩემი თამაში სარისკო იყო, დოკ რივერსმაც მირჩია, იქნებ მოედანზე არ გახვიდე და მეორე თამაშისთვის სრულ მზადყოფნაში იყოო, მაგრამ "ლეიკერსი" ჯანზე მოვიდა, ჩვენებს სროლა აღარ მისდიოდათ და უფლება არ მქონდა, ამ დროს სათადარიგოთა სკამიდან მედევნებინა თვალი შეხვედრისთვის"*, - იტყვის ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე პირსი, რომელმაც საბოლოოდ **კევინ გარნეტის** მერე, თავის გუნდში ყველაზე მეტი ქულა მოიმკო.

როდესაც ბოლო მეოთხედში პოლ პირსი მოედანზე დაბრუნდა, "სელტიქსის" გადარეულმა ფანებმა ლეგენდარული **უილის რიდის** სახელ-გვარის სკანდირება დაიწყეს. რატომ რიდის? 1970 წლის სუპერფინალში, მეშვიდე შეხვედრაში "ლეიკერსის" წინააღმდეგ, "ნიქსის" ლიდერმა რიდმა პირსივით ტრავმა მიიღო, მოედნიდან გასაყვანი გახდა და ამის მერე, თამაშში რომ ჩაერთო, მიწასთან გაასწორა კალიფორნიელი ვარსკვლავები.

გარნეტი თავიდანვე ბობოქრობდა, **რეი ალენმა** მიმდინარე პლეი ოფში თავისი ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა, თუმცა მესამე მეოთხედის შუანელიდან მოყოლებული, საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ "სელტიქსის" სამი ლიდერიდან, მატჩს ბოლომდე მხოლოდ ორი მიიყვანდა. პირსს თანაგუნდელი, ახალგაზრდა ცენტრი **კენდრიკ პერკინსი** შეეჯახა და პოლიც უგონოდ დაენარცხა პარკეტზე, ფეხზე წამოდგომის შემდეგ კი, მისი მოედნიდან გაყვანა მხოლოდ საკაცით მოხერხდა.

პირსი ბოლო მეოთხედში კოჭლობით დაუბრუნდა მოედანს, პირველი შეტევა არაზუსტი სროლით დაასრულა, მერე კი აიწყვიტა და "ლეიკერსი" არ დაინდო. პოლმა რაც ისროლა, თითქმის ყველაფერი ჩააგდო და თავისი 22 ქულიდან ზუსტად ნახევარი ტრავმის მერე აზრზე მოსულმა მოიხვეჭა.

*"პირსი დაჭრილი ლომივით იყო, რომელმაც არაფერი დაიშურა გუნდისთვის, საკუთარი ჯანმრთელობა გვერდზე გადადო და საბოლოოდ, "ბოსტონს" მოაგებინა. ვიცოდით, რომ ხანგრძლივი სერია გველოდა, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, თუ თითქმის საჩვენოდ შემოტრიალებულ მატჩს დალეწილი კაცი გამოგვტაცებდა ხელიდან"*, - ასეთი იყო "ლეიკერსის" ფორვარდის, **ლამარ ოდომის** პოსტმატჩური კომენტარი.

არაფერი გვითქვამს **კობი ბრაიანტზე**, რომელმაც წინა სერიაში წირვა გამოუყვანა "სპურსს". სათქმელიც არაფერი გვაქვს, რადგან კობიმ მატჩი ჩააგდო და უამრავი სროლის გაფუჭებასთან ერთად, დაცვაშიც მრავალჯერ შეცდა.

"ბოსტონი" წინაა, მაგრამ ვინ დარჩება საბოლოოდ უკან? ბევრ კითხვაზე პასუხს მეორე შეხვედრა გაგვცემს.

**ზურაბ თალაკვაძე**

ოლიმპიზმი. პეკინი 2008

# პეკინი ერაყის გარეშე?

ორი დღის წინათ, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დროებით შეუჩერა უფლებამოსილება ერაყის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს. ამ გადაწყვეტილების მიღების საბაბი ორგანიზაციის საქმეებში ქვეყნის მთავრობის ჩარევა გახდა.

ერაყის ოლიმპიური კომიტეტი მთავრობის ბრძანებით 21 მაისს დაითხოვეს. მის ნაცვლად, სპორტის სამინისტროს ეგიდით ახალი ორგანიზაცია შეიქმნა. ქვეყნის ხელმძღვანელობამ ეს გადაწყვეტილება იმით ახსნა, რომ ოლიმპიურ კომიტეტში ქვორუმი არ არსებობდა და ამის გამო, უკვე ხუთი წელიწადია ვერ ხერხდებოდა არჩევნების ჩატარება. გარდა ამისა, 2006 წლის ივლისში გაიტაცეს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი **აჰმედ ალ-სამარაი**, რომლის შესახებაც დღემდე არაფერია ცნობილი.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 5 მაისით დათარიღებულ განცხადებაში წერია, რომ ის არ ცნობს არანაირ დროებით ორგანიზაციასა და პიროვნებებს, რომლებიც ერაყის მთავრობის მიერ არიან დანიშნულნი. სიტუაციის მოსაგვარებლად სოკი ერაყის ოლიმპიური კომიტეტის კანონიერად არჩეულ წევრებთან მოლაპარაკებას აპირებს. განცხადებაში გამოთქმულია იმედი, რომ ერაყელი სპორტსმენები პეკინის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას შეძლებენ.



ერაყელი გულშემატკივრები სპორტის გარეშე რჩებიან

უფრო ადრე, ერაყის ოლიმპიური კომიტეტის დათხოვნის გამო, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ დისკვალიფიკაცია მისცა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას, მაგრამ მოგვიანებით თავისივე ბრძანება გააუქმა.

**გია თვალაბეიშვილი**

## TV სპორტი

### 7 ივნისი. შაბათი

**რუსთავი 2**

19:30 ფეხბურთი. ევრო 2008. გახსნის ცერემონია (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. შვეიცარია-ჩეხეთი (LIVE).
22:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. პორტუგალია-თურქეთი (LIVE).
00:30 ფეხბურთი. ევრო 2008. მიმოხილვა.

**პირველი არხი**

11:30 შვიდკაცა რაგბი. ევროპის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი. საქართველო-ისრაელი (LIVE).
12:45 შვიდკაცა რაგბი. ევროპის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი. საქართველო-კვიპროსი (LIVE).
18:30 შვიდკაცა რაგბი. ევროპის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი. საქართველო-უელსი (LIVE).
18:50 შვიდკაცა რაგბი. ევროპის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი. საქართველო-ბულგარეთი (LIVE).

**RenTV**

20:55 ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი. VII ეტაპი. კვალიფიკაცია. კანადის გრანპრი. (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 საფეხბურთო კლუბი.
13:20 ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. შვედეთი-ჩრ. ირლანდია.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
15:25 ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. შოტლანდია-იტალია.
17:10 ევრო 2008. შესარჩევი ტურნირი. ნორვეგია-თურქეთი.
19:00 საფეხბურთო კლუბი.
19:45 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. შვეიცარია-ჩეხეთი (LIVE).
21:55 საფეხბურთო კლუბი.
22:30 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. პორტუგალია-თურქეთი (LIVE).
00:40 საფეხბურთო კლუბი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 სპორტდოსიე. ავსტრალიური ფეხბურთი.
08:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
09:00 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლიგა დე კიტო (ეკვადორი)-ამერიკა (მექსიკა).
10:45 სპორტკლუბი.
11:10 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
11:40 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-ვილიარეალი.
13:35 ფეხბურთი. Barca TV.
13:50 სპორტის სამყარო.
14:05 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
14:35 ჰოკეი. NHL. სტენლის თასი. ფინალი. VI მატჩი. პიტსბურგი-დეტროიტი.
16:25 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-მანჩესტერ სიტი.
18:20 ფეხბურთი. Barca TV.
18:30 ფეხბურთი. ევრო 2008.
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. შვეიცარია-ჩეხეთი (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
22:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. პორტუგალია-თურქეთი (LIVE).
00:45 ფეხბურთი. ევრო 2008.
01:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-ვილიარეალი.
03:30 სპორტდოსიე. ავსტრალიული ფეხბურთი.
04:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-მილანი.
05:40 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. საუკეთესო მატჩები. მონტეპასკი-ოლიმპიაკოსი.

**EUROSPORT**

10:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. XIV დღე. მიმოხილვა.
10:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
11:15 ფეხბურთი. ევრო 2008. პრევიუ.
11:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. XIV დღე. მიმოხილვა.
12:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მამაკაცები. 1/2 ფინალი.
13:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
13:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პრევიუ.
14:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კატალონიის გრან პრი. კვალიფიკაცია (LIVE).
17:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ქალები. ფინალი (LIVE).
19:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. XV დღე. მიმოხილვა.
19:45 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი. ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი.
22:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
22:15 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ქალები. ფინალი.
23:15 კიკ-ბოქსინგი.
01:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
01:30 პოკერი.
02:30 ბრძოლა წესების გარეშე.
03:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ექსტრემალური სპორტი.
12:30 რაგბი. წყნარი ოკეანის ერთა თასი. I ტური. ახალი ზელანდია-ტონგა (LIVE).
14:15 ახალი ამბები.
14:45 რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი იუნიორებში. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-იაპონია. ბრიტანეთი.
16:00 რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი იუნიორებში. ჯგუფური ეტაპი. უელსი-იტალია. ბრიტანეთი.
17:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი.
17:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ამხანაგური მატჩი. საფრანგეთი-კოლუმბია.
18:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პრევიუ.
19:30 ახალი ამბები.
20:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კატალონიის გრან პრი. კვალიფიკაცია.
21:30 რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი იუნიორებში. ჯგუფური ეტაპი. უელსი-იტალია. ბრიტანეთი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 მულტისპორტი.
00:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კატალონიის გრან პრი. კვალიფიკაცია.
01:00 ახალი ამბები.
01:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
01:45 ახალი ამბები.

### 8 ივნისი. კვირა

**რუსთავი 2**

19:30 ფეხბურთი. ევრო 2008. მიმოხილვა.
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. ავსტრია-ხორვატია (LIVE).
22:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. გერმანია-პოლონეთი (LIVE).
00:30 ფეხბურთი. ევრო 2008. მიმოხილვა.

**პირველი არხი**

13:00 შვიდკაცა რაგბი. ევროპის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი. I ნახევარფინალი (LIVE).
13:20 შვიდკაცა რაგბი. ევროპის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი. II ნახევარფინალი (LIVE).
18:20 შვიდკაცა რაგბი. ევროპის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი. მე-3 ადგილისთვის (LIVE).
18:40 შვიდკაცა რაგბი. ევროპის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი. ფინალი (LIVE).

**RenTV**

20:45 ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატი. VII ეტაპი. კანადის გრანპრი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

10:00 საფეხბურთო კლუბი.
10:45 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. შვეიცარია-ჩეხეთი.
12:55 საფეხბურთო კლუბი.
13:30 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. პორტუგალია-თურქეთი.
15:40 საფეხბურთო კლუბი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:50 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. შვეიცარია-ჩეხეთი.
19:00 საფეხბურთო კლუბი.
19:45 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. ავსტრია-ხორვატია (LIVE).
21:55 საფეხბურთო კლუბი.
22:30 ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. გერმანია-პოლონეთი (LIVE).
00:40 საფეხბურთო კლუბი.
01:15 არგენტინის ჩემპიონატი. რივერ პლეიტი-ოლიმპო.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:10 სპორტდოსიე.
07:35 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
08:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ფულჰემი-მანჩესტერ სიტი.
10:00 სპორტის სამყარო.
10:30 წყლის სამყარო. ტელეჟურნალი.
11:00 მხატვრული ტანვარჯიში. ევროპის ჩემპიონატი. გუნდური ფინალი. იტალია.
12:25 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუ-ატლეტიკო.
14:10 ცურვა. Mare Nostrum. მონტე კარლო.
15:45 მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. ტურინი. იტალია.
17:30 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
18:00 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
18:30 ფეხბურთი. ევრო 2008.
20:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. ავსტრია-ხორვატია (LIVE).
22:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
22:45 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი. გერმანია-პოლონეთი (LIVE).
00:45 ფეხბურთი. ევრო 2008.
01:50 სპორტდოსიე.
02:15 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. სან პაულუ-ატლეტიკო.
04:05 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. შვეიცარია-ჩეხეთი.
05:50 სპორტდოსიე.
06:15 ფეხბურთი. Barca TV.
06:25 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი.
11:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. XV დღე. მიმოხილვა.
11:15 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
11:45 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კატალონიის გრან პრი (LIVE).
17:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მამაკაცები. ფინალი (LIVE).
20:30 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
20:45 ველოსპორტი. პრო ტური. დოფინე ლიბერე. პროლოგი. ჰოლანდია.
21:45 მოტორსპორტი. ყოველკვირეული ტელეჟურნალი.
22:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
22:15 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მამაკაცები. ფინალი.
23:00 პროფესიული კრივი.
01:00 ფეხბურთი. ევრო 2008. ტელეჟურნალი.
01:30 ფეხბურთი. ევრო 2008. ჯგუფური ეტაპი. A ჯგუფი. პორტუგალია-თურქეთი.
03:15 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
11:00 რაგბი. წყნარი ოკეანის ერთა თასი. იაპონია-ავსტრალია (LIVE).
12:45 ახალი ამბები.
13:00 რაგბი. მსოფლიო ჩემპიონატი იუნიორებში. ჯგუფური ეტაპი. უელსი-იტალია. ბრიტანეთი.
14:00 ახალი ამბები.
14:30 ფეხბურთი. ევრო 2008. პრევიუ.
15:30 რაგბი. წყნარი ოკეანის ერთა თასი. ახალი ზელანდია-ტონგა.
16:30 რაგბი. წყნარი ოკეანის ერთა თასი. იაპონია-ავსტრალია.
17:30 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კატალონიის გრან პრი.
19:30 ახალი ამბები.
20:00 პროფესიული კრივი. ნახევრად საშუალო წონა. გ. სტარქსი (აშშ)-ა. ლედესმა (კოლუმბია). ნიუ იორკი. აშშ.
22:00 ახალი ამბები.
22:30 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
00:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. კატალონიის გრან პრი.
01:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**მუნდიალი 2010**

**აფრიკა**

| | |
|---|---|
| ჯიბუტი-ეგვიპტე | 0:4 |
| ალჟირი-ლიბერია | 3:0 |

**ფინეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ვიიკინგიტი-კაპა | 1:0 |

**კალათბურთი**

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ნანსი-ვილერბანი | 104:89 |

ავტოსპორტი

# მიკას ახალი სიყვარული



ფორმულა 1-ში მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, 39 წლის **მიკა ჰაკინენს** ახალი შეყვარებული ჰყავს. ეს გახლავთ გერმანიის ქალაქ კიოლნის ერთ-ერთი სტრიპტიზ-ბარის მოცეკვავე - **მარკეტა კრომოტოვა**, რომელიც 30 წლის გახლავთ.

მიკამ და მარკეტამ ერთმანეთი ერთ-ერთ სალამოზე გაიცნეს და გარკვეული პერიოდი მალავდნენ თავიანთ ურთიერთობებს. მაგრამ, როცა მათი კავშირის შესახებ პრესამაც შეიტყო, წყვილმა "იატაკქვეშა ცხოვრება" შეწყვიტა და ხალხში გაერია.

*"ასეთ ასაკში მამაკაცებს ხშირად აქვთ ემოციური მოთხოვნილებები,* - ამბობს გერმანელი ფსიქოლოგი **არნდ შტაინი**. - *ზოგიერთებს პრინცის როლის თამაში უნდებათ და ჰაკინენთან მიმართებაში, სწორედ ასეთ შემთხვევას აქვს ადგილი"*.

ბუნებრივია, ფინელზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მარკეტას შარმმა და მომხიბვლელობამ. ეს ქალი 2002 წლიდან კიოლნის ყველაზე დიდ ბორდელში მუშაობდა. *"მას ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა. სხვა გოგოებს შურდათ მისი, რადგან მარკეტას იოლად შეეძლო ნებისმიერი მამაკაცის დამორჩილება"*, - ყვება ბორდელის მენეჯერი **ვერნერ კრიგერი**.

თავიდან, მარკეტამ ბევრი რამ დაუმალა მიკას - მას არ სიამოვნებდა საკუთარი წარსულის შესახებ საუბარი. სტრიპტიზის მოცეკვავემ დროთა განმავლობაში მოუყვა თავის პრინცს სიმართლე. ჰაკინენისთვის ეს პრობლემა არ ყოფილა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ფინელი ამა წლის თებერვალში თავის მეუღლეს, 45 წლის **ერიას** გაეყარა და დღეს ძალიან ბედნიერია.

*"მათ ბრწყინვალე ურთიერთობა აქვთ. მიკასთვის სულერთია, სად მუშაობდა ადრე მისი შეყვარებული. მთავარია, რომ მას გვერდს ძალიან ლამაზი და მომხიბვლელი ქალი უმშვენებს"*, - აცხადებს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის მენეჯერი **დიდერ კოტონი**.

**გია თვალაბეიშვილი**



# ენტონიმ პორშე დაამტვრია



ორი დღეა, ბრიტანული გაზეთები ფორმულა 1-ის წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის ლიდერის, **ლუის ჰემილტონის** მამის, **ენტონი ჰემილტონის** ავტოავარიაზე წერს.

47 წლის ენტონიმ 600 ათასი დოლარის ღირებულების "პორშე კარერა" დაამტვრია. უფროსმა ჰემილტონმა ერთ-ერთ მოსახვევში საჭე ვერ დაიმორჩილა და საბავშვო მოედნის ღობეს შეასკდა. ინციდენტი ჰარდფორდშირში, ჰემილტონების სახლთან ახლოს მოხდა და საბედნიეროდ, ავარიისას არავინ დაშავებულა. ენტონიმ ბოდიში მოიხადა მიყენებული ზარალისთვის და ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ეს მისი პირველი ავტოავარიაა მანქანის მართვის 30-წლიანი სტაჟის განმავლობაში.

*"ეს ოდესლაც უნდა მომხდარიყო. საბედნიეროდ, მხოლოდ მანქანა და ღობე დაზარალდა"*, - თქვა ლუისის მამამ.

**გია თვალაბეიშვილი**

ფეხბურთი. ევრო 2008

# მოგვეცით ბალაკის თავი

ევროპის ჩემპიონატის B ჯგუფის პირველი ტურის მატჩში ერთმანეთს გერმანიისა და პოლონეთის ნაკრებები ხვდებიან. კვირას გასამართი შეხვედრის წინ, პოლონურმა პრესამ ბინძური ომი გააჩაღა გერმანიის ნაკრების წინააღმდეგ.

კერძოდ, იქაურმა გაზეთმა Super Express-მა გამოაქვეყნა ფოტომონტაჟი, რომელშიც პოლონეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელს, **ლეო ბეენჰაკერს** ხელთ უპყრია ბუნდესტიმის ნაკრების კაპიტნის **მიხაელ ბალაკისა** და გუნდის მთავარი მწვრთნელის, **იოახიმ ლიოვის** მოკვეთილი თავები. ფოტომონტაჟის გვერდით კი, ისტერიული სათაურებია დაბეჭდილი: "ლეო, *მოგვართვი მათი თავები!*", "*კარგი გერმანელი...*" (ამერიკელების დევიზის - "კარგი ინდიელი - მკვდარი ინდიელია" ანალოგი).

კიდევ ერთი პოლონური გამოცემა Fakt ასევე ფოტომონტაჟს აქვეყნებს. ამჯერად, ბალაკს პირველი მსოფლიო ომის დროინდელი გერმანული ჩაფხუტი ახურავს, მის თავზე კი, ბეენჰაკერს მახვილი აქვს აღმართული: "*გავახსენოთ გერმანელებს გრიუნვალდის ბრძოლა!*" (1410 წელს, პოლონურმა არმიამ გერმანელი რაინდები გაანადგურა).




თავად ლეო ბეენჰაკერმა ამ საგაზეთო პუბლიკაციების მიმართ მკვეთრად ნეგატიური პოზიცია დაიჭირა: *"იდიოტიზმია! ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ მთელს მსოფლიოში გვხვდება ავადმყოფური აზროვნების ადამიანები. მე მთლიანად ვემიჯნები ამ ყველაფერს"*. გერმანელმა პოლიტიკოსებმაც დაგმეს მეზობლების სკანდალური პუბლიკაციები.

ამასობაში, პოლონელმა გულშემატკივრებმა ბერლინის ზოოპარკში შეაღწიეს, სადაც მთელს გერმანიაში ცნობილი დათვის - **კნუტის** ვოლიერი პოლონეთის დროშით დაამშვენეს და იქვე პოლონურ და გერმანულ ენებზე მიაწერეს: *"ჩვენ პოლონეთს ვგულშემატკივრობთ"*.

**გიორგი თვალია**

ოლიმპიზმი

# 2008 ნემსი ოლიმპიადისთვის



ჩინეთის სამხრეთით მდებარე ქალაქ ნანინის მცხოვრებმა **ვეი შენმა** უცნაური ხერხით გამოხატა მხარდაჭერა წლევანდელი ზაფხულის ოლიმპიადის მიმართ, რომელიც პეკინში უნდა გაიმართოს.

ვეი შენმა თავში, სახეში, ხელებსა და მკერდში, სხვადასხვა ფერის 2008 ცალი ნემსი ჩაირჭო. აღსანიშნავია, რომ ჩინელმა ამ მხრივ ადრეც გამოიჩინა თავი. კერძოდ, ვეი შენი 2004 წელს გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, როცა თავში 1790 ნემსი ჩაირჭო.

სხვათა შორის, მომავალი ოლიმპიადის მხარდასაჭერად, ჩინელები ხშირად მიმართავენ საკუთარი სხეულით სხვადასხვა მანიპულაციებს. მაგალითად, იქაური ჟურნალისტები იხსენებენ, რომ ერთ-ერთმა გულშემატკივარმა შუბლზე პეკინის ოლიმპიადის ლოგო ამოისვირინგა.

**გია თვალაბეიშვილი**

ექსტრემალური სპორტი

# უელიმ თვითმფრინავს გაასწრო

შვეიცარიელმა სპორტსმენმა **უელი გეგენშატცმა** (მეტსახელად "თანამგზავრი"), თავისუფალი ფრენისას თვითმფრინავს გაასწრო.

კასკადიორმა არანის კუნძულებიდან კონემარას აეროპორტამდე (ირლანდია) 17.6 კილომეტრი დისტანცია 5 წუთსა და 45 წამში დაფარა. ამავე მარშრუტზე ყოველდღიური ავიარეისის საშუალო ხანგრძლივობა, გეგენშატცის მიერ ნაჩვენებ დროს ერთი წუთით აღემატება.

შვეიცარიელი სპორტის ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო სახეობით - ბეის-ჯამპინგით (ამ სახეობის შესახებ ჩვენს ერთ-ერთ წინა ნომერში ვწერდით) არის გატაცებული. ეს არის ფიქსირებული ობიექტებიდან ხტომები. მაგრამ ამჯერად, გეგენშატცს პარაშუტის ნაცვლად სპეციალური ფრთებიანი კოსტიუმი (wingsuit) ეცვა, რომელიც კასკადიორს ხანგრძლივი ფრენის საშუალებას აძლევს. სხვათა შორის, გეგენშატცს უკვე დაპყრობილი აქვს რამდენიმე მწვერვალი, მათ შორის შვეიცარიულ ალპებში მთა მატერჰორნი და ვულკანი პოპოკატეპეტლი მექსიკაში.

ამჯერად, არანის კუნძულებზე მთის სიმაღლე ჩაფიქრებული ნახტომისთვის არ გამოდგებოდა და ამიტომაც, გენეშატცმა აეროპლანი გამოიყენა, რომელმაც სპორტსმენი 4500 მეტრ სიმაღლეზე აიყვანა. ბეისჯამპერმა ფრთები გაშალა და ქარის დახმარებით 250 კილომეტრი საათი სიჩქარე განავითარა. ცნობისთვის, ზემოთნახსენები სამგზავრო თვითმფრინავის სიჩქარის ზღვარი კი, 193 კილომეტრ საათს უდრის.



**გიორგი თვალია**